

178
1958/3



സർവ്വത സമാസമാല

3

1958

საბჭოთა საგარეო

№ 3

მაისი—ივნისი

1968 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა
და უმაღლესი სასამართლოს

მ რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

უ ი ნ ა ა რ ს ი

83.

- მ ო წ ი ნ ა ვ ე — სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური
თათბირი 3—8
- ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე — „კაპიტალისტური საკუთრების დემოკრატიზაციის“ ბურჟუაზიული
თეორიების შესახებ 9—15
- თ. წ ე რ ე თ ე ლ ი — დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა 16—24
- გ. ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი — ბ. გ. ბელინსკის პოლიტიკური შეხედულებანი 25—28
- გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი — არსებობდა თუ არა ფეოდალურ საქართველოში ე. წ. „პირ-
ველი ღამის უფლება“? 29—35
- ა. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა — პროდუქციის მიწოდების გვეგების შეუსრულებლობისათვის ორგანი-
ზაციების და მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ 36—41
- ს. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — მატერიალური პასუხისმგებლობა საკლემურნეო ქონების დაზიან-
ებისათვის 42—47
- ბ. ხ ა რ ა ზ ი შ ვ ი ლ ი — კრიმინალისტური ექსპერტიზის საგნის საკითხისათვის 48—49

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

- გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი — ერთი პროცესუალური საკითხის შესახებ 50—52

საშუბარი სახალხო მსაჯულებთან

- საშუბარი მეორე — საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი დებუ-
ლებანი 53—58
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებ-
ლო განზრახულობათა კომისიებში 59
- პროექტი — „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონ-
მდებლობის ძირითადი საწყისებისა“ 60—70
- პროექტი — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასა-
მართლო წარმოების საფუძვლებისა“ 71—81

7633



СО Д Е Р Ж А Н И Е

	Стр.
Передовая — Республиканское совещание работников суда, прокуратуры и милиции	3— 8
С. Джорбенадзе — О буржуазных теориях „демократизации капиталистической собственности“	9—15
Т. Церетели — Состав сокрытия преступления	16—24
Г. Инцкирвели — Политические взгляды Б. Г. Белинского	25—28
Г. Надарейшвили — Существовало ли в феодальной Грузии т. н. „Право первой ночи“?	29—35
А. Хочолава — Об ответственности организации и их руководителей за невыполнение планов поставки продукции.	36—41
С. Джапаридзе — Материальная ответственность за повреждение колхозного имущества.	42— 47
Б. Харазшвили — К вопросу о предмете криминалистической экспертизы.	43— 49

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Г. Девдариани — Об одном процессуальном вопросе.	50—52
--	-------

БЕСЕДА С НАРОДНЫМИ ЗАСЕДАТЕЛЯМИ.

БЕСЕДА ВТОРАЯ.

Основные положения Советского уголовного законодательства.	53—58
В комиссиях законодательных предложений Совета Союза и Совета национальностей Верховного Совета СССР.	59
Проект — „Основные начала уголовного законодательства Союза ССР и союзных республик“.	60—70
Проект — „Основы уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик.“	71—81

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა ჩესპუბლიკური თათბირი

მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ქ. თბილისში მოეწყო სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე მოსმენილი იქნა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. ე. თოფურაძის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. მ. ნ. ჯანჯღავას, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ს. ს. როსტიაშვილის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. მ. ყ. ლომიძის მოხსენებები. მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების საფუძველზე ტარდება დიდი მუშაობა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში დანაშაულებრივი ქმედობანი განუწყვეტილად მცირდება, მტკიცდება საბჭოთა მართლწესრიგი, მალდება მშრომელი მასების მართლშეგნება. ეს სავსებით გასაგები და კანონზომიერია, რამდენადაც მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოს განვითარების საერთო პროცესს.

მომხსენებლებმა ამავე დროს აღნიშნეს, რომ მიუხედავად სასამართლოს, მილიციის და პროკურატურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. პირველ რიგში ეს ეხება სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლას.


დანაშაულთან ბრძოლა ისე უნდა იქნას ორგანიზებული, რომ არცერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და ვერცერთმა ბოროტმოქმედმა ვერ შესძლოს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა.

დღემდე ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც დანაშაული გაუხსნელი რჩება, ხოლო გამოძიება ზოგჯერ უხარისხოდ ტარდება. გამოძიების ვადები უკანასკნელ ხანებში ერთგვარად შეიკვცა, მაგრამ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის გამოძიების ვაჭიანურების ფაქტები.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დაპატიმრებასა და სამართალში მიცემას.

სასამართლო პროცესები ცალკეულ მნიშვნელოვან საქმეებზე მოუმზადებლად ტარდება. რიგ შემთხვევებში სასამართლოები საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულის ჩამდენ პირებს უფარდებენ სასჯელის ლობიერ ზომას.

საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. მ. თოფურაძე დაწვრილებით შეჩერდა პროკურატურის მუშაობაზე დანაშაულობასთან ბრძოლაში. მან მოიყვანა ციფრობრივი მაჩვენებლები და თათბირის მონაწილეებს გააცნო თუ რა ღონისძიებები განახორციელა პროკურატურამ გასულ წელს.



ამხ. თოფურაძემ აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები სახელმწიფო დასა-
ზოგადო ქონების დიდი რაოდენობით დატაცებისა. ამ გარემოებას ძირითადად
ხელს უწყობს მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებ-
ობებზე და საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაკების შერჩევის პრინ-
ციპის დარღვევა; საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის არადაამაკმაყოფილებე-
ლი მდგომარეობა; ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციათა ხელმძღვანელების
მიერ დატაცების ან დანაკლისის გამოვლინებისას კანონით გათვალისწინებული
ზომების მიუღებლობა.

მაგალითისათვის მოყვანილი იქნა „აფხაზკოოპკეშირი“, რომლის სის-
ტემაში დატაცებამ სარეკორდო თანხას მიაღწია. დიდი რაოდენობის ქონებაა
დატაცებული ცეკავშირის და ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, რესპუბ-
ლიკის კოლმეურნეობებში. ამასთან ჯერ კიდევ ხშირია წვრილმანი დატაცების
შემთხვევები.

არადაამაკმაყოფილებელია ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ქრთამის
მიღებისა და მიცემის სიგნალები მოწმდება. არაოპერატიულად, ხოლო აღძ-
რულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება უინციუატივოდ მიმდინარე-
ობს. პროკურატურის, მილიციის და სასამართლო ორგანოები სათანადოდ არ
იბრძვიან ისეთი დანაშაულის წინააღმდეგ, როგორცაა ვაჭრობის წესების
დარღვევა და მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. ვ. ჯანჯღავამ აღნიშნა,
რომ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ იქნა სტრუქტურული ცვლილებები
შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, რამაც დადებითი შედეგები მო-
გვცა. გაუმჯობესდა მილიციის ორგანოების მუშაობა სისხლის სამართლის
დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა დანაშაუ-
ლის გახსნის პროცენტი. ამ მხრივ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აბაშის,
ბოლნისის, ყაზბეგის, ლენტეხის, საჩხერის, თიანეთის, წალენჯიხის და ჩოხატა-
ურის რაიონის მილიციის განყოფილებებმა.

მიუხედავად ამისა, დღემდე, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ ადგილი აქვს
საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს.

მილიციის ორგანოებში არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ვერ იჩენენ
ოპერატიულობას, დაუდევრად ეკიდებიან სამსახურეობრივი მოვალეობის
შესრულებას.

ამხ. ჯანჯღავამ თათბირის მონაწილეებს გაცხო თუ რა მუშაობას ახორციე-
ლებენ მილიციის ორგანოები საზოგადოების მობილიზაციისათვის დანაშაულ-
თან ბრძოლის გასაძლიერებლად. მომხსენებელმა მოიყვანა მილიციის მუშა-
კების მიერ სოციალური კანონიერების დარღვევის ფაქტები და დაასახელა ის
ღონისძიებები, რაც ხორციელდება ამ მიმართულებით ნაკლოვანებების
აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ს. როსტიაშვილი თავის მოხსენე-
ბაში შეჩერდა სახალხო სასამართლოების მუშაობის ნაკლოვანებებზე. ზოგი-
ერთი სახალხო სასამართლო უხეშად არღვევს საქმეთა განხილვის ვადებს,
თავის დროზე არ ხდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენების და გადაწყვე-
ტილებების სისრულეში მოყვანა. არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გაფ-
ლანგვა-მტაცებლობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურე-
ბის საქმეში. ნაკლებად ეწყობა გამსვლელი პროცესები, არ იჩენენ საჭირო

სიფხიზლეს რევოლუციური კანონიერების დაცვის საქმეში, რაც ასუსტებს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას.

გასულ წელს სისხლის სამართლის საქმეთა 14,9% და სამოქალაქო საქმეთა 9,3% განხილულია დაწესებული ვადის დარღვევით. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. თბილისის ლენინის და ორჯონიკიძის რაიონების, ტყიბულის, ზუგდიდის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები. საქმეთა განხილვის ვაჭიანურებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სასამართლოებში ხშირად შემოდის უხარისხოდ და არასრულყოფილად გამოძიებული საქმეები.

ამხ. როსტიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების განუხრებლად გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიერი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანას. სამუხაროდ ზოგიერთი სახალხო სასამართლო უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას და ზოგიერთ შემთხვევაში გამოაქვს ლმობიერი, უკანონო განაჩენები და გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ლომიძემ აღნიშნა, რომ სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისა და მართლმსაჯულების სწორად გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობას. იგი მოწოდებულია არა მარტო გამოასწოროს ქვემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომები, არამედ აგრეთვე მისცეს მათ სწორი გეზი სასამართლო პრაქტიკის წარმართვის საქმეში.

უკანასკნელ ხანებში უმაღლესი სასამართლოს მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა. შემცირდა შეცდომებისა და კანონის დარღვევის შემთხვევათა რიცხვი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ადვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არის შემთხვევები, როდესაც საქმის უყურადღებოდ შესწავლის გამო უსაფუძვლოდ უქმდება სახალხო სასამართლოთა განაჩენები და პირიქით, ძალაში რჩება კანონის უხეში დარღვევით გამოტანილი განაჩენები.

უმაღლესი სასამართლო, როგორც წესი, რთული და დიდი მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით იხილავს. ამ საქმეთა განხილვა რაიონებში ხდება გამსვლელი სესიების მიერ. რაიონებში პროცესების მაღალ დონეზე ჩატარებას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის და არა მარტო მოსახლეობისათვის, არამედ სახალხო მოსამართლეებისათვის, რომელთაც უმაღლესი სასამართლო მუშაობის საუკეთესო მაგალითს უნდა უჩვენებდეს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საქმეთა განხილვის დროს ადვილი აქვს კანონის დარღვევებს და მეტად ლმობიერი სასჯელის განსაზღვრის შემთხვევებსაც.

თათბირის მუშაობაში მონაწილე ამხანაგებმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მიერ ჩატარებულ მუშაობაში მიღწეულ წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ქ. თბილისის პროკურორმა ამხ. მ. ვეფხვაძემ და თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. კ. ძლიერიშვილმა აღნიშნა, რომ მიღებულია გარკვეული დაობითი შედეგები მტკიცებოთა წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ.

ებით. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს შორის დამყარებულია კონტაქტი. ბოლო ხანებში უწყებებისა და დაწესებულებების საბუღალტრო—სარევიზიო მუშაობა გაუმჯობესებულია, რაც ხელს უწყობს დანაშაულის დროულად გამოვლინებას. წარმატებებთან ერთად მათ მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებებიც. იმის გამო, რომ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების ზოგიერთი მუშაკი თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამიტომ ჯერ კიდევ ბევრია გაუხსნელი საქმე.

აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედების გახსნის საქმეში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ქმედითი მხარდაჭერა მასების მხრივ. უამისოდ კი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. მარტო პროკურატურის, მილიციის და სასამართლო ორგანოები ვერაფერს გახდებიან, თუ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო ფართო საზოგადოებრიობამ. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც მხარდაჭერის ნაცვლად ცალკეული მოქალაქეები ხელს უშლიან დანაშაულის გამოვლინებას. ზოგჯერ კი აშკარად მფარველობენ დამნაშავე ელემენტებს. არადამაკმაყოფილებელია მუშაობა სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ამოღების საქმეში. ამის მიზეზი ის არის, რომ გვიან ხდება ქონებაზე ყადაღის დადება.

ამხ. ძლიერიშვილმა აღნიშნა ქ. თბილისში ცალკეული პირების მიერ სახლების უკანონო მშენებლობისა და მიწის ნაკვეთების დატაცების ფაქტები.

თათბირის მონაწილეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა აგრეთვე ავტომანქანების ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე, რადგანაც ავტომანქანის მძღოლები ხშირად არღვევენ მოძრაობის წესებს, რასაც მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი.

აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. აშბა და ქ. რუსთავის პროკურორი ამხ. კავარავა შეეხენ დანაშაულთა გაუხსნელობის მიზეზებს. ეს გარემოება მათ ახსნეს იმით, რომ პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ზოგიერთი მუშაკი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული შრომის ფერხულში, არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი (მკვლელობა, ძარცვა, გაუბატოურება და სხვა) ჩადენილია უმთავრესად ასეთი ელემენტების მიერ.

ამხ. აშბამ გააკრიტიკა იმ ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, სადაც სუსტად არის დაყენებული პოლიტადმზრდელი მუშაობა ახალგაზრდობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობა გააკრიტიკა ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ვ. არავია-შვილმა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ უმაღლესი სასამართლო იძლევა არასწორ მითითებებს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. მარკოზიშვილმა მიუთითა სკოლებში აღმზრდელი მუშაობის სისუსტეზე და აღნიშნა, რომ დანაშაულთა გარკვეული რაოდენობა ჩადენილია სკოლის ასაკის ახალგაზრდობის მიერ. ამხ. მარკოზიშვილმა დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ხელისშემშლელ მიზეზად დაასახელა ისიც, რომ ზოგჯერ მოსამართლეს გამოაქვს აშკა-

რად ლმობიერი განაჩენი, ან უსაფუძვლოდ აბრუნებს საქმეებს დამატებითი გამოძიებისათვის.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს შეეხო საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე. მან სთქვა, რომ თათბირზე მოყვანილი ფაქტები ნათელყოფენ, რომ განათლების მუშაკები არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწევიან მოსწავლეთა აღზრდის დარგში. ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში თვით აღმზრდელები ჩადიან დანაშაულს.

ბავშვების აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებისა და მშობლების საქმეა, მაგრამ არანაკლები ვალდებულება აკისრია საზოგადოებას საერთოდ და კერძოდ მილიციის ორგანოების მუშაკებს. თუ გარკვეული ნაწილი ჩვენი მოსწავლეებისა სჩადის ანტისაზოგადოებრივ მოქმედებას, ეს იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა სკოლას ახასიათებდა ერთი ნაკლი: ეს იყო მისი მოწყვეტა ცხოვრების პრაქტიკული საქმიანობიდან, ამის გამოსწორების მიზნით შემოღებული იქნა პოლიტექნიკური სწავლება.

— მოსწავლე-ახალგაზრდობაში დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, — აღნიშნა ამხ. ჯიბლაძემ, — რომ ჩვენს ზოგიერთ სკოლებში სამცვლიანი სწავლებაა. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს სწავლის ნორმალურ პროცესზე, ვინაიდან მოსწავლე სახლში ბრუნდება დამის 11—12 საათზე. აუცილებელია სამცვლიანი სწავლების ლიკვიდაცია, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის მიერ დისციპლინის დარღვევას და დანაშაულის ჩადენას ჯერ თუ კიდევ აქვს ადგილი, ამის ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კომკავშირი სათანადოდ არ იბრძვის ლოთობის წინააღმდეგ. დადასტურებულია, რომ ძირითადად დანაშაული, განსაკუთრებით კი ხულიგნობა ლოთობის ნიადაგზე ხდება. კომკავშირი ვერ უწყევს ჯეროვან დახმარებას მილიციის ორგანოებს, მჭიდრო კონტაქტი არა გვაქვს მათთან დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის საქმეში, რაზედაც არაერთხელ მიგვიითთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხ. გ. პ. მყავანაძემ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ზოლოტუხინი, რომელიც შეეხო საერთოდ რესპუბლიკაში დანაშაულთან ბრძოლის საკითხს და აღნიშნა, რომ როგორც გამოსული ამხანაგების მოხსენებებიდან ჩანს, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის წარმართული ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის მიერ დასახული ამოცანები. სათანადო სიმაღლეზე არა დგას მილიციის ორგანოების ოპერატიული მუშაობა. ჩვენ ძალიან ცოტას ვაკეთებთ პროფილაქტიკური ღონისძიებების საქმეში. ოპერატიული მუშაკები არ არიან მაღალკვალიფიციური, არა გვაქვს კავშირი ფართო მასებთან, არა ვართ მათთან კონტაქტში და გვაფიწყდება, რომ მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. ამიტომ საჭიროა პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს შორის მეტი კონტაქტის დამყარება. უნდა შევარჩიოთ კარგად მომზადებული კადრები, უნდა გავამაგროთ საგამომძიებლო აპარატი, რათა მტკიცედ განვახორციელოთ პარტიის

ნიერ დასახული ამოცანები სოციალისტური კანონიერების განუხრელად განხორციელების საქმეში.

— კანონმა წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ, — სთქვა ამხ. ზოლოტუხინმა, — რაც მიღებული იქნა მოძმე რესპუბლიკების მიერ, კარგი შედეგი მოგვცა. საჭიროა, რომ მან არ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა და მტკიცედ განხორციელდეს.

თათბირზე ვრცელი შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მქავანაძემ, რომელმაც მოუწოდა პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებს უწყევად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები, მტკიცედ იდგნენ სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე.



კაპიტალისტური საკუთრების „დემოკრატიზაციის“ გუჩუაზიური თეორიების შესახებ

დოც. ს. ჯორჯენაძე

საკუთრების იურიდიული ინსტიტუტი კლასობრივი საზოგადოების სამართლის ძირითადი ინსტიტუტია. იგი განსაზღვრავს სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების არსს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი სრულად და დეტალურად არის დამუშავებული ბურჟუაზიულ იურისპრუდენციის მიერ.

ჩეხი იურისტი პროფ. ვ. კნაპი სწორად შენიშნავს, რომ ბურჟუაზიულ ცივილიტიკაში საკუთრების საკითხებზე იმდენად მრავალი თეორიებია შექმნილი, რომ საეჭვოა მთელს მსოფლიოში მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც მათი სრული მიმოხილვა შეეძლოს.¹

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხებით კერძო საკუთრების „დემოკრატიზაციის“ ბურჟუაზიულ თეორიას².

უკანასკნელ 50—60 წლების მანძილზე კაპიტალისტური კონკურენცია მონოპოლიაში გადაიზარდა და იგი მსხვილ მონოპოლისტურ გაერთიანებებს შორის ახალ, უფრო ძძლავრ ფორმებში გამოვლინდა.

კაპიტალიზმი თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში იმპერიალიზმში შევიდა. კაპიტალიზმის კლასობრივი ბუნება და წარმოების წესი იგივე დარჩა.

კაპიტალისტური მონოპოლიების, მათ შორის სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობამ კიდევ უფრო გააუარესა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა.

კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა, სახელმწიფო-მონოპოლისტურმა ტენდენციებმა გამოიწვიეს განსაზღვრული ცვლილებების შეტანის საჭიროება კერძო საკუთრების იურიდიული ინსტიტუტის ცნებაში. ასეთი ცვლილება კი, რომელიც დემოკრატიული „საზოგადოებრივი სიკეთის“ ყალბი ბურჟუაზიული იდეის დაცვას ემსახურება უპირველესად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკუთრების ცნებას შეეხო.

ნაპოლეონის 1804 წლის კოდექსმა, რომელმაც დააკანონა კაპიტალისტური სასაქონლო წარმოებიდან გამომდინარე იურიდიული ურთიერთობანი, 544-ე მუხლში მოგვცა საკუთრების უფლების განმარტება. ამ მუხლით „საკუთრება არის უფლება ყველაზე აბსოლუტური სახით ნივთების სარგებლობისა და განკარგვისა ისე, რომ სარგებლობა არ იყოს ისეთი, რაც აკრძალულია

¹ В. Кнапп. Собственность в странах народной демократии, 1952 г. стр. 148.

² მოცემულ სტატიაში ჩვენ მხოლოდ გაკვრივ შევეხებით კერძო კაპიტალისტური საკუთრების „უბლიტიზაციის“, მისი გასახელმწიფოებრობის საკითხებს, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ მათ სპეციალური სტატია მივუძღვნათ.

კანონით ანდა რეგლამენტით“. ეს განმარტება თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე იყო საკუთრების უფლების კლასიკური განმარტება. კერძო საკუთრების ცნება შენიღბულად გამოხატავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტური კერძო საკუთრება გამორიცხავს მუშათა კლასის საკუთრებას წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე. კაპიტალიზმის დროს არსებული სხვადასხვა სახის საკუთრების ერთიანი კერძო საკუთრების ინსტიტუტით რეგლამენტირება არ ქმნის რაიმე სამართლებრივ ბარიერებს საკუთრების ერთი სახიდან მეორეში გადასასვლელად. აღნიშნული პირობები საშუალებას აძლევს ბურჟუაზიულ იურისტებს შექმნან ყოველგვარი თეორიები საკუთრების ტრანსფორმირების შესახებ. შესაბამისად ამისა, ბურჟუაზიულ ცივილისტურ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ვითარდება შეხედულება იმის შესახებ, რომ საკუთრებაში მარტო უფლება კი არ უნდა იქნას დანახული, არამედ მოვალეობაც. ამ თეორიებიდან, რომელთა პირდაპირ მიზანს შეადგენს დაცვის კაპიტალისტური საკუთრება კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, ბურჟუაზიულ ცივილისტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს შეხედულება საკუთრების, როგორც სოციალური ფუნქციის შესახებ. ლეონ დიუგის თეორია სამართლის სოციალური ფუნქციებისა და სოციალური სოლიდარობის შესახებ მსხვილი მონოპოლისტური საკუთრების დაცვის მიზანს ემსახურება. იგი უარყოფს იურიდიული უფლების არსებობას საერთოდ, რამდენადაც მისი გამოთქმით „ეს ცნება მეტაფიზიკური ცნებაა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს თანამედროვე საზოგადოების პოზიტურ ორგანიზაციაში“. უფლების ცნების გაუქმება საერთოდ, და განსაკუთრებით საკუთრების უფლებისა, მას განსაზღვრული მიზნისათვის ესაჭიროება. ამას იგი არ მალავს. კლასობრივი ბრძოლის თეორია „საზაზღარი დოქტრინაა, და თუ ბურჟუაზიის კლასს არ აქვს განსაკუთრებული უფლება ფლობდეს წარმოების იარაღებს, მაშინ არც მუშათა კლასს ანდა კოლექტივს აქვს ასეთივე უფლება და რომ საერთოდ არც კლასებს, არც საზოგადოებას, თვით ინდივიდებს არ აქვთ, როგორც ასეთი რაიმე უფლება!“ — წერს დიუგი. უფლების ადგილს ლ. დიუგისთან ვალდებულება იკავებს, სახელმწიფო კი უზრუნველყოფს პირობებს ამ ვალდებულების რეალიზაციისათვის. საკუთრება სოციალური ფუნქციაა. „საზოგადოებრივი სოლიდარობის“ იდეის მიხედვით მესაკუთრე აღარ არის ქონების შეუზღუდველი გამგებელი. მესაკუთრე უპირველესად იმ ქონების ნაწილის მართველია, რომელიც მას „ბედმა არგუნა“.

კერძო საკუთრების, როგორც სოციალური ფუნქციის თეორიამ ფართო ვასაქანი ჰპოვა ჰიტლერულ გერმანიაში, როცა ბურჟუაზიული კანონიერების ყოველგვარი ნიშანწყალი მოისპო. ლოზუნგი „საზოგადოებრივი სიკეთე მალა დგას პირად სიკეთეზე“ ნიშნავდა წვრილი და საშუალო კაპიტალისტების საკუთრების უფლების შეზღუდვასა და გამოდევნას მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესებისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ გულისხმობდა კერძო კაპიტალისტური საკუთრების უარყოფას, არამედ მხოლოდ „ლიბერალური ინდივიდუალისტური კერძო საკუთრების“ უარყოფას².

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბურჟუაზიულმა ცივილისტი-

¹ Леон Дюги. Социальное право, индивидуальное право и преобразование государства. 1909 г., стр. 17.

² Г. Дорнбергер, Г. Клейне, Г. Клиндер, М. Пот, Гражданское право Германской демократической Республики, 1957 г. стр. 71.

კამ წამოაყენა სოციალური ფუნქციის თეორიის სხვადასხვა ვარიანტები და ეკლექტიკური შეხედულებანი. ამათგან ფართო გავრცელება აქვს მოპოვებული შეხედულებას კერძო კაპიტალისტური საკუთრების „დემოკრატიზაციის“ შესახებ. ეს აიხსნება არა იმდენად ამ თეორიის სიახლით, არამედ იმ პირობებით, რომლებმაც ნიადაგი შეუქმნეს აღნიშნული თეორიის „პოპულარიზაციას“. შედარებით მაღალმა ეკონომიურმა კონიუნქტურამ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, ერთგვარმა სამრეწველო გამოცოცხლებამ და იმ განსაკუთრებულმა ხელსაყრელმა მდგომარეობამ, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შექმნა ილუზია კაპიტალიზმის სახეცვლილების შესახებ. ბურჟუაზიულ სოციოლოგთა მიერ ასეთი ილუზიის გავრცელებას ხელი შეუწყო აგრეთვე ზოგიერთ ქვეყანაში მუშათა კლასის მიერ შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ცალკეულ სოციალურ-ეკონომიური უფლებების მოპოვებამ. თანამედროვე ბურჟუაზიის აპოლოგეტთა მიზანია აჩვენოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს „საყოველთაო კეთილდღეობის ხასიათი“, რომ თითქოს იგი „სამართლიანად“ ანაწილებს ნაციონალურ შემოსავალს, „ზრუნავს“ სოციალურ დაზღვევაზე, „დახმარებას“ აძლევს უმუშევრებს და ამდენად გადაქცეულია მთელი საზოგადოების ორგანოდ. ამით მათ უნდათ ამტკიცონ კაპიტალიზმის სახეცვლილების შესახებ, თითქოს კაპიტალიზმი „სახალხო“ კაპიტალიზმად იქცა, რომ იგი სოციალიზმის „ელემენტებს“ გულისხმობს. აქედან ისინი ბურჟუაზიისათვის შემდეგ საინტერესო დასკვნას აკეთებენ:—ვინაიდან კაპიტალიზმი თავისთავად ქრება, ან უკვე გაქრა, არავითარი რევოლუცია საჭირო აღარ არის. ამ რევიზიონისტულ თეორიებში, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თეორიას კერძო კაპიტალისტური საკუთრების „დემოკრატიზაციის“ შესახებ, რომელიც სააქციონერო საკუთრებას ეყრდნობა.

ბურჟუაზიული სოციოლოგების და მათ შორის ცივილისტების მტკიცებით, აქციონერული ფორმის მასობრივმა განვითარებამ გამოიწვია „საკუთრების დიფუზია“, რომლის შედეგად თითქოს წაიშალა ზღვარი მოპირდაპირე კლასებს—ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ვინაიდან მათი აზრით მუშათა კლასმა თვით შეიძინა საკუთრება, ხოლო კაპიტალისტები — სამრეწველო და ფინანსურ კომპანიათა მისამსახურებად იქცნენ.¹

ისტორიულად აქციონერულ საზოგადოებათა შექმნა განაპირობა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების თავისებურებამ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის პერიოდში.

აქციონერულმა საზოგადოებებმა დიდად შეუწყვეს ხელი კაპიტალის ცენტრალიზაციას და წარმოების საშუალებების კაპიტალისტურ განსაზოგადობას. სააქციონერო საზოგადოების ეს ნიშანთვისება ახსნილი აქვს კ. მარქსს „კაპიტალიზმში“. „ქვეყნიერება ჯერ კიდევ ურკინიგზებოდ იქნებოდა,—წერდა კ. მარქსი,—იგი რომ იძულებული ყოფილიყო იმ დრომდე მოეცადა, ვიდრე დაგროვება ზოგიერთ ცალკეულ კაპიტალისტს იმდენად გაამდიდრებდა, რომ რკინიგზების მშენებლობას შეაძლებინებდა. ცენტრალიზაციამ, პირი-

¹ ბურჟუაზიულ ცივილისტების შეხედულებათა შესახებ სააქციონერო საზოგადოებებზე იხ. E. A. Флейшиц. Буржуазное гражданское право на службе монополистического капитала. 1948 г. და B. A. Тумонов. Теория „социализации“ собственности в современной буржуазной цивилистике. Ученые записки Всесоюзного института юридических наук (Вып. 115. 1957 г. стр. 22-75)

ქით, აქციონერულ საზოგადოებათა საშუალებით, ამას ასე ვთქვათ, ხელის ერთი დაქნევით მიადწია“.¹

აქციონერული ფორმის პირობებში ადგილი აქვს ორგვაროვან საკუთრებას. ერთის მხრივ, საკუთრების უფლების ტიტულით მესაკუთრე ახორციელებს ინდივიდუალურ „საკუთრებას აქციაზე“, მეორეს მხრივ, საკუთრებას იურიდიული პირის—სააქციონერო საზოგადოების ამ „კომბინირებულ კაპიტალისტის“ წარმოების საშუალებათა საკუთრებაზე. საკუთრების უფლების ასეთი გაყოფა ფულად და სამრეწველო კაპიტალად დამახასიათებელია საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესისათვის და როგორც ეს ვ. ი. ლენინმა აჩვენა იგი იმპერიალიზმის დროს უმაღლეს წერტილს აღწევს.

კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაზე აქციონერული საზოგადოებანი მშრომელთა ექსპლოატაციის, მრეწველობაში საბანკო კაპიტალის შექრის და მონოპოლისტური გაერთიანების შეუზღუდველი ბატონობის საუკეთესო იურიდიულ ფორმად იქცნენ. სააქციონერო საზოგადოება ტიპური იურიდიული პირი გახდა. ამ ფორმით ფართოდ სარგებლობენ მონოპოლისტური გაერთიანებები. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ფორმა ჩამორჩება ეკონომიური განვითარების შინაარსს, რამდენადაც იურიდიული პირის აქციონერული ფორმა ყოველთვის ვერ გამოხატავს კაპიტალის ცენტრალიზაციის რეალურ პროცესებს. ყველაფერი ეს სრულიადაც არ უშლის ხელს მონოპოლისტურ გაერთიანებებს (კარტელებს, სინდიკატებს). ამ მაქსიმალური მოგების ინტერესებისათვის სააქციონერო საზოგადოების უცხო იურიდიულ სამოსელში „მოთავსდნენ“. სააქციონერო სისტემაში ფრიად მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი. მასში კაპიტალისტის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია აქციის ოდენობით. ამიტომ აქციონერი არავითარი სხვა ქონებით არ აგებს პასუხს იურიდიული პირის ვალდებულებისათვის. ამ გზით კაპიტალისტს შეუძლია ასეულობით სააქციონერო საზოგადოების მონაწილე იყოს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აქციონერულმა ფორმამ ფართო გავრცელება ჰპოვა და მას, როგორც იურიდიულ პირს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

კაპიტალისტური საკუთრების მართვაში „მომხდარი“ ცვლილებები ბურჟუაზიული ცივილისტების მიერ განხილულია, როგორც საკუთრების კლასობრივ შინაარსში მომხდარი ცვლილებები. ამით ისინი ჩქმალავენ იმ გარემოებას, რომ საკუთრება განსაზღვრავს მართვის ხასიათს და არა პირიქით, ასევე დემაგოგიურია მათი მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს გაქრა, ტრანსფორმირება განიცადა საკუთრების სანივთო ინსტიტუტმა, რომ თითქოს იგი ახლა დაიჩრდილა, ჩაიძირა ვალდებულებით სამართალში, განსაკუთრებით სააქციონერო, სესხის, ფასიანი ქაღალდის საკუთრებიდან გამომდინარე ურთიერთობაში. ფრანგი ცივილისტი ჟ. რიპერი ამ ურთიერთობის „ფსიქოლოგიურ“ დახასიათებასაც იძლევა. იგი წერს: „უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ძალზე ბევრი ქონება იქნა მოსპობილი ომის ძალადობით იმისათვის, რომ აღამიანს კიდევ სწამდეს საკუთრების მარადიულობა. იგი აფასებს გარდამავალი მფლობელობის ერთადერთ სწრაფმავალ სიამოვნებას. ქირავნობით აღებული სახლში, ანდა დიდ ჰოტელში მდიდრული ცხოვრება იმდენ სიამოვნებას აძლევს მას, რამდენსაც საკუთრების უფლება ციხე-დარ-

¹ ვ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. 1. 1954 წ. გვ. 791.

ბაზზე. მამებს ჰქონდათ სახლები, შვილები ისვენებენ ზღვის სანაპიროს პოტლებში, ანდა მაღალმთიან ადგილებში და ფლობენ... მხოლოდ ქალაქებს“. მამასადამე, ფასიანი ქალაქები ცვლიან „საკუთრების“ ცნების შინაარსს. მფლობელობა მოთხოვნის უფლებით იცვლება. ბურჟუაზიულ ცივილისტთა ამ მტკიცებაში ის არის სწორი, რომ აქ მართლაც იმ ურთიერთობის გაფართოებასთან გვაქვს საქმე, როცა საკუთრების სანივთო ინსტიტუტი მოწესრიგებულია ვალდებულებითი სამართლის ნორმებით. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ ცივილისტებს არ სურთ დაინახონ ის გარემოება, რომ ვალდებულებითი სამართლის მოქმედების გაფართოება სრულიადაც არ ნიშნავს კერძო კაპიტალისტური საკუთრების, როგორც ეკონომიური კატეგორიის შინაარსის შეცვლას.

იმპერიალიზმის პერიოდში მონოპოლისტური კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესის რეგულირება წარმოებს არამართო საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენებით (იგი ამისათვის სრულიადაც არაა საკმარისი), არამედ სამოქალაქო სამართლის მთელი რიგი სხვა ინსტიტუტების კომპლექსებით. ამ კომპლექსში გარდა საკუთრების ინსტიტუტისა, შედიან სააქციონერო სამართლის, ფასიანი ქალაქების, საბანკო სამართლის ინსტიტუტები და აგრეთვე საკარტელო შეთანხმება¹.

ბურჟუაზიული ცივილისტები ერთმანეთში ურევენ საკუთრების სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობასა და საკუთრების იურიდიულ ინსტიტუტს, რათა ყალბი დასკვნები გააკეთონ, სახელდობრ—კერძო საკუთრების გამოდგენისა და მისი გარდაქმნის შესახებ.

კერძო საკუთრების ტრანსფორმაციის თეორიისთან მჭიდროდაა დაკავშირებული „აქციონერული დემოკრატიის“ ყალბი თეორია, რომლის მიხედვით იმის გამო, რომ მუშებზე იძენენ აქციებს, თითქოს ზღვება მათ მიერ მრეწველობის გამოსყიდვა, და ამის შედეგად მათ მესაკუთრე კაპიტალისტად გადაქცევა და ამ გზით უთანასწორობის თანდათანობით გაქრობა.

ამგვარი „ღრმა“ განზოგადოებების საფუძველზე ბურჟუაზიული სოციოლოგები დასკვნებს აკეთებენ სააქციონერო საზოგადოების გზით „სახალხო კაპიტალიზმის“ გამარჯვების შესახებ. სინამდვილეში აქციების მასობრივი გამოშვებით კაპიტალისტური კორპორაციები თავს უყრიან უზარმაზარ კაპიტალს და თანამესაკუთრედ გახდომის მითით არა მარტო ატყუებენ მუშათა კლასს, არამედ მის დამატებით ექსპლოატაციას ეწევიან, რამდენადაც აიძულებენ აქციების შესაძენად ხელფასიდან თანხების გაღებას. ბურჟუაზიის დამცველნი აშკარად სტყუიან, როცა მილიონობით აქციონერების შესახებ წერენ. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემებით ამერიკის მუშათა კლასის 98,6%² საერთოდ არ ფლობს რაიმე აქციებს².

საკითხის არსს არ წყვეტს აქციის მქონე პირთა რიცხვი. მთავარია, მცირე რაოდენობის აქციების მფლობელი წარმოადგენს თუ არა კაპიტალისტურ საწარმოს ნამდვილ თანამესაკუთრეს? აქციის ფლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი მესაკუთრე სააქციონერო კომპანიის კაპიტალის რეალური

¹ იხ. Л. А. Лунц. Основной экономической закон современного капитализма и реакционная сущность буржуазного гражданского права. Журнал „Советское государство и право“. 1954 г., № 2-3, стр. 112.

² იხ. კრეტლი — По повелу так называемого „народного капитализма“. 1958 г. გვ. 60.

თანამესაკუთრება. ამიტომ წვრილი აქციის მფლობელთა იურიდიული უფლება აოფერს არ სწყვეტს. ისინი სპეკულაციისა და მოტყუების მსხვერპლად რჩებიან. კრიზისის დროს, ანდა როდესაც საზოგადოება ზარალს განიცდის, აქციების წვრილი მესაკუთრე ყოველგვარი გარანტიის გარეშე რჩება. ერთი ან რამოდენიმე აქციის შეძენით, ისე როგორც ავტომობილის, მაცივრის ან მსგავსი ნივთის შეძენით მუშა სრულიადაც არ იქცევა კაპიტალისტად¹.

კომპანიის მთელ ქონებაზე განკარგულების უფლება აქვთ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მსხვილი მონოპოლისტები მასობრივად ამბობენ „უარს“ საკუთრებაზე და სააქციონერო საზოგადოებებს ქმნიან. მეტად რელიეფურია ამ მხრივ ფორდის საწარმოების ტრანსფორმაციის მაგალითი. 1956 წლის დასაწყისში ბურჟუაზიული პრესა ბევრს გაჰყვიროდა „სახალხო კაპიტალისტ“ ჰენრი ფორდზე (უმცროსზე), რომელმაც გადაწყვიტა თავის კერძო ფირმის სააქციონერო საზოგადოებად გადაქცევა. სინამდვილეში ჰენრი ფორდს (შვილიშვილს) ანგარება ამოძრავებდა და არა უზარმაზარი საკუთრების სახალხო კუთვნილებად გამოცხადების ინტერესი. ფორდი სააქციონერო საზოგადოების ძირითადი კაპიტალის ფაქტიურ მესაკუთრედ დარჩა, რამდენადაც აქციების საკონტროლო პაკეტები შეინარჩუნა, ხოლო წვრილი აქციების გაყიდვის შედეგად, მან დაახლოებით 643 მილიონი დოლარი მიიღო².

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1916 წელს წერდა: „აქციების ფლობის“ დემოკრატიზაცია“, რომლისგანაც ბურჟუაზიული სოფისტები და ოპორტუნისტები „ვითომ სოციალ-დემოკრატები“ ელიან... „კაპიტალის დემოკრატიზაცია“, წვრილი წარმოების როლისა და მნიშვნელობის გაძლიერებას და სხვ. ნამდვილად ფინანსიური ოლიგარქიის ძლევამოსილების განმტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა“³.

კაპიტალის „დემოკრატიზაციის“ პროცესი ბურჟუაზიული სოციოლოგიების მიერ ორგანულ კავშირშია განხილული ბურჟუაზიული სახელმწიფოს „ახალი“ როლის საკითხთან. როგორც უილიამ ფოსტერი შენიშნავს „კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმოდგენა, როგორც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსი“ და „სახალხო კაპიტალიზმის იდეა“ ეს ორი ლოზუნგი — პოლიტიკური ტყუებია, მაგრამ უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, უფრო გავრცელებულია ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა წრეებში, ვიდრე პირველი. ლოზუნგი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს შესახებ“ — ეს იგივე „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელიც შეფარდებულია უპირველეს ყოვლისა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გემოვნების მიხედვით“⁴.

ამ სტატიაში ჩვენ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ საკითხს ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შესახებ, რომელიც ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა აზრით თანდათანობით „სამართლიანად“ ანაწილებს ნაციონალურ შემოსავალს სხვადასხვა სოციალურ ფენას“ შორის. ამ ყალბ ანტიხალხურ შეხედულებებს

¹ იხ. В. Семенов, Антинаучные теории о классах и классовой борьбе в современной буржуазной социологии *ჟურ.* „Коммунист“, 1958 г. № 3 стр. 82.

² იხ. А. А. Корниенко. О некоторых современных буржуазных экономических теориях. 1957 г. გვ. 42

³ ვ. ი. ლენინი, „თხ. ტ. 22. გვ. 284.

⁴ Уильям Фостер, Кризис компартии США и его преодоление. *ჟურნალი* „Коммунист“ 1958 г. № 4, стр. 85.

ქადაგებენ არა მარტო ბურჟუაზიის აშკარა დამცველები, არამედ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებიც და ყოველი ჯურის რევზიონისტები დღევანდელ ეტაპზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იუგოსლავიელმა რევზიონისტებმა. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის რევზიონისტული პროგრამის პროექტში აღნიშნულია, რომ „კაპიტალისტურ სამყაროში სახელმწიფოებრივ კაპიტალისტური ტენდენციების მზარდი ტალღა ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ კაცობრიობა შეუჩერებელი და სხვადასხვა გზით ღრმად შედის სოციალიზმის ერამი“, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო აძლიერებს თავის დამოუკიდებელ ეკონომიურ ბაზას და „ამ საფუძველზე ვითარდება თანამედროვე სახელმწიფო აპარატის ახალი სოციალური როლი. სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციების სახელმწიფოს სოციალიზმად წარმოდგენა სრულიადაც არ არის ახალი“.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში მიჩქმალულია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატი სრულიად დაემორჩილა მონოპოლიებს და იგი მის მთავარ ფუნქციასთან ერთად (კლასობრივი წინააღმდეგობის დათრუვნა) პაქსიმალური კაპიტალისტური მოგების, ქვეყნის მილიტარიზაციისა და კოლონიალური ომების მიზნებს ემსახურება.

პროპაგანდა იმისა, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი დადებით როლს თამაშობს, რომ „კაპიტალისტური სახელმწიფო შეიძლება გადაიხარდოს“ სოციალიზმში, უარყოფით გავლენას ახდენს მუშათა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაზე და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, კაპიტალიზმის პირობებში წარმოების კაპიტალისტური განზოგადოების შესაძლებელი ფორმაა, რაც ჯამში კაპიტალისტური წინააღმდეგობების უმაღლეს ხარისხში აყვანას და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მატერიალური პირობების მომზადებას ნიშნავს. კაპიტალიზმის ახლანდელი განვითარება მთლიანად ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური დებულებას სისწორეს იმის შესახებ, რომ არც სააქციონერო საზოგადოების ხელში საკუთრების გადასვლა და არც სახელმწიფო საკუთრების შექმნა არა თუ სობს საწარმოო ძალების კაპიტალისტურ ხასიათს, არამედ პირიქით, აღრმავებს კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს და მუშათა ექსპლოატაციას.

საკუთრების ტრანსფორმაციის უწყინარი, „მემარცხენე“ თეორიების სიმრავლის მიუხედავად ბურჟუაზიულ ცივილისტიკაში აზრთა ერთიანობაა იმ საკითხზე, რომ კერძო საკუთრება იყო და იქნება ადამიანის ბუნებრივი განვითარების საფუძველი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ნაპოლეონის კოდექსში მოცემული კერძო საკუთრების განმარტება დღეს-დღეობითაც ისეთ განმარტებად რჩება, რომელიც საკუთრების ერთიანი ცნების ხელსაყრელი ფორმულის გამოყენებით ხელს უწყობს ბურჟუაზიას მუშათა კლასის ექსპლოატაციის საქმეში.



დანაშაულის დაშვების შემადგენლობა

პროფესორი თ. წამბთელი


საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა განასხვავებს დაფარვას, რომელიც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას წარმოადგენს, დაფარვისაგან, რომელიც ხელს არ უწყობს დანაშაულის ჩადენას. პირველს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაფარვა წინასწარ იყო შეპირებული. დანაშაულის დაფარვის წინასწარი შეპირება ითვლება თანამონაწილეობად (დახმარებად) და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის საფუძველზე. მეორეს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაფარვა წინასწარ შეპირებული არ იყო. ასეთი დაფარვა იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით სპეციალურად მითითებულ შემთხვევაში, როგორც განსაკუთრებული დანაშაული (სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი).

დაფარვის შემადგენლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით, რომელიც მოთავსებულია მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა თავში. ჩვენი წერილის ამოცანას სწორედ ამ შემადგენლობის ანალიზი შეადგენს.

§ 1. წინასწარი დანაშაულის ჩადენა, როგორც დანაშაულის დაფარვის აუცილებელი პირობა. საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული დაფარვის შემადგენლობა გულისხმობს, რომ დამფარავი მოქმედებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ. თუ ვინმე დანაშაულის ჩადენამდე წინასწარ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს წმარობს, რათა ამით ხელი შეუშალოს შემდგომ ჩადენილი დანაშაულის გამომყვანებას და დამნაშავის მიერ სასჯელისათვის თავის არიდებას,—ეს იქნება თანამონაწილეობა დანაშაულში და არა დაფარვა.

არ შეიძლება ჩაითვალოს დამფარავად და პასუხი აგოს 80 მუხლის მიხედვით იმ პირმა, ვინც რაიმე სახით (ამსრულებლის, წამქეზებლის, დამხმარის) მონაწილეობას იღებდა დანაშაულის ჩადენაში, ხოლო შემდეგ ფარავს ამ დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არ გვექნება დანაშაულთა რეალური ერთობლიობა (ე. ი. წინასწარი დანაშაულისა და დაფარვისა). წინასწარი დანაშაულის ჩადენა შთანთქავს იმ მოქმედებებს, რაც ამ დანაშაულის დასაფარავად იქნება შესრულებული წინასწარი დანაშაულის მონაწილეობა მიერ.

მიზეზობრივი კავშირის არ არსებობა დამფარავის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არ ნიშნავს, რომ ჩადენილ დანაშაულსა და დამფარავის მოქმედებას შორის სრულიად არავითარი დამოკიდებულება არ არის. დამფარავის მოქმედება მიმართულია ჩადენილი დანაშაულის



დაფარვაზე. მამასადამე, დაფარვას არ შეიძლება ქონდეს ადგილი, თუ წინასწარ ჩადენილი არ იყო დანაშაულებრივი ქმედობა;

მ. ა—ი ცნობილი იყო დამნაშავედ ნ. ა-ის დანაშაულის დაფარვაში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1943 წლის 23 სექტემბრის განჩინებით გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი მ.—ა-ის მიმართ იმ მოტივით, რომ დაფარვა გულისხმობს ძირითადი (წინასწარი) დანაშაულის არსებობას, ხოლო ნ. ა-ის რაიმე დანაშაულის ჩადენა არ დაუმტკიცდა და იგი სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნა.¹ ამავე მოტივით საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 4 მარტის განჩინებით გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი შ—ის მიმართ, რომელსაც ბრალდებოდა თავისი ძმისწულის დანაშაულის დაფარვა, ხოლო მის ძმისწულს არავითარი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი².

7633

იმ დებულებიდან, რომ დაფარვის შემადგენლობა გულისხმობს წინასწარი დანაშაულის ჩადენას, სხვა დასკვნაც გამომდინარეობს: თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფარავს დანაშაულის ჩადენას, ხოლო სინამდვილეში ამ პირს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, დაფარვის შემადგენლობას ადგილი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში არსებობს მოჩვენებითი დანაშაული, რომელიც პასუხისმგებლობას არ იწვევს.

საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ყოველი დანაშაულის დაფარვა როდი იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.


ამიტომ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ფარავს ისეთ დანაშაულს, რომლის დაფარვაც პასუხისმგებლობას იწვევს, ხოლო სინამდვილეში ამ დანაშაულის დაფარვის დასჯადობას კანონი არ ითვალისწინებს, დაფარვის შემადგენლობა არ გვექნება. ასეთი შემთხვევებიც უნდა ჩაითვალოს მოჩვენებით დანაშაულად.


არ არის საკმარისი, რომ წინასწარი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში იყოს. აუცილებელია, იგი იყოს ბრალეული და დასჯადი. ამიტომ არ შეიძლება ასეთი ქმედობის დაფარვა, რომელიც ჩადენილია შეურაცხველი პირის ან მცირეწლოვანის მიერ. არ შეიძლება აგრეთვე ისეთი ქმედობის დაფარვა, რომლის გამოც საქმე წარმოებით მოისპო მისი აშკარა მცირემნიშვნელოვანებისა და მავნე შედეგის არ არსებობის გამო, ან იმის გამო, რომ ქმედობამ საქმის განხილვის მომენტისათვის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საზოგადოებრივად საშიში ხასიათი დაკარგა (საქართველოს სს რესპუბლიკის სს კოდექსის 41 მუხლი). მაგრამ თუ წინასწარი დანაშაულის ჩამდენი განთავისუფლდა სისხლის სამართლებრივი სასჯელისაგან იმ საბაბით, რომ იგი (პიროვნება) არ არის საზოგადოებრივად საშიში (სისხ.სამ. კოდექსის მე-14 მუხლი) ან რაიმე სხვა პირადი გარემოების გამო, ეს დამფარავს პასუხისმგებლობისაგან არ გაანთავისუფლებს. და-

¹ „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР 1933 г.“ М., 1948, стр. 18.

² „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР“ 1944 г., М., 1948, стр. 129, 130.

2. საბჭოთა სამართალი № 3.





ფარვა შეიძლება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისა.

როგორც დავინახეთ, დაფარვად მხოლოდ ისეთი მოქმედება ითვლება, რომელიც წინასწარი დანაშაულის შემდეგ არის ჩადენილი. მაგრამ ეს დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს წინასწარი დანაშაული აუცილებლად დამთავრებული უნდა იქნეს. შეიძლება ისეთი დანაშაულის დაფარვაც, რომელიც მცდელობის ან მოსამზადებელი მოქმედების სტადიაზე შეჩერდა.

ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს დაფარვის შემადგენლობის დადგენა ეგრეთწოდებულ დენად და განგრძობად დანაშაულთა დროს.

დენად დანაშაულად ითვლება დანაშაული, რომლის შემადგენლობა განუწყვეტლად ხორციელდება დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ეს პერიოდი ზოგჯერ შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივი იყოს. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება დენადი დანაშაულის დროს წყდება იმ მომენტში, როდესაც დამნაშავე დაკავებული იქნება ხელისუფლების ორგანოების მიერ ან თვით გამოცხადდება ბრალის მონანიებით. დენადი დანაშაულის მაგალითს წარმოადგენს მობილიზაციიდან თავის არიდება, დეზერტირობა, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა და ა. შ.

რამდენადაც დენადი დანაშაულის დროს დამთავრებული დანაშაულის სტადია გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდება, იმდენად ყოველგვარი დახმარება, რასაც მესამე პირი აღმოუჩენს დამნაშავეს ამ პერიოდში, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შეწყვეტამდე, თუნდაც იგი დაფარვაში გამოიხატოს, უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეობად და არა დამნაშავეს კვალის დაფარვად.

განგრძობად დანაშაულად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილების თანახმად, ითვლება დანაშაული, შედგენილი „რამდენიმე ერთგვაროვანი დანაშაულებრივი ქმედობისაგან, რომელნიც მიმართული არიან ერთი მიზნისაკენ და ერთობლივად ერთ დანაშაულს წარმოადგენენ“.¹

განგრძობადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ თვითეული აქტი, ცალკე აღებული, უკვე ჰქმნის დამთავრებულ დანაშაულს, მაგრამ აქ აღილი არა აქვს დანაშაულის შემადგენლობის განუწყვეტლივ განხორციელებას. ყოველი ახალი დანაშაულებრივი ქმედობა დამთავრებული დანაშაულის განხორციელების განმეორებას წარმოადგენს.

ამიტომ გასაგებია, რომ დაფარვის საკითხი აქ უფრო სხვაგვარად წყდება, ვიდრე დენადი დანაშაულის დროს. სახელდობრ, თუ პირის მოქმედება შეეხება ისეთ დანაშაულებრივ აქტს, რომელიც უკვე დამთავრებულია, ადგილი ექნება დანაშაულის კვალისა და დამნაშავეს დაფარვას, რომელიც გათვალისწინებულია მე-80 მუხლით. ხოლო თუ პირის დახმარება შეეხება ისეთ დანაშაულებრივ აქტს, რომელიც თავისთავად ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ამ შემთხვევაში მოცემულია არა დაფარვის შემადგენლობა, არამედ თანამონაწილეობა ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში.

§ 2. დანაშაულის დაფარვის ობიექტი. დამნაშავესა და დანაშაულის

¹ „Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР 1924-1951 г. г.“, Госюриздат, М., 1952, стр. 69-70

კვალის დაფარვის ობიექტს მართლმსაჯულების ინტერესები წარმოადგენს. დაფარვა მიმართულია მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობის წინააღმდეგ, ხელს უშლის მათ დანაშაულის გახსნისა და ნამდვილი დამნაშავის აღმოჩენის საქმეში, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია დაფარული დანაშაული.

ამიტომ საგნებით მართებულად იქცევიან უკრაინისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც დაფარვის შემადგენლობას მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის თავში ითვალისწინებენ. რამდენადაც საბჭოთა რესპუბლიკების კოდექსებში დამოუკიდებელი თავი მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ არ არსებობს, დაფარვის ადგილიც სწორედ აქ არის.

ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები დაფარვის შემადგენლობას მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ითვალისწინებენ.

ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ მომავალ სისხლის სამართლის კოდექსშიც დაფარვის შემადგენლობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

§ 3. დაფარვის ობიექტური მხარე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 80 მუხლის თანახმად, დაფარვის შემადგენლობის ობიექტური მხარე გამოიხატება დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვაში მონაწილეობით.

„მონაწილეობა მიიღო დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვაში“. როგორ უნდა გავიგოთ კანონის ეს სიტყვები? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თვით დამნაშავე ასრულებს რაიმე მოქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის დაფარვაზე, ხოლო მესამე პირი „მონაწილეობას იღებს“ დამნაშავის მიერ საკუთარი დანაშაულის დაფარვაში?


ასე ესმის კანონის სიტყვები ვ. სმირნოვს, რომლის აზრით, დამფარვის „საზოგადოებრივად საშიში ქმედობა იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენი პირის მოქმედებასთან, რომელიც მიმართულია ამ დანაშაულის ჩადენაზე ან მისი ნაყოფის რეალიზაციაზე“.¹

ეს შეხედულება არ შეესაბამება დაფარვის შემადგენლობის ნამდვილ არსს დამფარავს შეუძლია დაპფაროს დანაშაულის კვალი, მაგალითად, მოწმინდოს სისხლის ლაქები, ისე რომ თვით დამნაშავე არათუ არაფერს არ აკეთებდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის დასაფარავად, არამედ არც კი იცოდეს დამფარავის მოქმედების შესახებ. უფრო მეტიც: დანაშაულის კვალის დაფარვა შეიძლება თვით დამნაშავის ნების წინააღმდეგაც კი. დაფარვის შემადგენლობა არ იცვლება იმით, მოქმედებს თუ არა დაფარვის მიზნით თვით დანაშაულის ჩადენი.

დაფარვა გულისხმობს აქტიური მოქმედების ჩადენას. ეს აზრი გაბატონებულია საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში.

სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება დაფარვა განუცხადებლობისაგან, რო-

¹ В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву, Л., 1957, стр. 43.



მელიც ყოველთვის პასიური ფორმით ანუ უმოქმედობით გამოიხატება. უდებულეზა არა ერთხელ ყოფილა ხაზგასმული საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1943 წლის 1 დეკემბრის განჩინებაში თავბერიძის საქმეზე მითითებული იყო: „ხ. და გ.— ცნობილი არიან დამნაშავეებად კ-ის დანაშაულის განუცხადებლობაში, თანაც მათი მოქმედება კვალიფიცირებულია საქართველოს სს რესპუბლიკის 80 მუხლით, რომელიც სჯის დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავისა და დანაშაულის დაფარვისათვის. დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსის 80 მუხლით გულისხმობს გარკვეულ აქტიურ მოქმედებას, ჩადენილს დამფარავის მიერ დამნაშავის ინტერესებისათვის, მაგრამ განუცხადებლობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც დაფარვა სისხლის სამართლის კოდექსის 80 მუხლით, ვინაიდან განუცხადებლობა გამორიცხავს რაიმე აქტიურ მოქმედებას და გამოიხატება უმოქმედობის პასიურ ფორმაში“.¹

დაფარვა 80 მუხლის თანახმად შეიძლება გამოიხატებოდეს დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვაში.

დამნაშავის დაფარვა სხვადასხვაგვარი საშუალებით შეიძლება. მაგალითად, დამნაშავისათვის თავშესაფარის მიცემით, მისი გაქცევისათვის ხელის შეწყობით, პასპორტის მიცემით, დამნაშავის გარეგნული შეხედულების შეცვლისათვის ხელის შეწყობით და ა. შ.


არ შეიძლება ჩაითვალოს დაფარვად და კვალიფიცირებულ იქნეს 80 მუხლის მიხედვით წინასწარი შეცნობით ტყუილი დასმენა ან ყალბი ჩვენება, რომელიც მიზნად ისახავს ეჭვი აარიდოს ნამდვილ დამნაშავეს და ხელი შეუწყოს მის გამართლებას. თავის თავად ასეთი ხასიათის მოქმედებანიც დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ რამდენადაც დაფარვის ასეთი სახეები პირდაპირ უდგება სპეციალურ შემადგენლობებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 96 მუხლში, მათი კვალიფიკაცია ამ მუხლის მიხედვით უნდა მოხდეს. ამ შეხედულებას მტკიცედ ადგია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა.

რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის განჩინებაში ტ-ის საქმეზე მითითებული იყო, რომ ტ-ა, რომელმაც მისცა ყალბი ჩვენება ნამდვილი დამნაშავის დაფარვის მიზნით, უნდა იქნეს მიცემული პასუხისგებაში არა როგორც დანაშაულის დამფარავი, არამედ როგორც ყალბი ჩვენების მიმცემი².

ანალოგიურად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე, ნამდვილი დამნაშავის დაფარვის მიზნით, წააქეზებს სხვას ყალბი ჩვენებისათვის. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ მსჯავრი დასდო რსფსრ-ის სისხლის სამართლის

¹ „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР, М., 1948, стр. 129. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლ. სამ. სას. კოლეგიის 1944 წ. 25 მარტის განჩინება შ.-ის საქმეზე — „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР 1944 г.“, М., 1948, стр. 129.

² „Судебная практика РСФСР“, 1927 № 23, стр. 18-19.



კოდექსის 95 მუხლით ხ-ას, რომელმაც თავისი ქმრის გ-ის ალიბის შექმნის მიზნით დაიყოლია ორი ნაცნობი მეცათ სასამართლოში ყალბი ჩვენება!

დანაშაულის კვალის დაფარვაც შეიძლება სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატოს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1945 წლის 24 თებერვლის განჩინებაში ს-ის საქმეზე მიუთითა, რომ დანაშაულის კვალის დაფარვა გაგებული უნდა იქნეს როგორც „დაფარვა და მოსპობა ისეთი საგნებისა და მტკიცებულებებისა (მაგალითად, ლაქის, კვალის, სისხლის, დანაშაულის იარაღის და ა. შ.), რომლებიც შეიძლება გამოდგნენ დანაშაულის ან დამნაშავის გამოსამჟღავნებლად. ყველა ამ შემთხვევაში ივლისსმება განზრახი აქტიური მოქმედება, მიმართული იმისაკენ, რომ შეუძლებელი გახადოს ან გააძნელოს დანაშაულის მხილება“².

საქართველოს სსრ სს კოდექსის 80 მუხლი ლაპარაკობს „დანაშაულის კვალის“ დაფარვაზე და სრულიად არ ახსენებს დანაშაულით მოპოვებულ საგნების დაფარვას. მაგრამ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა მართებულად აკუთვნებს დანაშაულის დაფარვას ასეთ შემთხვევებსაც. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო რკინიგზის კოლეგიის 1944 წ. 18 იანვრის განჩინებით ს—ნა მიცემული იქნა პასუხისგებაში, როგორც ქურდობის დამხმარე (დამფარავი) იმისათვის, რომ მიიღო ს-ისაგან შესანახად მის მიერ გატაცებული ქონება³. დანაშაულის ვზით მოპოვებული ნივთების დაფარვა შესაძლებელია არა მარტო ამ ნივთების შენახვის მეშვეობით, არამედ მათი მოსპობის, სახის შეცვლის და სხვა მეშვეობითაც.

სადაოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დანაშაულის კვალის დაფარვად მონაწილეობა დანაშაულის ვზით მოპოვებული ნივთების რეალიზაციაში.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, წინასწარი შეცნობით გატაცებული ნივთების რეალიზაციაში მონაწილეობა, თუმცა თავისი საზოგადოებრივი საშიშროებით უახლოვდება დანაშაულის დაფარვას, მაგრამ მასთან არ შეიძლება გაიგივებულ იქნას. მაგალითად, სმირნოვი ამტკიცებს, რომ „დამფარავისა და დანაშაულს ნაყოფის რეალიზაციისათვის ხელისშემწყობი პირის მიზნები სხვადასხვაგვარია: პირველი ცდილობს დაფაროს დამნაშავე მართლმსაჯულების ორგანოებისაგან, მეორე კი ცდილობს მიიღოს თავისთვის ან დამნაშავისათვის განსაზღვრული მოგება ჩადენილი დანაშაულიდან“⁴.

ეს მართალია. ის პირი, ვინც მონაწილეობას იღებს გატაცებული ნივთების რეალიზაციაში, უპირველეს ყოვლისა გამორჩენისათვის მოქმედობს, მაგრამ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ გატაცებული ნივთების რეალიზაცია ამავე დროს დანაშაულის დაფარვასაც წარმოადგენს. ქურდი ყოველთვის ცდილობს მოიცილოს ნაქურდალი ნივთები, რათა ამით მოსპოს მისი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა დაფარვად (რსფსრ-ის სისხლის სამარ-

¹ Судебная практика Верховного Суда СССР, 1949, № 11, стр. 27-28 იხ. აგრეთ-
გბ „Социалистическая законность“ 1951 г., № 3, стр. 91 (საქმე)

² „Судебная практика Верховного суда СССР“, 1945, вып. III, стр. 10

³ „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР, 1944 г.“, М., 1948, стр. 148.

⁴ ვ. სმირნოვი, დასახ. თხზულება, გვ. 60.

თლის კოდექსით—დანმარებად) თვლის აგრეთვე დანაშაულის გზით მოპოვებული ნივთების რეალიზაციას. ასე. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 6 იანვრის განჩინებით უ-ის მოქმედება, რომელმაც პ.—ის თხოვნით გაყიდა ამ უკანასკნელის მიერ მოპარული მანუფაქტურა, სცნო თანამონაწილეობად (დაფარვად) პ-ის მიერ ჩადენილ დანაშაულში¹. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ სცნო თანამონაწილეობად (დაფარვად) სახელმწიფო ქონების გატაცებაში რკინიგზის მოლარის ჩ-ას მოქმედება, რომელმაც გაპყიდა სალაროში სადგურის ყოფილი უფროსის მიერ გატაცებული და მისგან მიღებული 500 ცალი ბილეთი.²

საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 80 მუხლი გულისხმობს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ან დამნაშავის დაფარვაზე, ე. ი. მოქმედებისა, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს დანაშაულის გამომჟღავნება ან დამნაშავის მხილება, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის დაფარვად მოქმედება, რომელიც თუმცა ჩადენილია დანაშაულის შემდეგ და დაკავშირებულია ამ დანაშაულთან, მაგრამ მიმართული არ არის დამნაშავის ან დანაშაულის კვალის დაფარვაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში მიუთითა, რომ ზ.-ის მოქმედებაში, რომელმაც ხელ-პირი დააბანია მკვლელს და მისცა მას სუფთა პერანგი, არ არის დაფარვის ნიშნები. აღნიშნული განჩინება გამოქვეყნებულია მეტად საყურადღებო სათაურით: „დანაშაულის ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამათუიმ სამსახურის გაწვევა, რასაც არაპირდაპირი კავშირი აქვს დანაშაულთან, მაგრამ რაც დამნაშავისა და დანაშაულის კვალის დაფარვაში არ გამოიხატება, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულისა და დანაშაულში“³.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა არ თვლის დანაშაულის კვალის დაფარვად აგრეთვე დანაშაულის ნაყოფის გამოყენებას, თუკი იგი არ ჰფარავს დანაშაულის კვალს.

ეს აზრი გატარებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 2 სექტემბრის დადგენილებაში დ.-ას საქმეზე. ამ დადგენილებაში მითითებულია, რომ კ.-ის მიერ მოტაცებული ნივთების დროებით გამოყენება დ.-ას მიერ „არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად დანაშაულში, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობდა დანაშაულის ჩადენას და არც ფარავდა გატაცებულ ნივთებს“⁴.

დაფარვა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულებულია მოქმედება, რომელიც მიმართულია დამნაშავის ან დანაშაულის დაფარვაზე. დაფარვის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ნამდვილად მიაღწია თუ არა დამფარავმა მიზანს, ე. ი. ნამდვილად შესძლო თუ არა მან ხელი შეეშალა მართლმსაჯულებისათვის და აეცდინა დამნაშავისათვის დამსახურებული სასჯელი.

¹ „Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного суда СССР 1944 г.“, М., 1948, стр. 15.

² „Судебная практика Верховного суда СССР, М., 1949, 18. стр. 15.

³ „Судебная практика Верховного суда СССР 1945“, в. 1, стр. 10.

⁴ „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда СССР 1943 г.“, М., 1948, стр. 18.

სადაოა საკითხი, შესაძლებელია თუ არა მცდელობა დაფარვის დროს ჩვენის აზრით, რამდენადაც დაფარვად უნდა ჩაითვალოს ყოველი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების ორგანოებს გახსნან დანაშაული ან ააცდინონ დამნაშავეს სასჯელი, ხოლო ამ მიზნის ნამდვილად მიღწევა დაფარვის დანაშაულის შემადგენლობისათვის საჭირო არ არის, მცდელობა დაფარვის დროს შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს.

თანამონაწილეობა დაფარვაში, როგორც წაქეზების, ისე დახმარების სახით შესაძლებელია. მაგალითად, ვინმე შეაგულისანებს მეორეს თავშესაფარი მისცეს მკვლელს ან ვინმე მისცემს დამფარავს საშუალებას დანაშაულის კვალის წასაშლელად.

§ 4. დანაშაულის დაფარვის სუბიექტური მხარე. საქართველოს სსრ სს კოდექსის 80 მუხლის თანახმად, დამფარავად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, ვინც „წინასწარი შეცნობით“ მონაწილეობა მიიღო დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვაში“.

ამგვარად, დაფარვის სუბიექტური მხარის არსებობისათვის აუცილებელია პირმა იცოდეს, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედობა და იგი ჰფარავს ამ დანაშაულებრივი ქმედობის ჩამდენს ან დანაშაულის კვალს.

თუ პირი ისეთ მოქმედებას ასრულებს, რომელიც ობიექტურად დამნაშავეს, დანაშაულის კვალის ან დანაშაულით მოპოვებული საგნების დაფარვას წარმოადგენს, მაგრამ არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების ამგვარ ხასიათს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დამფარავად და პასუხი აგოს საქართველოს სსრ სს კოდექსის 80 მუხლით (ხოლო რსფსრ სს კოდექსით—როგორც დამფარავმა—თანამონაწილემ).

ეს გარემოება არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში.

ასე, მაგალითად, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1950 წლის 13 თებერვლის განჩინებაში მიუთითა: თუმცა ს.-ისა და კ.-ის მოქმედება ობიექტურად ხელს უწყობდა კ.-ს დაფარვას, მაგრამ რამდენადაც მათ აქტის შედგენის დროს გაფლანგვის ფაქტის შესახებ არ იცოდნენ და მიზნად არ ისახავდნენ მის დაფარვას, ამიტომ არ შეიძლება პასუხი აგონ ვატაცებაში თანამონაწილეობისათვის, ვინაიდან თანამონაწილეობა გულისხმობს, რომ თანამონაწილე განზრახ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ან მის დაფარვას“.¹

საჭიროა თუ არა დამფარავმა ზუსტად იცოდეს, სახელდობრ რა დანაშაულს ფარავს იგი? სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა შოითხოვს დაფარვისათვის იმ დანაშაულის ზუსტ ცოდნას, რომელსაც პირი ჰფარავს. ეს ხაზი ვატარებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1944 წ. 25 მარტის განჩინებაში შ-ის საქმეზე. „დამფარველს,—ნათქვამია განჩინებაში,—უნდა ქონდეს განზრახვა დაფაროს დამნაშავე ან დანაშაულის კვალი, თანაც მან უნდა იცოდეს, რომ ჰფარავს პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, და უნდა იცოდეს, სახელდობრ რა დანაშაული ჩაიდინა ამ პირმა“.²

ამავე შეხედულებას იზიარებს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერა-

¹ „Судебная практика Верховного суда СССР“, 1950, № 4, стр. 12.

² „Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного суда СССР 1944 г.“, М., 1948, стр. 129.

ტურაში ვ. სმირნოვი, რომლის აზრით, უკრაინის სსრ სს კოდექსის 72 და საქართველოს სსრ სს კოდექსის 80 მუხლები გულისხმობენ ზუსტ ცოდნას, თუ რა სახის დანაშაულს ფარავს დამფარავი¹.

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება ანგარიშს არ უწევს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობს დაფარვის დანაშაულის სუბიექტურ მხარეში, როდესაც დაფარვას განიხილავენ როგორც თანამონაწილეობის სახეს და როდესაც მას განიხილავენ, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს.

თავისთავად ცხადია, თუ დაფარვა თანამონაწილეობად ჩავთვალეთ, დამფარავს, ისევე როგორც ყოველ თანამონაწილეს, მოეთხოვება ზუსტი ცოდნა იმ დანაშაულისა, რომელსაც იგი ფარავს. მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დაფარვა, თუ იგი წინასწარ შეპირებული არ იყო, თანამონაწილეობას კი არ წარმოადგენს, არამედ დამოუკიდებელ დანაშაულს. მე-80 მუხლის თანახმად, ასეთი დაფარვა ისჯება ყოველთვის, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა ან ერთ წელზე მეტი ვადით. ამიტომ, ჩვენის აზრით, დამფარავისათვის იმის ზუსტ ცოდნას, თუ კონკრეტულად რა სახის არის მის მიერ დაფარული დანაშაული, მნიშვნელობა არა აქვს. ამ მომენტს შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ სასჯელის ღონისძიების არჩევისათვის და არა ქმედობის კვალიფიკაციისათვის. ხოლო დაფარვის დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის საკმარისია დამნაშავე ზოგად გვაროვნულ ნიშნებში ითვალისწინებდეს იმ დანაშაულს, რომელსაც იგი ფარავს.

დაფარვის შემადგენლობისათვის არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული მოტივი. დაფარვა შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვადასხვა მოტივით, მაგალითად, ანგარების მოტივით, შებრალების მოტივით და სხვ.

თავისთავად ცხადია, ანგარების მოტივით ჩადენილი დაფარვა მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს და 80 მუხლით დადგენილ ფარგლებში უფრო მძიმე სასჯელს იმსახურებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაფარვა ჩადენილია დამნაშავესთან ახლო დამოკიდებულობის გამო, მაგალითად, მისი ახლობელი ნათესავის ან მეგობრის მიერ, ეს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში დამფარავი შეიძლება სრულიად განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, უკეთეს სასამართლო სცნობს, რომ იგი საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებას არ წარმოადგენს (საქართველოს სსრ სს კოდექსის 14 მუხლი).

მომავალ სისხლის სამართლის კოდექსში სასურველი იქნებოდა, რომ დაფარვა, ჩადენილი ანგარების მოტივით, გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც დაფარვის კვალიფიციური სახე, ხოლო დაფარვა, ჩადენილი ახლობელი ნათესავის მიერ, სრულიად არ ყოფილიყო გამოცხადებული დასჯადად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ჩადენილია ანგარებით ან როდესაც იგი შეეხება სახელმწიფო დანაშაულს ან სხვა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

¹ ვ. სმირნოვი, დასახ. თხზ., გვ. 32

ბ. გ. ბელინსკის პოლიტიკური შეხედულება

დოც. ბ. ინჭირველი

ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი (1811—1848) XIX საუკუნის რუსული დემოკრატიული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. დიდი მისი დამსახურება ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მის სახელით დიდი პოპულარულია ამ მოძრაობის ახალი, რაზნოჩინული ეტაპის დაწყება. იგი იყო არა მარტო უნიჭიერესი პუბლიცისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი და რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ფუძემდებელი, არამედ, აგრეთვე რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის გამოჩენილი წარმომადგენელი, მოწინავე პოლიტიკური მოაზროვნე და მოღვაწე.

ბელინსკის ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იმდროინდელი რუსეთის მთავარ სოციალურ პრობლემას წარმოადგენდა ბატონყმობის გაუქმების, თვითმპყრობელობის დაშლისა და პიროვნების განთავისუფლების საკითხი. ამიტომ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ძირითად რგოლს სწორედ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა შეადგენს.

თავის პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებში „დიმიტრი კალინინი“, ახალგაზრდა ბელინსკიმ თამამად და მკაცრად დაგმორუსეთში გაბატონებული ურთიერთობანი, რითაც განაგრძო რადიშჩევისა და დეკაბრისტების ანტიბატონყმური, განმათავისუფლებელი ტრადიციები. დრამის მთავარი გმირის დიმიტრი კალინინის სიტყვებში ბელინსკიმ გამოხატა აღფრთოვანება და პროტესტი ბატონყმური ჩაგვრის, მემამულეთა მხედობის, ყმაგლეხების უუფლებო მდგომარეობის წინააღმდეგ. იგი წერდა: „ვინ მისცა ადამიანთა ერთ ჯგუფს ეს დამღობველი უფლება — თავის ძალაუფლებას დაუმორჩილონ მათ მსგავს სხვა არსებთან ნება, წართვან მათ წმინდა საუნჯე, თავისუფლება?.. მებატონეს შეუძლია თავშესაქცევად და გასართობად ტყავი გააძროს თავის მონას, შეუძლია პირუტყვივით გაჰყიდოს ის, გადასცვალოს ძალღვე, ცხენზე, სამუდამოდ მოწყვიტოს დედ-მამას, და-ძმასა და ყვე-

ლაფერს, რაც მისთვის საყვარელი და ძვირფასია!.. არაადამიანური სისასტიკისა და მხეცობის გამო იგი მემამულეებს უწოდებს გველებს, ნიანგებს, მხეცებს, რომლებიც ყმების ძვლებით და ხორციით იკვებებიან.

მემამულური წესწყობილების კრიტიკა ბელინსკის პირველ ნაწარმოებში რამდენადმე აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა; ავტორი ჯერ კიდევ არ აყენებდა არსებული სინამდვილის გარდაქმნის კონკრეტულ გეგმას, ვერ ხედავდა ბატონყმური მდგომარეობიდან გამოსვლის კონკრეტულ გზებს, თუმცა მის მგზნებარე სიტყვებში ნათლად იგრძნობა ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობის ღრმა რწმენა.

შემდგომში ბელინსკის ანტიბატონყმური განწყობილება სავსებით მომწიფდა; რგი მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლით, გლეხური რევოლუციის გზით. „ბატონყმობა, — რუსეთის ორგანიზმზე ავთვისებიანი წყლულია, რომელიც თვით ხალხმა უნდა მოიშოროს“. მაგრამ რუსეთში გამეფებული დესპოტიზმის პირობებში ასეთი შეხედულებების აშკარად ქადაგება შეუძლებელი იყო. მხოლოდ პირად წერილებსა და მეგობართა წრეში საუბრის დროს შეეძლო ბელინსკის დაეწერა და ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა და გრძნობდა.

მისი ანტიბატონყმური და ანტითვითმპყრობელური სულისკვეთება შედარებით აშკარად არის მოცემული ცნობილ წერილში გოგოლისადმი, რომლის გამოქვეყნება ავტორს იმ დროს არ ჰქონდა განზრახული. წერილის დამატებური და მგზნებარე სიტყვები მიმართული ბატონყმობის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სიძულვილის ცეცხლს ანთებდა პროგრესიულად განწყობილ ადამიანებში. ბელინსკი საზგასმით აღნიშნავს ყმაგლეხობის აუტანელ მდგომარეობას, „ბარბაროსი-მემამულეების“ მიერ მათში ადამიანური ღირსების გრძნობის ჩახშობას.

საკუთრივ მეფის ხელისუფლების გარდა, ბელინსკიმ სამარცხვინო ბოძზე გააკრა რუსეთის სახელმწიფოს მთელი ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატი, ამხილა



გაბატონებული მექრთამეობა და უსამართლოება. „სხვადასხვა სამსახურებრივ ქურდთა და მძარცველთა კორპორაციები“.

ბელინსკი განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდა „საზიზღარი სამღვდელეობების“, ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც „ყოველთვის მათრახის დასაყრდენი და დესპოტიზმის მამებელი იყო“. დიდ რევოლუციონერ-დემოკრატს ესმოდა, რომ რელიგია და ეკლესია, ისევე როგორც თვითმპყრობელობა, ყოველთვის თავისუფლებისა და პროგრესის მტრები იყვნენ და მიზნად ისახავდნენ მშრომელი მასების დატოვებას უცოდინარობის ბნელეთში. „სიტყვებში დემერტი და რელიგია, — წერდა იგი გერცენს, — შე ვხედავ სიბნელეს, წყვიდადს, ბორკილებსა და მათრახს“.

ბელინსკის შეხედულებანი ბატონუობაზე, თვითმპყრობელობაზე და ეკლესიაზე, მისი შეურიგებლობა რუსეთის სინამდვილისადმი ცხადყოფენ, რომ იგი გამოხატავდა ჩაგრული ყმაგლეხობის მისწრაფებებს, გამოდიოდა მათი ინტერესების დამცველად.

ბელინსკის სილიადე იმაშია, რომ მან მკაცრად გააკრიტიკა და დაგმო არა მარტო ბატონყმურ-თვითმპყრობელური ურთიერთობანი რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებაც.

ბელინსკი არ უარყოფდა ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალისტური წყობილების უპირატესობას.

ბურჟუაზიის განვითარებისა საკითხის გარკვევისას ბელინსკი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ეტაპს: პირველი, როდესაც ბურჟუაზია ზელისუფლებსაკენ მიისწრაფოდა, ფეოდალიზმს ებრძოდა და ამ ბრძოლაში თავის ინტერესებს არ გამოყოფდა ხალხის ინტერესებისაგან, მეორე, როდესაც ბურჟუაზია უკვე გამარჯვებულია და არა მებრძოლი, როდესაც იგი შიმშილითა და კაპიტალით იმონებს ხალხს. „ბურჟუაზია ბრძოლაში და ბურჟუაზია გამარჯვებული ერთი და იგივე არ არის“ — აღნიშნავს ბელინსკი და ამიტომ, ერთის მხრივ, აღფრთოვანებით იხსენიებს საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომლის დროს ხალხთა მანებმა „გელოატინაზე მოკვითეს თავები არისტოკრატებს, მღვდლებს და გონებისა და ადამიანების სხვა მტრებს“, ხოლო მეორეს მხრივ, საკმაოდ ღრმად ააშკარავებს კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს, კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური წყობილების უარყოფით მხარეებს.

პირველ ყოვლისა, იგი გმობს კაპიტალიზმს მუშების, მშრომელი მასების დაუნდობელი ექსპლოატაციის გამო, მიუთითებს მშრომელების აუტანელ მდგომარეობაზე.

ტანჯვასა და გაჭირვებაზე, რომლის მიზეზს ხედავს არა ცალკეული კანონების უსამართლობაში, არამედ მთელ წყობაში. გერმანიაში ყოფნის დროს დიდმა რუსმა დემოკრატმა საკუთარი თვლით დაინახა მუშათა კლასის უნუგეშო მდგომარეობა და აღშფოთებით იწერებოდა იქიდან: „რა სილატაკეა გერმანიაში, განსაკუთრებით უბედურ სიღვინაში... მხოლოდ აქ გავიგე საზარელი მნიშვნელობა სიტყვებისა: პაუპერიზმი და პროლეტარიატი“. ბელინსკი აღწერს მუშათა ცხოვრების საზარელ სურათებს, ქალებისა და ბავშვების მძიმე შრომის საშინელებას და ამასთან ერთად, ფართოდ გავრცელებულ უმუშევრობას. „ადამიანს ხალი ხელები აქვს, იგი შრომისმოყვარე და პატიოსანია, მზად არის იმუშაოს და მისთვის სამუშაო არ არის: აი სიღარიბე, აი პაუპერიზმი. საშინელება!“ — დასძენს შეძარწუნებული მწერალი, რომელიც უყოყმანოდ გამოდის კაპიტალის მიერ დამონებული გერმანელი მუშის დამცველად.

ექსპლოატაციის კიდევ უფრო შემზარავი სურათი წარმოუდგა ბელინსკის საფრანგეთში. „ხალხის უბედურება პარიზში, წერს იგი, — განუზომლად აღემატება ფანტაზიის ყველაზე გაბედულ გამოხატვას“.

ბურჟუაზიული წყობილების კრიტიკა განსაკუთრებით ღრმად აქვს ბელინსკის მოცემული 1844 წელს დაწერილ ცნობილ სტატიაში ფრანგი მწერლის ეფენ ხიუს რომანზე „პარიზის საიდუმლოებანი“. დიდი კრიტიკოსი უსაყვედურებს ფრანგ მწერალს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ იცნობს ხალხს, არ სწამს პროლეტარიატის პროგრესული განვითარება და როგორც ქეშმარიტი მეზიანინი, ბურჟუაზიული ფლინტიერი ისე უყურებს ხალხს, ე. ი. როგორც დამშრულ, ჩამოვლილი ღრბოს, რომელსაც „თანაურკობს“. მაგრამ შინც არ მოითხოვს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იმის გამო, რომ ბურჟუა-კაპიტალისტური ხალხის მჩაგვრელი და ექსპლოატატორია, ბელინსკის სკავს იგი და ზიზღით ხატავს მის სახეს: „შეხედეთ, მაგალითად, ამ ვაჟბატონს, ასე ამაყად, რომ დაატარებს თავის ღიბს, რომელმაც უმწეო უმანკოების ამდენი ცრემლი და სისხლი შთანთქა, ამ ვაჟბატონს, რომლის სახევე ისეთი თვითკმაყოფილება აღბეჭდილია, რომ არ შეგიძლიათ ერთი შეხედისთანავე არ ღარწმუნდეთ, რომ დატენილი აქვს ღრმა სკივრებით, რომლებშიც ჩამარხულია ღარიბის მექითი შრომაც და ობლის კანონიერი მემკვიდრეობაც“.

1847 წლის დეკემბერს ვ. პ. ბოტკინისადმი მიწერილ წერილში ბელინსკი კიდევ უფრო გამანადგურებელი სიტყვებით ახასიათებს ჩარჩის მთელ ბუნებას: „ჩარ-

ჩი ისეთი არსებაა, რომლის სიცოცხლის მიზანია სარფა, ამ სარფისათვის ზღვარის დადება შეუძლებელია... ჩარჩის არ შეიძლება მიწოდეს ისეთი ინტერესები, რომლებიც მის ზიზებს არ შეეხებოდეს. მისთვის ფული საშუალება კი არ არის, არამედ მიზანია, და ადამიანებიც აგრეთვე მიზანია, მას არ უყვარს ადამიანები, არ ებრალდება ისინი, იგი მხეცვუ უფრო მძინვარეა, სიკვდილზე უფრო შეუბრალდელია, იგი ყველა საშუალებას ხმარობს: ბავშვებს აიძულებს დაიხოცონ მისთვის მუშაობით, პროლეტარს ავიწროებს შიმშილით სიკვდილის შიშით... ღატაკს ვალში ხდის კონკრეტს, გარყვნილობით სარგებლობს და ღარიბთა ხარჯზე მდიდრდება“.

ბელინსკის ესმოდა, რომ ბურჟუაზია ვერ შეძლებდა თავისი მიზნების განხორციელებას მის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება რომ არ ყოფილიყო. კაპიტალისტები არა მარტო სხვადასხვა საქონლის ფაბრიკანტები არიან, არამედ, ამავე დროს კანონთა „ფაბრიკანტები“ არიანო, ე. ი. სახელმწიფოც და მის მიერ გამოცემული კანონები მესაკუთრების ინტერესებს გამოსატყვევებს, მათ უფლებებს იცავენ. ამიტომ ბურჟუას არ ეშინია კანონს დაეყრდნოს, კანონის მიხედვით იმოქმედოს. ეს ხომ მის მიერვე გამოცემული კანონია, მისივე მიზნების განხორციელებისა ემსახურება. მესაკუთრები დაშვიდებულნი არიან იმით, რომ საპარლამენტო არჩევნების სისტემა გამოიცხადეს საკანონმდებლო ორგანოებში მშრომელთა წარმომადგენლების გაყვანას. ამის გარანტია პირველ ყოვლისა, მაღალი ქონებრივი ცენზი (ბელინსკის დროინდელ საფრანგეთში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდა მხოლოდ იმ მესაკუთრებს, რომელიც იხდებოდა პირდაპირ განასახადს არა ნაკლებ 200 ფრანკის რაოდენობით). გარდა ამისა, ადგილი აქვს „საპარლამენტო გაიძევების“ მიერ საარჩევნო სემების ყიდვის ფაქტებს. თუ მეფის რუსეთში ჩიჩიკოვი აწარმოებდა „მეცდარი სულების“ შესყიდვას, ინგლისელი ჩიჩიკოვები „ცოცხალ სულებს“ შეისყიდვიან ხოლმე.

ბურჟუაზიული ქვეყნების საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე დავიკრებამ დაანახვა ბელინსკის ბურჟუაზიული თანასწორობის ფორმალური ხასიათი, ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი სიყალბე. „...პროლეტარი — წერს იგი, — კანონის წინაშე თანასწორი ყველაზე მდიდარ მესაკუთრესა და კაპიტალისტთან, ერთსაც და მეორესაც ერთნაირი სასამართლო ასამართლებს და დანაშაულისამებრ ერთნაირად სჯის, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ თანასწორობით პროლეტარის მდგომარეობა სულაც არ შემსუბუქებულია. მესაკუთრისა და კაპიტალისტის მუდმივი მუშაკი, პროლეტარი მთლიანად


მის ხელშია, მთლიანად მისი მონაა, ვინაიდან იგი აძლევს პროლეტარს საშუაოს და თვითბუნურად უნიშნავს ქირას“. „კვი იმ სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალისტების ხელშია“. — დასკვნის ბელინსკი. მაგრამ დიდ დემოკრატს სჯერა მომავალში ევროპის ქვეყნების ახალი აღმავლობა და აუჯავება. იგი წერს: „სიკეთის ნაპერწკლები საფრანგეთში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა—იგი ფერფლშია გახვეული და ხელსაყრელ ქარს ელოდება, რომელიც მას ნათელ და წმინდა ცეცხლის ალად აქცევს. ხალხი—ურმაა, მაგრამ ეს ურმა იზრდება და ძალღონითა და გონებით აღსავსე ვაჟკაცი დაადგება... იგი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ მხოლოდ იგი ინახავს ეროვნული სიცოცხლის ცეცხლს და რწმენის ცხოველენთუზიანობას“.

ამრიგად XIX საუკუნის დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა საფუძვლიანად დაასაბუთა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბუნება, დაგმო კაპიტალიზმი და იწინასწარმეტყველა ამ წყობილების გარდაღება დაღუპვის აუცილებლობა.

რუსეთის ბატონყმურ-თვისმპყრობელური და ევროპის კაპიტალისტური სინამდვილის კრიტიკისა და დაგმობასთან ერთად ბელინსკი ცდილობს გამოანახოს და მიუთითოს სწორი მიმართულებები ამ სინამდვილის შეცვლის გზები. ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილების გაუქმების აუცილებლობის რწმენამ, მომავალში უფრო გონიერი წყობილების დამყარების სურვილმა მიიყვანა იგი სოციალიზმის იდეამდე.

მომავალი სოციალისტური წყობილება ბელინსკის წარმოდგენილი ქონდა როგორც ისეთი საზოგადოება, სადაც ადგილი აღარ ექნება ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანასწორობას, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, იძულებით შრომას, სადაც პიროვნება საშუალოდ განთავისუფლდება სოციალური უსამართლობისაგან და მოხდება ადამიანის შეგნების ისეთი გარდაქმნა, რომ გაქრება დანაშაულობანი და უხეირო ზნე-ჩვეულებანი. იგი ღრმად და დარწმუნებული, რომ კაცობრიობის მომავალი სოციალიზმია და ყველა ხალხი მიაღწევს მას. „დაადგება დრო—მე მსურვალედ მწამს ეს,—წერს დიდი დემოკრატი,—დადგება დრო, როდესაც არ იქნება უაზრო ფორმები და წეს-ჩვეულებანი... არ იქნებიან მდიდრები, არ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები და ქვეშემოდგომები, არამედ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები“.

ბელინსკი გამოდის აგრეთვე ქალის, როგორც საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრის, უფლებების დამცველად. იგი კარგად ხედავდა ქალის დაბეჩავებულ, უფლებებო მდგომარეობას და მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში მისი სრულ-



ლი განთავისუფლების მქადაგებელი იყო. „ქალი არ იქნება საზოგადოებისა და მამაკაცების მონა“, წერდა ბელინსკი. მისი აზრით ქალისათვის, ისევე როგორც მამაკაცისათვის, გახსნილი უნდა იყოს გზა მეცნიერებასა, ხელოვნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ■ ბელინსკის შეხედულებით სოციალიზმი მაღალ განვითარებული, საზოგადოებრივი პროგრესის შედეგად დამყარებული წყობილებაა, რომელიც მომზადებულია კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიით და რომელიც სრულიადეც არა ვაგს საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეზე დამყარებულ პირველყოფილი კომუნისმის დროინდელ საზოგადოებას: ჩვენი იდეალი მომავალშია და არა წარსულში. საჭიროა წინსვლა და არა უკან მოძრაობა.

საკითხის გარკვევისათვის, თუ რა გზით უნდა მიადწიოს კაცობრიობამ სოციალიზმის განხორციელებას, რუსმა რევოლუციონერმა-დემოკრატმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: წინ დასავლეთ ევროპის სოციალისტ-უტოპისტებთან შედარებით. თუ ეს უკანასკნელნი ქადაგებდნენ სოციალიზმის დამყარებას მშვიდობიანი გზით—დარწმუნებითა და ახსნა-განმარტებით, ბელინსკი შორს იყო ამგვარი ილუზიებისაგან და ყოველთვის გადაჭრით მოითხოვდა „სოციალისტური იდეალის“ განხორციელებას რევოლუციის გზით. მას შეგნებული ჰქონდა, რომ საზოგადოების რეაქციული, დრო-მოკმული ძალები ნებაყოფლობით არ დასთმობდნენ ხელისუფლებას და ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე შეუძლებელი იქნება მათი განადგურება, სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება. „სასაცილოა იმის ფიქრიც კი, რომ ეს შეიძლება მოხდეს თავისთავად, დროთა ვითარებაში, ძალდატანებითი გადატრიალების გარეშე, სისხლის გაუღებლად“. წერს ბელინსკი.

ბელინსკი, როდესაც რევოლუციაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს როგორც დასავლეთის ქვეყნები, ასევე რუსეთი; მაგრამ ცხადია პირველ ყოვლისა მას

ანტირესებს რევოლუციის საკითხები თავის საშობლოში-რუსეთში. ■ რევოლუცია მისი აზრით, უნდა იყოს დემოკრატიული, სახალხო, ხოლო მის მთავარ მამოძრავებელ ძალას რუსეთის მოსახლეობას უდიდესი ნაწილი—გლეხობა უნდა წარმოადგენდეს. გლეხური რევოლუციის შედეგად ლიკვიდირებული იქნება ბატონყმობა და თვითმპყრობელობა, დამყარდება დემოკრატიული ხელისუფლება სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებასათვის.

ამრიგად, ბელინსკის სოციალიზმი შეერთებული იყო რევოლუციურ დემოკრატიზმთან. მის მიერ თვითმპყრობელურ-ბატონყმური და ბურჟუაზიული წყობილების კრიტიკა და სოციალიზმის პროპაგანდა მებრძოლ, რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დასავლეთელ ევროპის უტოპიური სოციალისტური თეორებისაგან. მაგრამ იმ დროინდელი რუსეთის ისტორიულ ვითარებაში, განუვითარებელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა პირობებში ბელინსკი ვერ ხედავდა და არც შეიძლება დაეინახა ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებსაც უნდა მოეხდინა სოციალისტური რევოლუცია: რუსეთში პროლეტარიატის არ არსებობამ შესაძლებლობა არ მისცა მას გაეგო მუშათა კლასის როლი საზოგადოებრივ განვითარებაში. გლეხობას კი, რომელზეც ამყარება იმედებს ბელინსკი, როგორც ცნობილია, არ შეეძლო დამოუკიდებლად, მუშათა კლასის მხრივ ხელმძღვანელობის გარეშე განხორციელებინა სოციალისტური გადატრიალება. ■ ამიტომ როგორც უკვე აღინიშნა, ბელინსკის სოციალიზმი არამეცნიერული, უტოპიური იყო, თუმცა რევოლუციურ დემოკრატიზმთან შეერთების გამო მას გარკვეული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელი მასების ღარა-შემვის საქმეში. სოციალიზმი უტოპიადან მეცნიერებად იქცა მხოლოდ პროლეტარიატის დიდი ბელადების მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ჩამოყალიბების შემდეგ.



ახსებობდა თუ არა უმოღაურ საქართველოში ე. წ. „პირველი ღამის უფლება“?

ბ. ნადაჩიოვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ისტორიულ მეცნიერებაში დღეს უკვე დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების სინამდვილეში მთელ რიგ ქვეყნებში არსებობდა ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება. „პირველი ღამის უფლება“ XIX საუკუნის მეორე ნახევარშიაც არსებობდა ალიასკის მცხოვრებთა შორის, აგრეთვე ჩრდილო მექსიკის ტაპუელეებში და სხვ.


თავისი წარმოშობის მიხედვით „პირველი ღამის უფლების“ ფესვები გვაროვნული წყობილების დროს არსებული „ჯგუფობრივი ცოლქმრობის“ წესში უნდა ვეძიოთ. გასაგებია, რომ ჯგუფობრივი ცოლქმრობის არსებობის პირობებში ქალიშვილები უდიდესი სქესობრივი თავისუფლებით სარგებლობდნენ. შემდეგ, როცა დროთა განმავლობაში ადამიანთა საზოგადოებაში წყვილადი და მონოგამიური ქორწინების წესი დამკვიდრდა, როგორც ოდესღაც არსებული ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთი, შენარჩუნებული იქნა ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება, როდესაც ქალიშვილს თავისი ქალწულობა მსხვერპლად მიაქვს და ამით თავს იხსნის ქმრების ერთობისაგან და უფლებას იძენს, რომ მომავალში მხოლოდ ერთ მამაკაცს ეკუთვნოდეს. ეს ადათი თავისებური საშუალება იყო ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის განადგურებისა.

იმ ქვეყნებში, სადაც გვაროვნული წყობილებიდან უშუალოდ ფეოდალიზმი წარმოიშვა, ბატონყმურმა ურთიერთობამ ზემოხსენებული ადათი „სახედ თვისად“ გარდაქმნა. „პირველი ღამის“ უფლება მებატონე-ფეოდალის მიერ იქნა მითვისებული. მან მითვისა წინანდელი საერთო ქმრების უკანასკნელი წარმომადგენლის როლი.

ცხადია, რომ მებატონეს ზოგიერთი ულამაზო და ხნიერი პატარძლების განქალწულების სურვილი, ალბად, არც პქონდა, და ამიტომ შემოღებული იქნა გამოსასყიდი. გარდა ამისა, როგორც მაგალითად ესპანეთში, ხშირი უნდა ყოფილიყო შემთხვევები, როდესაც სასიძო ყმა, ბატონის სურვილის წინააღმდეგ დაქორწინებამდე ახდენდა საცოლის განქალწულებას. თანდათან „პირველი ღამის“ უფლება გადაეარდა და მის სანაცვლოდ მებატონეს შერჩა მხოლოდ გადასახადის უფლება.

გვაროვნული წყობილების უკანასკნელ სტადიაზე, როდესაც ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება წარმოიშვა, იგი სრულიადაც არ წარმოადგენდა არც სასიძოს და არც საპატარძლოს პიროვნების დამამკირებელ აქტს.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ხალხის ადათის მიხედვით ქურუმს ევალებ-



ბოდა საპატარძლოს განქალაქმდობა და სასიძო დიდი ოდენობით გასამრჯელოდ საც კი აძლევდა.

ბატონყმურ საზოგადოების პირობებში კი „პირველი ღამის“ უფლება ყმა-გლეხის პიროვნების დამამცირებელ, აბუჩად ამგდებ ადათად იქცა. ცხადია, გლეხობა წინააღმდეგობას უწყევდა ამ ადათის არსებობას და იბრძოდა მისი მოსპობისათვის.

რიგ ქვეყნებში გლეხთა შორის ე. წ. მინორატის ანუ უმცროსი შვილის უპირატეს უფლებას მამის მემკვიდრეობაზე სწორედ „პირველი ღამის“ უფლებით ხსნიან¹. „პირველი ღამის“ უფლების არსებობის პირობებში, ცხადია, უფროსი შვილი მებატონის ნაშიერი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც უმცროს შვილს, როგორც მამის ნამდვილ მემკვიდრეს, უპირატესობა ეძლეოდა სამკვიდრო ქონების დაუფლებაში.

ყველგან როდი არსებობდა ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება. მტკიცე მონოგამიური ოჯახის არსებობასთან შეუთავსებელია ე. წ. „პირველი ღამის“ უფლების დიდხანს შენარჩუნება.

„პირველი ღამის“ უფლება შეუთავსებელი იყო ხალხის სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-ეთიკური განვითარების მაღალი დონისათვის.

ყურადღების გარეშე არ შეიძლება აგრეთვე დატოვებული იქნას ის გარემოება, რომ რიგ ფეოდალურ ქვეყნებში ხალხს მკაცრი ზნეობრივი ცენზურა ჰქონდა დაწესებული საპატარძლოს ფიზიკურ მდგომარეობაზე და პატარძლის ქალწულობა სქესობრივი მორალის ურყევ საძირკველს წარმოადგენდა. ხალხმა საქორწინო ცერემონიალის აუცილებელ შემადგენელ ელემენტად აქცია საპატარძლოს ქალწულობის დემონსტრირება.

შესაძლოა, რომ აქ აგრეთვე საქმე გვქონდეს მებატონეთა თვითნებობის წინააღმდეგ ყმა გლეხთა ბრძოლის თავისებურ გამოხატულებასთანაც.

მონოგამიური ქორწინების დროს, როგორც წესი, პატარძლის ქალწულობას მტკიცედ მოითხოვენ. საქმრო თუ თავისი ცოლის ფიზიკურ ქალწულობაში დარწმუნდება, მას მეტი საფუძველი აქვს, რომ მისი მეუღლე ქორწინების პერიოდშიაც ერთგულებას დაიცავს და ბავშვებიც სწორედ ქმრის ნაშვილები იქნებიან.

ქორწინების პირველი ღამის შემდეგ პატარძლის ზეწრის გამოფენა და მისი მეზობლებისათვის ჩვენება, თუ მასზე ქალწულობის ნიშნები იყო, უდიდეს საოჯახო-ზნეობრივ პატივად ითვლებოდა. ეს წესი დაკანონებული იყო იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპის და აზიის რიგ ქვეყნებში.

ანალოგიური საქორწინო ჩვეულება არსებობდა უკრაინელებშიაც. აქაც ქორწილი წარმოდგენილი იყო, როგორც დრამა, რომლის ცენტრშიაც დგას საკითხი საპატარძლოს ქალწულობის შესახებ. და როგორც ლ. კისტიაკოვსკი გადმოგვცემს, მაყრიონი იმდენად იყო დაინტერესებული საპატარძლოს ქალწულობით, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასიძო ფსიქიური თუ ფიზიკური მიზეზების გამო ვერ შესძლებდა პატარძლის განქალაქმდობას, მაჭანკალი ან ქმრის სხვა რომელიმე მახლობელი პირი ხელოვნური საშუალებებით ახდენდა მის

¹ იხ. Презер, фольклор в ветхом завете. М. Л. 1931, стр. 172 Karl Schmidt. Ius primae noctis. 1881. Freiburg im Breisgan. გვ. 24-32

დეფლორაციას და, რა თქმა უნდა, საცოლოს ქალწულობის დამამტკიცებელი საბუთები მაშინვე წარედგინებოდა მაყრიონს¹.

ერთი რამ ცხადია: იქ, სადაც ახლად დაქორწინებულთა „პირველი ღამის“ შემდეგ სიძე ვალდებულია წარუდგინოს მაყრიონს პატარძლის ქალწულობის დამამტკიცებელი საბუთები, ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება არ უნდა არსებულებო.

XV საუკუნის დამდეგს საქართველოში ნამყოფი ჰანს შილტბერგერი თავისი მოგზაურობის აღწერილობაში მოგვითხრობს ქართველების, ოსების და სომხების საქორწინო ჩვეულების შესახებ.

ჰანს შილტბერგერის მონათხრობიდან ჩანს, რომ საქართველოში პატარძლის ქალწულობის შემოწმება შეადგენდა ქორწინების რიტუალის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. ცნობილია, რომ ქორწინებას და მასთან დაკავშირებულ ადათ-წესებს ყველა სოციალურ ფენაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

შილტბერგერი მოგვითხრობს, რომ როდესაც ვაჟის მშობლებს სურდათ შვილისათვის ცოლის შერთვა, მაშინ საცოლეს დედას პირობას ადებინებდნენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს პატარძალი სიმღერით მიჰყავთ საქორწინო ოთახში. ამის შემდეგ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მოდის ამოწვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინითა, ცეკვითა და სიმღერით ჰამა-სამს შეექცევიან. ლხინის შემდეგ საქმრო საცოლესთან შეჰყავთ, რის შემდეგ დანარჩენნი გადიან. შემდეგ საქმროს ძმა, ან ერთი მახლობელი მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმაღვდილი დარაჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლე ქალწული არ გამოდგა, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა თავის ახლობლებით სარეცელთან მივა, ზეწარს გასინჯავს და თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დალონდებიან.

მეორე დღეს, როდესაც საცოლეს დედამა ქორწილში მივლენ, საქმროს დედა ძირგახვრეტილ სასმისს დაამზადებს და როცა ღვინის დაღვევის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს, ისე, რომ ნახვრეტი ქვევიდან თითო აქვს დაცობილი, და საცოლეს დედას გამოსაცლელად მიაწვდის. ამ დროს, რაკი სასმისის გახვრეტილ ძირს თითო მოშორდება და ღვინო დაიქცევა, საქმროს დედა საცოლეს მიაძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნდაო. ეს, რასაკვირველია, საცოლეს ყველა მახლობლებისათვის მეტად სამარცხვინო იყო და საცოლეს ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრუნდებოდა ხოლმე².

ქორწინების ხსენებულ რიტუალში პატარძლის ქალწულობა საქორწინო მორალის ძირითადი მოთხოვნილებაა.


ანალოგიური ჩვეულება აღწერილი აქვს აგრეთვე ბოროზდინს XIX საუკუნის შუაწლების საქართველოს ებრაელთა შორის.

ცხადია, ზემოხსენებული ჩვეულების გვერდით არ შეიძლებოდა არსებულებო ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება. ისიც მხედველობაშია მისაღები,

¹ Л. Ф. Кистяковский, К вопросу о цензуре нравов у народа.

Записки имп. Русск. геогр. общества, т. VIII, 1-78 стр. 163-170.

² ციტირებულია ი. ჯავახიშვილის მიხედვით, იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი. ტფ. 1928 წ., გვ. 158-159.



რომ საქართველოში ეს ჩვეულება დამახასიათებელი იყო უპირველეს ყოვლისა სწორედ დაბალი ფენებისათვის.

ცოტა უფრო გვიან, XVIII საუკუნის II ნახევარში თეიმურაზ მეორეს¹ — „ფეოდალური საქართველოს მიმწუხრის გვირგვინოსან პოეტს“, თავის ნაწარმოებში „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, აღწერილი აქვს ქართული საქორწინო რიტუალი, რომელიც შემდგომ მის შვილიშვილს, ვახტანგ ბატონიშვილს თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს პროზით გადმოცემული.

თეიმურაზს აღწერილი აქვს ქართული საქორწინო რიტუალის თითქმის ყველა მომენტი დეტალურად, ქორწილი, დედოფლის პირის ახდა, მზითვის წიგნის წაკითხვა, მეფის ადგომა და საწოლს წასვლა, მეფისაგან დედოფლის ტანს გახდა და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თეიმურაზთან (და რასაკვირველია, ვახტანგ ბატონიშვილთანაც), ჩვენ ვერ ვპოულობთ ჰანს შილტბერგერის მიერ მოხსენებულ პატარძლის ქალწულობის ცენზურული შემოწმების აქტს, როგორც ქორწინების ცერემონიალის აუცილებელ მომენტს². ჩვენ გვკონია, რომ ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თეიმურაზი მხოლოდ მაღალი წოდების საქორწინო ჩვეულებებს აგვიწერს. სხვანაირად გაუგებარი ხდება ჰანს შილტბერგერის მიერ აღწერილი ჩვეულების მოუხსენებლობა თეიმურაზის მიერ, მაშინ როდესაც იგი დაბალ ფენებში XIX საუკუნეშიაც არსებობდა. გარდა ამისა, თვით თეიმურაზის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ იგი მაღალი წოდების სინამდვილეში აგვიწერს ქორწინების რიტუალს. ისიც ყურადღების ღირსია, რომ თეიმურაზი თითქმის დაწვრილებით აგვიწერს რა ყველაფერი იმას, რაც შეიძლება საერთოდ ღამით მოხდეს, არსად არაფერს არ ამბობს „პირველი ღამის უფლების“ შესახებ.

ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში, რამდენადაც ამაზე დღეს შეიძლება მსჯელობა, „პირველი ღამის უფლება“ არ უნდა არსებულყო.

საქართველოს ისტორიის ფეოდალური პერიოდი 13 საუკუნეზე მეტს მოიცავს და ამ ხნის განმავლობაში არსად, არც ქართულ, არც უცხოურ წყაროებში ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. როგორც ზოგადი დებულება, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის და ოჯახის თავისებურება ფეოდალურ პერიოდში ისეთი იყო, რომ „პირველი ღამის“ უფლების არსებობას ვერ შეითავსებდა. X—XII საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს კულტურული დონე მაღალი იყო. XII საუკუნის დასასრულისათვის

¹ იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული თბ. 1939 წ. გ. ჯაკობიას რედ. გვ. 56-70.

² თეიმურაზის მიერ მოცემული ქორწინების წესის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ განსაზღვრული რიტუალის შესრულების შემდეგ „მეფე“ „დედოფალს“ აიყვანს, მარჯვნივ დაიწვეს და „მას მიხედეს საწადელია“ (სტროფი 526). შემდეგ თეიმურაზისაგან ვიგებთ, რომ სიძეს დააწვეს და რა პატარძალთან პირველ ღამეს, მომდევნო ღამეს მას ამ უკანასკნელთან სქესობრივი კავშირისაგან თავი უნდა შეეკავებინა, ანუ როგორც თეიმურაზი ამბობს „მას ღამეს მეფე ქალთანა იწვეს არ საქმის მქნელადო“ (სტროფი 556). უფრო ქვევით თეიმურაზი გვამცნობს, რომ „სამ დღეს იწვება თვით ქალი მდურავი თვისის ქმრისაგანო“.

აქ საქმე უნდა ავტონდეს ხალხური მედიცინის გავლენით შექმნილ ჩვეულებასთან. როგორც ჩანს, პატარძლის ქალწულობა თავისთავად იგულისხმებოდა და ამიტომაც თეიმურაზი ზედმეტად თვლის ხაზი გაუსვას ამ გარემოებას. მედიცინა გვასწავლის, რომ პირველი სქესობრივი კავშირის შემდეგ სასურველია სამი-ოთხი დღე სქესობრივი ურთიერთობა შეწყდეს.

საქართველოში აღარ არსებობდა დამასახიჩრებელი სასჯელები და გაუქმდა სიკვდილით დასჯა. განვითარების ასეთი დონის გვერდით შეუძლებელია, „პირველ ღამის“ უფლება არსებულიყო. მონღოლთა შემოსევებით იწყება საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული დონის დაცემის პერიოდი, მაგრამ ხსენებულ პერიოდშიაც საქართველოში არა ჩანს „პირველი ღამის“ უფლების არსებობა.

ვახტანგის სამართლის წიგნში იმ ნორმათა შორის, რომლებიც დანაშაულობისა და, მაშასადამე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებისადმია მიძღვნილი, მოხსენებულია ცოლზე სხვა კაცის დახელება (მ. 42).

42-ე მუხლის მეექვსე პუნქტში ნათქვამია: „თუ ან ცოლზე და ან შვილზე, — ვაჟი იყოს თუ ქალი, — სხვა კაცი დაახელოს და მოკლას, — სისხლი არ ეთხოვების“.

ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ყმას აქვს უფლება მოკლას თავისი ბატონი, თუ ეს უკანასკნელი მისი ოჯახის ცოლქმრულ სიწმინდეს შელახავს.

„თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე სისხლი არ გაუჩნდების“.

ვახტანგის სამართლის 259-ე მუხლით, რომელიც უფრო გვიანაა სამართლის წიგნში ჩამატებული, ყმის საოჯახო-ზნეობრივი პატივის შელახვა ბატონს ეკრძალება. „თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხი სცეს, ან ცოტათაც დასჭრას, ბატონმან შეუნდოს“, და სხვა. ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტი: „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დაახელოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“.

ასეთი იყო სქესობრივი მორალი ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით.

ქართული კანონმდებელი იმდენად მაღლა აყენებდა ცოლქმრული ურთიერთობის ზნეობრივ მხარეს, რომ ფეოდალური სამართლის თვალსაზრისით ისეთ უმძიმეს ბოროტმოქმედებასაც კი, როგორც ბატონის მკვლელობა, აბატიებს ყმას იმ შემთხვევაში, თუ იგი მისი ოჯახური ღირსების დაცვით გამოწვეული აქტია.

ფეოდალურ სამართლის წიგნებში ყმის საოჯახო-ზნეობრივი პატივის ასეთი დაცვა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ ასეთი სამართლებრივი ნორმების მოქმედების გვერდით „პირველ ღამის“ უფლებისათვის ფეოდალურ საქართველოში ადგილი არ რჩება.

ფეოდალურ საქართველოში „პირველი ღამის“ უფლების არსებობის შესახებ აზრი აქვთ გამოთქმული ზ. ჭიჭინაძეს, ფ. მახარაძეს და სხვებს¹.


ყველა ამ ავტორების საერთო ნაკლს ის წარმოადგენს, რომ ისინი ვერ არჩევენ უფლებრივი ხასიათის ურთიერთობას დანაშაულებრივი ფაქტებისაგან. წყარო ყველა ამ არასწორი შეხედულებებისა არის ზაქარია ჭიჭინაძე.

¹ იხ. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტფ. 1924-25 წწ. ტ. I, II, III.

ფ. მახარაძე, დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო. ქუთაისი. 1904 წ., გვ. 35

ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი ნახული და გაგანილი. 1936 წ. თბილისი გვ. 161.

როგორც ფ. მახარაძის ისე, ი. მანსვეტაშვილის ცნობები ზ. ჭიჭინაძის მასალებზე დაფუძნებული.



ის გარემოება, რომ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება, არ გამორიცხავს იმას, რომ მეზატონეები რიგ შემთხვევაში ყმა ქალებს აუბატიურებდნენ, უწევდნენ მათ სქესობრივ ექსპლუატაციას. მაგრამ ეს უკანასკნელი, კანონით აკრძალული მოქმედება იყო და დანაშაულობის სფეროში გადადიოდა.

ზ. ჭიჭინაძის მიერ შეგროვილი „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ მიხედვით, რომელიც უმთავრესად არა-დოკუმენტურ ხასიათს ატარებს, საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეზატონეთა მხრივ ადგილი ჰქონია ყმა-ქალების გაუბატიურების დანაშაულებრივ ფაქტებს.

ყველა თანახმაა იმაში, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ჩვენთან არ არსებულა ე. წ. „პირველი ღამის“ უფლება, მაგრამ შემდეგ, თითქოს იგი შემოღებული იქნა. ამ ვერსიის წყარო ისევ ჭიჭინაძეა.

თუ რა ღირებულება აქვს ჭიჭინაძის ცნობებს „პირველი ღამის“ უფლების შესახებ, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იგი ერთდღიანად ნაწარმოების სხვადასხვა ადგილას ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს იძლევა. ერთ ადგილას ზ. ჭიჭინაძე წერს: „პირველი ღამე საქართველოში შემოღებული იქნა 1805 წლიდან“¹. ამავე „მასალებს“ სხვა ადგილას ვკითხულობთ: „1814 წლის შემდეგ მათ (ქართველმა თავად-აზნაურობამ—გ. ნ.) პირველი ღამეც შემოიღეს და ეს ბოროტებაც დაიწყეს“².

მესამე ადგილას ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ეს (პირველი ღამის უფლება—გ. ნ.) ქართველებში მოვიდა 1802 წლიდან“³. ამავე მასალების სხვა ადგილას ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულ გენერალ ციციანოვის შესახებ, რომ „პირველი ღამის შემოღებაც ამ ცხოველმა ასწავლა ვერაგ მეზატონე ქართველებსო“⁴.

ზემოთ მოტანილი ადგილებიდან ცხადია, რომ ზ. ჭიჭინაძეს არ ესმოდა პირველი ღამის უფლების, როგორც უფლებრივი ინსტიტუტის შინაარსი.

პროფ. ივ. სურგულაძე თავის წერილში „შემთხვევებთან დაკავშირებული (ექსტრა-ორდინარული) გადასახდელები გვიანფეოდალურ საქართველოში“, ეხება „პირველი ღამის“ უფლების საკითხსაც.

იგი წერს: „ვახტანგ VI კანონმდებლობაში ან სხვა იმ დროის ძეგლებში პირველი ღამის უფლების არსებობა საქართველოში არ ჩანს. რაც შეეხება XIX საუკუნის საქართველოს, პირველი ღამის უფლების არსებობა ასახულია მხატვრულ ლიტერატურაში: „გლახის ნამბობი“, „ჯორ-ზაქარა“ და სხვ. მაშასადამე, პირველი ღამის უფლება XIX საუკუნის საქართველოში უდაოდ არსებობდა“⁵.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პროფ. ივ. სურგულაძის აზრით ვახტანგ VI კანონმდებლობაში და სხვა იმდროინდელ წყაროებში პირველი ღამის უფლების არსებობა არ ჩანს, რაც უთუოდ სწორია. ამავე დროს პროფ. ივ. სურგულაძე უნდობლად ეპყრობა ზ. ჭიჭინაძის ცნობებს და „პირველი ღამის“ უფლების არსებობას ი. ჭავჭავაძის და ს. მგალობლი-

¹ იხ. ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები ტ. II, გვ. 136.

² იქვე, ტ. III, გვ. II.

³ იქვე, გვ. 15.

⁴ ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტფ. 1924. ტ. III, გვ. 11.

⁵ იხ. ვკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VII. 1953 წ., ავ. 413.

შვილის მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით აღიარებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

ჩვენი აზრით, თუ ის გარემოება უდალა, რომ XIX საუკუნემდე საქართველოში არ არსებულა პირველი ღამის უფლება, ისიც უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებულა. სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მაშინდელ დონეზე ყოველად შეუძლებელია, რომ მანამდე არ არსებული „პირველი ღამის“ უფლება თუნდაც ადათობრივი სამართლის ნორმად ქცეულიყო; გარდა ამისა, რაც მთავარია, ამის საბუთები არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, აქ ჩვენი აზრით მებატონეების „პირველი ღამის“ უფლება კი არ არის ასახული, არამედ მხეცი ბატონის მხრივ ყმა ქალის გაუპატიურების დანაშაულებრივი ფაქტი.

დათიკოს მოეწონა ყმის ქალიშვილი და თავისი უნამუსობის ავანჩავანს გიტოს ჩოხას შეპირდა, თუ კი იგი მას თამროს ჩაუგდებდა ხელში. გიტოც ასე პასუხობს დათიკოს:

„— ბატონი ბრძანდები, ადვილია. მარტო ეს არის ძნელი, რომ იმ გოგოს საყვარელი ჰყავს და ცოლქმრობაც ნათქვამი აქვს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, დედაკაცია: ერთი ჩაქსულა კაბა და იმის ჯანი“¹.

ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ზემოდმოტანილი ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში პირველი ღამის უფლებასთან არა გვაქვს საქმე, ასევეა ს. მგალობლიშვილის „ჯორ-ზაქარაშიაც“. აქაც მებატონე მარუშიძის თვითნებობასთან გვაქვს საქმე და არა კანონით დაცულ ურთიერთობასთან. ჩვენ არც ვფიქრობთ უარყოფით მებატონეთა მხრივ ყმა-ქალების სქესობრივი ექსპლოატაციის ცალკეული ფაქტები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ „პირველი ღამის“ უფლება, როგორც ლეგალური მოვლენა, ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა.



¹ ი. ჭავჭავაძე, რჩეული მოთხრობები. თბ. 1957 წ. გვ. 227.

**პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობისათვის
ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების
პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ**

ა. სოპოლავა

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით, სხვა ეკონომიური, ადმინისტრაციული რაიონების ან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, აგრეთვე საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების და დავალებების შეუსრულებლობის გამო საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს ან სხვა თანამდებობის პირებს ეკისრებათ მატერიალური, დისციპლინარული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ბრძანებულებაში აღნიშნული პროდუქციის მიწოდების გეგმების და დავალებების შეუსრულებლობის ლიკვიდაცია ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესს შეადგენს. ამიტომ ასეთი დარღვევების წინააღმდეგ საჭიროდ იქნა ცნობილი განსაკუთრებული ზომების მიღება.


დისციპლინარული სასჯელები და დანარიცხები სამი თვის ხელფასის ოდენობით დაედებათ ზემოდწამოთვლილ პირებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

იგივე პირები მიეცემათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენნი, თუ მათ არაერთგზის დაარღვიეს პროდუქციის მიწოდების გეგმები და დავალებები.

ამასთან, თანამდებობის პირის პირადი პასუხისმგებლობა არ ანთავისუფლებს საქონლის მიმწოდებელ ორგანიზაციას სათანადო წესით დადგენილი მატერიალური პასუხისმგებლობისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკებში 1958 წლის 24 აპრილის ბრძანებულებიდან გამომდინარე ღონისძიებების შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს მთელი რიგი ცალკეული საკითხების გამოკვლევა, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ იურიდიული და ფიზიკური პირების პასუხისმგებლობასთან. კერძოდ გამორკვეული უნდა იქნას რა სოციალურ ფუნქციას ასრულებს პროდუქციის მიწოდების გეგმების დარღვევებისათვის დაწესებული ერთი იურიდიული პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა მეორე იურიდიული პირის წინაშე.

იურიდიული პირის ქონებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული აქვს შეხედულებ-



ბა ს. ო. იოფეს.¹ მისი აზრით, ქონებრივი პასუხისმგებლობა იწვევს იურიდიული პირის „გაძლიერებულ შრომით აქტივობას“², რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მას დარჩა „შემცირებული საბრუნავი საშუალებანი, იძულებულია შეავსოს შექმნილი დანაკლისი და შეასრულოს საწარმოო გეგმა“.³

ამასთანავე ს. იოფეს აზრით „დაზარალებული იურიდიული პირის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს, დირექტორის მეთაურობით, უფლება აქვს ზარალის მიმყენებელი იურიდიული პირიდან მოითხოვოს გაძლიერებული აქტივობა“⁴. თუ მოპასუხის მიერ გადასახდელი თანხა დიდია, რომლის გადახდა მას დაბრკოლებას შეუქმნის შემდგომ მუშაობაში, მაშინ „სასამართლო-საარბიტრაჟო ორგანოებმა უნდა შეუძვირონ მოპასუხეს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ისეთი ანგარიშით, რომ მაძიებელს მიუსაჯონ საკმარისი კომპენსაცია და ამავე დროს უზრუნველზყოფონ საჭირო პირობები, რათა მოპასუხემ შესძლოს გეგმის შესრულება“⁵. ს. იოფეს აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება გახიარებული იქნას.

აზრი ზარალის მიმყენებელი ორგანიზაციის მატერიალური პასუხისმგებლობიდან ნაწილობრივად განთავისუფლების შესაძლებლობის შესახებ კანონსა და საარბიტრაჟო ორგანოების პრაქტიკაში ვერ პოულობს გამართლებას⁶.

საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივები გაძლიერებულ აქტივობას იჩენენ არა იმისათვის, რომ შეავსონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებით შემცირებული საწარმოს საბრუნავი საშუალებები, არამედ იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო გეგმები. მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა შეიძლება არც კი იცოდნენ რა თანხები დააკისრა არბიტრაჟმა ან სასამართლომ მათ საწარმოებს. არც სხვა მხრივ არის სწორი აღნიშნული თეორია:

ა) ქონებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის არ ამცირებს იურიდიული პირის საბრუნავ სახსრებს (მაგალითად, როდესაც იურიდიულ პირს ნორმატივზე მეტი სახსრები აქვს). ასეთ შემთხვევაში ქონებრივ პასუხისმგებლობას ეცლება თავისი საფუძველი.

ბ) თუ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივები შრომით აქტივობას მხოლოდ იმისათვის იჩენენ, რომ შეავსონ საბრუნავი სახსრების დანაკლისი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დანაკლისის შევსების შემდეგ, კოლექტივის შრომით აქტივობა შენელებულა. ეს კი ეწინააღმდეგება პრაქტიკას.

გ) თუ მშრომელთა აქტივობა გაპირობებულია საწარმოს საბრუნავი სახსრების შემცირებით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა საბრუნავი სახსრების ხელოვნურად შემცირების გზით მშრომელთა აქტივობის გამოწვევა.

როგორც ცნობილია, ზემდგომი ორგანო თავის საწარმოთა შორის სახ-

1. იხ. შრომა С. О. Иоффе „Ответственность по советскому гражданскому праву“

² იქვე გვ. 25.

³ იქვე გვ. 47.

⁴ იქვე გვ. 47.

⁵ იქვე გვ. 260.

⁶ იხ. Сборник инструктивных указаний государственного арбитража при Совете Министров СССР, Госюриздат 1956 г. Вып. 3 стр. 184.

სრების გადანაწილების საშუალებით ფინანსიურ დახმარებას უწევს იმ საწარმოს, რომელსაც საბრუნავი სახსრები ესაჭიროება¹.

სახსრების გადანაწილების ასეთი წესი და ის გარემოება, რომ საწარმოს ძირითად საშუალებებზე არ შეიძლება გადახდევინების მიტევა, გამოიწვევს სახელმწიფო საწარმოს არაშემძლეობას. სწორედ ეს ფაქტორები რამდენადმე მნიშვნელობას უკარგავენ საწარმოს ქონებრივ პასუხისმგებლობას.

იმისათვის, რომ ქონებრივ პასუხისმგებლობამ მართლაც მოახდინოს ზეგავლენა საწარმოზე, გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ საწარმოსათვის მთელი წლის პერიოდში განესაზღვრათ საბრუნავი სახსრები მტკიცე ოდენობით².

ამავე აზრს ზოგიერთი ცვლილებით გამოსთქვამს ს. ბრატუსი³. იგი დაუშვებლად სთვლის საბრუნავ სახსრების ოდენობის შეცვლას საწარმოო გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე.

არცერთი ასეთი ღონისძიება არ არის გათვალისწინებული კანონით⁴ და არც შეიძლება განხორციელდეს მომავალში, რადგან საწარმოების საბრუნავი სახსრების ნორმატივი დამოკიდებულია არა მარტო საწარმოო გეგმაზე, არამედ სხვა ფაქტორებზეც და ამიტომ ერთ სისტემაში შემავალი საწარმოების საბრუნავი სახსრების რეგულირების უფლება აუცილებლად ზემდგომ ორგანოებს უნდა დარჩეს.

ამის გამო, ვფიქრობთ, რომ საწარმოს ქონებრივ პასუხისმგებლობას არ შეიძლება თავისთავადი ეკონომიური მნიშვნელობა მივანიჭოთ.

სახელმწიფო საწარმოები გაუბრძიან ქონებრივ პასუხისმგებლობას არა მარტო იმისათვის, რომ გარკვეული თანხის დაკისრება მათი ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს, არამედ იმისათვის, რომ მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები ამავე დროს ამქლავებენ საწარმოს ან მისი რომელიმე რგოლის ცუდ მუშაობას.

საწარმოზე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ნიშნავს იმას, რომ საწარმომ დაარღვია თავისი ვალდებულება, პროდუქციის ხარისხის, ასორტიმენტის, მარკირების ნაწილში; არ მიაწოდა პროდუქცია სრულად ან ნაწილობრივ, ან კიდევ დადგინდ ვადებში და სხვა. ცხადია, რომ ასეთი დარღვევებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობამ პასუხი უნდა აგოს სათანადო ორგანოების წინაშე.

საწარმოების საბუხპალტრო ანგარიშგება ისეა აგებული, რომ სრულიად უმნიშვნელო თანხის საწარმოზე დაკისრება გამოსახულებას პოულობს მის ბალანსზე. ასეთი თანხის ჩამოწერა და საქონლის კომერციულ თვითღირებულებაზე გადატანა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში, სახელდობრ მაშინ, როცა არ შეიძლება კონკრეტული დამნაშავე პირის დადგენა ან თუ ზარალი გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით⁵.

¹ იხ. სახალხო მეურნეობის საბჭოს დებულება, მუხლები 94, 95

² იხ. ს. ბრატუსისა და ვ. დაპტევის სტატია „Известия“ 7 май 1957 г. „Об организационно-правовых вопросах управления промышленностью“

³ С. Н. Братусь, „О некоторых чертах истории советского гражданского права“, жур. „Советское государство и право“, 1957 г. № 11, стр. 97.

⁴ იხ. სახალხო მეურნეობის საბჭოს დებულების 94, 95 მუხლები.

⁵ იხ. დებულება სახელმწიფო, კოოპერატიული (გარდა კოლმეურნეობებისა) საზოგადოებრივი საწარმოების და ორგანიზაციების საბუხპალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ. მუხლები 64, 67.

აღნიშნული გარემოება ზემდგომ ორგანოებს ავალებს საწარმოს ბალანსის განხილვისას, ან მაშინ, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა საწარმოზე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, გამოარკვიოს ზარალის გამომწვევი მიზეზები და მოსპოს მათი შემდგომი გამეორების შესაძლებლობა¹.

ზოგიერთ იურიდიულ პირებზე ქონებრივი პასუხისმგებლობა უშუალოდ ახდენს ეფექტს.

ასეთ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ სარეწაო კოოპერაციული არტელები, რომელთა ყოველგვარ ქონებაზე არტელთა არაშემძლეობის შემთხვევაში შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ამასთანავე სახელმწიფო საწარმოსაგან განსხვავებით, რომელსაც ზემდგომი ორგანო აუცილებლად უწევს ფინანსიურ დახმარებას, სარეწაო არტელებიდან ფინანსიურ დახმარებას იღებენ მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი არტელები².

არტელის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია არა მარტო არტელის საქმიანობაზე, არამედ იმაზედ, თუ რამდენად სწორად ხელმძღვანელობს მას ზემდგომი კოოპერაციული ორგანო.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხთან უშუალო კავშირი აქვს საკითხს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სამოქალაქო სამართალში მიღებული კნიშვნელობით იურიდიული პირის პასუხისმგებლობისათვის მისი ბრალეულობის დადგენა, თუ საკმარისია მარტოოდენ მიზეზობრიობის დადგენა იურიდიული პირის მოქმედებასა და მიყენებულ ზარალს შორის.

დღემდე არსებული პროდუქციის მიწოდების ყველა ძირითადი პირობები, რომელთა მიხედვით პროდუქციის მიწოდება ხდება, იურიდიულ პირებს აკისრებენ ქონებრივ პასუხისმგებლობას ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპის მიხედვით³.

¹ ეკონომიურ მეცნიერებაში საქონლის ხარისხის შესახებ წარდგენილი რეკლამაციები რაც ჩვენს აზრით ყველა რეკლამაციებსა და სარჩელებზე უნდა გავრცელდეს, სხვა მაჩვენებლებთან ერთად განიხილება როგორც მასალა საწარმოო გეგმის შესრულების ანალიზისათვის იხ. „Курс экономической статистики“ под редакцией проф. А. И. Петрова изд. 1954 г. გვ. 18. სსრკ ნაციონალურ შემოსავალზე გაგლენას არ ახდენს საწარმოების მიერ გადახდილი ჯარიმები, საურავი და სხვა არასაწარმოო ხარჯები, რამდენადაც ისინი არ შედიან საზოგადოების მიერ პროდუქციის დამზადებისათვის გაწეულ მატერიალურ საწარმოო დანახარჯებში. (იქვე გვ. 398) მიუხედავად ამისა ქონებრივი პასუხისმგებლობა, ჯარიმებისა და საურავის სახით სიგნალს იძლევა წარმოებაში დაშვებული დარღვევების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში წარმოების დანაკარგებს იწვევს და ზეგავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე. პროდუქციის თვითღირებულების ოდენობა კი საწარმოს მუშაობის ხარისხის უკეთეს მაჩვენებელს წარმოადგენს.

² იხ. „Б“ ст. 1. Постановление ЦИК и СНК СССР от 17-ХІІ 1933 г. „О порядке финансирования капитального строительства и оборотных средств в внутри-системных отчислениях в промкоопераций.

³ იხ. М. П. Шалюна. Я. А. Донде „Государственный арбитраж в СССР“ გვ. 35 Язев „Об изменении правового регулирования поставки продукции“ ჟურნალი „Советская Юстиция“ 1957 წელი № 2 გვ. 24.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი: სსრკ სახელმწიფო არბიტრაჟი განსაკუთრებულ პირობებში სოფლის დასაშვებად, მხარეების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სანქციის ჩართვას, რაც საქონლის მიწოდების ძირითადი პირობებით არ არის გათვალისწინებული. იხ. Сборник инструктивных указаний госарбитража СССР 1956 წელი № 3 გვ. 123.

სახელშეკრულება ურთიერთობის იმპერატიული ნორმებით ზედმიწევნით რეგლამენ-

საქონლის მიუწოდებლობისათვის სოციალისტური ორგანიზაციები თავისუფლებიან პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც მათ გეგმით არ გამოეყოფათ სატრანსპორტო საშუალებათა საჭირო ლიმიტი საქონლის გასაგზავნად¹.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, რა თანაფარდობაშია საქონლის მიუწოდებლობისათვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობასთან, რომელთაგან პირველი პასუხს აგებს ობიექტური პრინციპის მიხედვით, ხოლო მეორე მხოლოდ ბრალეული მოქმედებისათვის².

იურიდიული პირის პასუხისმგებლობასა და ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას შორის ერთგვარი კავშირის დასამყარებლად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს არბიტრაჟში წარმოებულ საქმეთა განხილვის წესის შეცვლა ისეთი ანგარიშით, რომ ასეთი საქმეების განხილვისას გამორკვეული იქნას ფიზიკური პირების ბრალეულობაც იმ ზარალის წარმოშობაში, რომელიც იურიდიულ პირს უნდა დაეკისროს.

არბიტრაჟის დადგენილება თანამდებობის პირის ბრალეულობის შესახებ უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ პრეიუდიციალურ პირობას იმისათვის, რომ ზემდგომმა ორგანომ თანამდებობის პირს დააკისროს მატერიალური, დისციპლინარული პასუხისმგებლობა ან მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მაგრამ ამ ღონისძიების გატარების შედეგად იურიდიული და ფიზიკური პირების პასუხისმგებლობა შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. ეს განპირობებულია ორი გარემოებით:

იურიდიული პირის და ფიზიკური პირის ბრალეულობის განსაზღვრისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა პრინციპებით. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირს ჩადენილი აქვს სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტი³.

ტაცია მნიშვნელობას უკარგავს სამეურნეო ხელშეკრულებას და მხარეთა ნებას. იურიდიული პირების ინიციატივა და ნების მნიშვნელობა გაიზრდება, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობანი დისპოზიტიური ნორმებით მოწესრიგდებიან. უკვე მუშავდება კანონი საქონლის მიწოდების მრავალრიცხოვანი ძირითადი პირობების გაუქმებისა და ერთიანი წესის შემოღების შესახებ.

ეს საგრძნობლად გააფართოვებს საწარმოს უფლებრივ სფეროს და სამეურნეო ხელშეკრულებას თავის მნიშვნელობას აღუდგენს.

¹ იხ. Постановление СНК СССР от 19-XII-1933 г. О заключении Договоров на 1933 г.

² იხ. С. С. Каринский „Материальная ответственность рабочих и служащих по советскому трудовому праву“ 1955 г. стр 72.

³ იურიდიული პირის მიერ დაშვებული დარღვევა შეიძლება არ ემთხვეოდეს თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ დარღვევას, რადგანაც სამოქალაქო უფლებრივი ხელშეკრულებით იურიდიულ პირმა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შეიძლება იკისროს ობიექტური პასუხისმგებლობა, ხოლო თანამდებობის პირი პასუხს ვერ აგებს შოთხით ურთიერთობის სფეროში ჩადენილი დარღვევისათვის ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპის მიხედვით. იხ. ა. ხოჭოლავა. „მოქალაქის პირადი და ქონებრივი უფლების დაცვა სასაპარტოლოში“ 1957 წ. გვ. 18. როგორც აღინიშნა, ამჟამად სახელშეკრულებო ურთიერთობის სფეროში საწარმოების ობიექტური პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია პროდუქციის მიწოდების ძირითადი პირობებით. არასახელშეკრულებო ურთიერთობაში კი მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი დარღვევა განაპირობებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას, გარდა სამოქალაქო კოდექსით მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისათვის.

უმრავლეს შემთხვევაში სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დაევბს საფუძვლად უდევს გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. სამოქალაქო სამართალში დაუდევრობა განისაზღვრება ობიექტური პრინციპით¹. ხოლო შრომით ურთიერთობის სფეროში მიყენებული ზარალისათვის თანამდებობის პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სუბიექტურად შეეძლო აეცდინა მავნე შედეგი.

გ. მაცაშვილი დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის პასუხისმგებლობის პირობად სთვლის პიროვნების სუბიექტურ შესაძლებლობას „იმოქმედოს თავის წარმოდგენებზე, კერძოდ, დაძაბოს თავისი ძალები იმ მიმართულებით, რომ გაითვალისწინოს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგები და აიცილოს ეს შედეგები“².

დაუდევრობის ასეთი განსაზღვრა სავსებით გამოსაყენებელია შრომითი ურთიერთობის სფეროში ჩადენილი დაუდევრობისათვისაც. ორივე შემთხვევაში დაუდევრობის განმსაზღვრელ გარემოებას წარმოადგენს პიროვნების სუბიექტური შესაძლებლობანი.

სამოქალაქო სამართალში კი, ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა არ ანთავისუფლებს მოვალეს პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ადგილზე მყოფ სხვა პირს შეეძლო შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება.

ამდენად, საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში აღძრულ საქმეების განხილვისას საჭიროა თანამდებობის პირის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდეს ზემოთ აღნიშნული გარემოებათა გათვალისწინებით.



¹ იხ. И. Б. Новицкий, Л. А. Лунц „Общее учение об обязательстве“, стр. 340.

² В. Г. Макашвили, „Уголовная ответственность за неосторожность“,

მაჯიკიანი პასუხისმგებლობა საკოლმეურნეო ქონების დაზიანებისათვის

ს. ჯაფარიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შესაბამისად არტელის თვითეული წევრი ვალდებულია დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან საკოლმეურნეო საკუთრება, იმუშაოს პატიოსნად, დაემორჩილოს წესდების მოთხოვნებს, საერთო კრებებისა და გამგეობის დადგენილებებს, დაიცვას შინაგანაწესი, განუხრელად შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაოები და საზოგადოებრივი მოვალეობანი, მტკიცედ დაიცვას შრომის დისციპლინა.

საკოლმეურნეო ქონებისადმი უყაირათო და დაუდევარი მოპყრობისათვის, უხარისხო მუშაობისათვის, არასაპატიო მიზეზებით სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის, შრომის დისციპლინისა და წესდების სხვა დარღვევისათვის, კოლმეურნეობის გამგეობა შინაგანაწესის შესაბამისად დამნაშავეს ადებს სასჯელს. ასეთ სასჯელად ითვლება: უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ხელახლა დამუშავება შრომადღეების დატრიალებად, გაფრთხილება, საყვედური, გაკიცხვა საერთო კრებაზე, შავ დაფაზე შეტანა, ჯარიმა ხუთ შრომადღემდე, დაბალ სამუშაოზე გადაყვანა, განსაზღვრული დროით სამუშაოს გარეშე დატოვება.

ამასთან, ჩამოთვლილი დისციპლინალური ხასიათის სასჯელების შეფარდება არ ათავისუფლებს კოლმეურნეობის წევრს იმ მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაგან, რომელიც გამოწვეულია საკოლმეურნეო ქონებისადმი მისი უყაირათო და დაუდევარი მოპყრობით. ამ საკითხთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 5 მაისის № 9(8)უ დადგენილებით სასამართლოებს მიეცათ შემდეგი ხასიათის მითითება: სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-17 მუხლის შესაბამისად შეფარდებული სასჯელი კოლმეურნეობის წევრს არ ათავისუფლებს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია საკოლმეურნეო ქონებისადმი მისი უყაირათო და დაუდევარი მოპყრობით, ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევით. ასეთ შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა უნდა განისაზღვროს პირდაპირი ზარალის და იმ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც მოხდა ზარალის მიყენება, აგრეთვე კოლმეურნის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 410 და 411 მუხ. (მუხ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 თებერვლის № 290 დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვარი, თხა და ღორი) დაღუპვაში დამნაშავე პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება პი-

რუტყვის სახელმწიფო შესყიდვის ფასების ერთჯერადი ღირებულებების ოდენობით, ხოლო ჯიშინი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის დალუპვისას—ჯიშინი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის ფასების მიხედვით.

იმ პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებიც დამნაშავენი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხენების დალუპვაში, განისაზღვრება ცხენის ერთჯერადი ღირებულებით, საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით დაწესებულ ფასების მიხედვით.

ამასთან, ამ დადგენილებით კოლმეურნეობათა გამგეობებს რჩევა მიეცათ, რომ პირუტყვის დალუპვაში დამნაშავე პირებს მისცენ ზარალის ნატურით ანაზღაურების საშუალება.

იმ პირებს, რომლებიც დამნაშავენი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის დატაცებაში, დამოუკიდებლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა, საზღაური გადახდებთან პირუტყვის ერთნახევარი ღირებულების ოდენობით, სახელმწიფო შესყიდვის ფასების მიხედვით.

სასამართლომ დაზღვეული პირუტყვის დალუპვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების სარჩელის განხილვისას საქმეში უნდა ჩააბას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო დაზღვევას მთლიანად გადახდილი აქვს კოლმეურნეობის სასარგებლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 თებერვლის № 290 დადგენილებით გათვალისწინებული პირუტყვის ღირებულება, მაშინ პირუტყვის დალუპვით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებელი თანხა გადახდევინებული უნდა იქნას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების სასარგებლოდ. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ კოლმეურნეობისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია კანონით დადგენილ პირუტყვის ღირებულებასთან შეფარდებით, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების სასარგებლოდ გადახდევინებული უნდა იქნას ის თანხა, რაც მათ კოლმეურნეობის სასარგებლოდ გადაიხადეს, ხოლო ამ თანხასა და პირუტყვის ღირებულებას შორის სხვაობა გადახდევინებული უნდა იქნას კოლმეურნეობის სასარგებლოდ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წლის 27 დეკემბრის № 16(10)უ დადგენილებით).

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობათა ნათესებისა და ნარგავების დაზიანებით გამოწვეული ზარალისა და აგრეთვე ჯარიმის გადახდევინების წესები და პირობები განისაზღვრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წინახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ ბრძანებულების შესაბამისად კოლმეურნეობის ნათესებისა და ნარგავების დაზიანებისათვის პირუტყვისა და ფრინველის მესაკუთრეს გადახდება კოლმეურნეობისათვის მიყენებული მთელი ზარალი და აგრეთვე ჯარიმა შემდეგი ოდენობით: ა) თუ ნათესები, ნარგავები და თივის ზვინები დაზიანებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხენის ან აქლემისაგან—50 მანეთი სულზე; ბ) თუ ცხვრის, თხის, ღორის ან ხბოსაგან—25 მანეთი სულზე; გ) თუ ფრინველისაგან—5 მანეთი ფრთაზე.

უკეთეს მოცემული წლის განმავლობაში ნათესების, ნარგავებისა და თივის ზვინების დაზიანება განმეორებით ან რამდენჯერმე მოხდა, პირუტყვის და ფრინველის მესაკუთრეს მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარდა გადახდება ჯარიმა ორმაგი ოდენობით.

ნათესებისა და ნარგავების დაზიანებით გამოწვეული ზარალი და ჯარიმა უშუალოდ გადახდება პირუტყვის მესაკუთრეს, ხოლო თავის მხრივ პირუტყვის მესაკუთრეს შეუძლია იმ პირთა (მწყემსების, მეჯინიბეების) და სხვ.) მიმართ, რომელთა პასუხისმგებლობაში პირუტყვი იმყოფებოდა აღძრას სარჩელი იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც პირუტყვის მესაკუთრემ გადაიხადა ნათესების და ნარგავების დაზიანებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში იმ მწყემსების მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებად ითვლებიან, განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლით, ხოლო იმ მწყემსების მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან—შრომის კანონთა კოდექსის 83—83⁶ მუხლებით (სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 6 დადგენილება).

ნათესებსა და ნარგავებში საჭაპანო ტრანსპორტით გავლისათვის დამნაშავე პირებს გადახდებათ ჯარიმა—50 მანეთამდე, ხოლო ავტომობილით, ტრაქტორით, კომბაინით და სხვა მანქანებით გავლისათვის—100 მანეთამდე. ამ ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელის წარდგინებით და იძულებითი წესით მოიყვანება სისრულეში მილიციის ორგანოების მიერ.

ნათესებისა და ნარგავების დაზიანებით გამოწვეული ზარალის ოდენობას განსაზღვრავს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი, აკრონომი და კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობის წარმომადგენელი. ზარალის ოდენობის შესახებ შედგება სათანადო ოქმი, პირუტყვის მესაკუთრის თანდასწრებით, ხოლო პირუტყვის მესაკუთრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის დაუსწრებლად.

ზარალის და ჯარიმის გადახდევინება წარმოებს ადმინისტრაციული წესით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ნათესებისა და ნარგავების დაზიანებით გამოწვეული ზარალისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ შეიძლება გასაჩივრებული იქნას ხუთი დღის ვადაში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის № 65—697 დადგენილების თანახმად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ დაუყოვნებლივ ეგზავნება შესასრულებლად იმ ორგანიზაციებს, რომელთა პირუტყვით დაზიანებულია ნათესები და

ნარგავები. თუ მოცემული გადაწყვეტილება ათი დღის ვადაში ნებაყოფლობით არ იქნება შესრულებული, იმ შემთხვევაში გადაწყვეტილება ეგზავნება სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილებას, რომლებშიაც ამ ორგანიზაციას აქვს მიმდინარე ანგარიში, ამ ანგარიშზე გადახდევინების მიქცევისათვის; ხოლო მუშების და მოსამსახურეების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება—იმ საწარმოს ან დაწესებულებას, სადაც მოცემული პირები მუშაობენ იმ მიზნით, რომ გადასახდელი თანხები მათ დაექვეითონ ხელფასიდან. იმ პირებს, რომლებიც არ მუშაობენ, გადაწყვეტილებაში აღნიშნული თანხები გადახდებათ იძულებითი წესით, რაიონის საფინანსო განყოფილების საგადასახადო ინსპექტორის მიერ. მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ინსპექტორი ორი მოწმისა და პირუტყვის მესაკუთრის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის თანდასწრებით აღწერს ქონებას გადასახდელი თანხის მიხედვით და გადასცემს მას რეალიზაციისათვის, ადგილობრივ კოოპერაციულ ან სახელმწიფო მალაზიას.

სასამართლოების მუშაობის პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები და კოლმეურნეობათა გამგეობები არ იცავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მოთხოვნას. ასე, მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ შალაურის კოლმეურნეობამ აღძრა სარჩელი თელავის რაიონის სახალხო სასამართლოში მოქალაქე ე-ს მიმართ და მოითხოვა მისი პირუტყვის მიერ კოლმეურნეობის ნათესების დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით კოლმეურნეობის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

სახალხო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიღო თავის წარმოებაში არა მისი ქვემდებარე საქმე, რამდენადაც კოლმეურნეობის ნათესების დაზიანებით გამოწვეული ზარალის ოდენობას განსაზღვრავს პირუტყვის მესაკუთრის თანდასწრებით არა სასამართლო, არამედ სპეციალური კომისია, რომლის შენადგენლობაში შედიან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი, აგრონომი და დაზარალებული კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგენელი.

ამასთან, ნათესების დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება და აგრეთვე ჯარიმის გადახდევინება სწარმოებს არა სასამართლოს საშუალებით, არამედ ადმინისტრაციული წესით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რომელიც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობის შემცირებით, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის № 1259 დადგენილებით „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ნაყოფიერების გადიდების და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობის ბრიგადირებს, რომლებმაც უყარათო და დაუღევარი მუშაობის გამო ვერ შეასრულეს მოსავლის მიღების გეგმა, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით მოსავლის მიღების გეგმის შეუსრულებელი თვითეული პროცენტისათვის ჩამოეწერებათ ერთი პროცენტი, მაგრამ არა უმეტესი 25 პროცენტისა იმ შრომადღებებიდან, რაც მათ წლის განმავლობაში ძირითადი ანაზღაურების მიხედვით დაერიცხათ.

ამრიგად, უყაირათო და დაუდევარი მუშაობის გამო გევით გათვალისწინებული მოსავლის მიუღებლობით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხებს გადაწყვეტს უშუალოდ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება. ასეთი საკითხები სასამართლოს წესით არ შეიძლება განხილული იქნას. ასე, მაგალითად, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გრეჩინას მოსავლის დაგვიანებით აღების გამო გამოწვეული ზარალის ანაზღაურება 1764 მანეთის რაოდენობით დაეკისრათ ბრიგადირებს კოლმეურნეობის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და საქმე, როგორც სასამართლოს არაქვემდებარე, წარმოებით მოსპო. ამასთან, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის № 1259 დადგენილების შესაბამისად უყაირათო და დაუდევარი მუშაობის გამო მოსავლიანობის შემცირებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საკითხი გადაწყდება კოლმეურნეობათა საერთო კრების დადგენილებით და არა სასამართლოს წესით (სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 14 სექტემბრის № 031 374 დადგენილება)¹. მატერიალური პასუხისმგებლობის ეს წესი გავრცელებული უნდა იქნეს აგრეთვე ბრიგადის იმ წევრების მიმართ, რომელთა უყაირათო და დაუდევარი მუშაობის შედეგად შემცირებული იქნა გევით გათვალისწინებული მოსავლიანობის ოდენობა.

საკოლმეურნეო წარმოებაში არასრულწლოვანთა შრომით მონაწილეობასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში აღიძრა საკითხი, კოლმეურნეობის ქონების დაზიანებისათვის არასრულწლოვანთა მატერიალური პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 9 და 405 მუხლების შესაბამისად მცირეწლოვანი პირი (თოთხმეტ წლამდე) პასუხს არ აგებს მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. მის მაგივრად პასუხს აგებენ ის პირები (მშობლები და მეურვე), რომლებიც კანონით ვალდებული არიან მასზე ზედამხედველობა განახორციელონ.

არასრულწლოვანი პირი (14—18 წლამდე) პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რასაც იგი მიყენებს სხვას. ამასთანავე მოცემულ შემთხვევაში მასთან ერთად მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე მშობლებს და მზრუნველს. ამის გამო ისეთი საქმის განხილვისას, რომელიც აღძრულია არასრულწლოვანი პირის მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ საქმეში უნდა ჩააბას არასრულწლოვანის მშობლები ან მზრუნველი და ზარალის ანაზღაურება დაეკისრონ როგორც არასრულწლოვანს, რომელიც დამნაშავეა ზარალის მიყენებაში, ასევე მის მშობლებს ან მზრუნველს. მშობლები ან მზრუნველი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხსენებულ თანხებს, გადაიხდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანს არა აქვს საკმაო ქონება, ხელოვანი ან შემოსავლის სხვა წყარო ზარალის ასანაზღაურებლად (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 10 ივნისის № 11 (6) უ დადგენილების 3 მუხ.)

ამ დადგენილებით გათვალისწინებული მითითება არ შეიძლება გავრცელებული იქნას კოლმეურნეობაში მომუშავე არასრულწლოვან პირთა მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების მიმართ.

¹ „Судебная практика Верховного суда СССР 1955 г. № 9, стр. 33.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სსკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 აპრილის დადგენილებით ნებადართულია კოლმეურნეთა ოჯახის არასრულწლოვან წევრების (12—16 წლამდე) კოლმეურნეობებში მუშაობა. ამასთან სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების 7 მუხლის შესაბამისად 16 წლის ასაკის არასრულწლოვან პირებს უფლება აქვთ შევიდნენ კოლმეურნეობაში დამოუკიდებლად მშობლების (მეურვის, მზრუნველის) ნებართვისა.

მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანი პირები სარგებლობენ კოლმეურნეობის წევრთა ყველა უფლებებით და ამასთან ერთად ეკისრებათ ყველა ვალდებულებები კოლმეურნეობის მიმართ.

ამ დებულების შესაბამისად, უკეთეს არასრულწლოვანი პირი კოლმეურნეობაში მუშაობის პროცესში დააზიანებს საკოლმეურნეო ქონებას, მატერიალური პასუხისმგებლობა ზარალის ანაზღაურებისათვის დაეკისრება უშუალოდ არასრულწლოვანს და არა მის მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს. ასე, მაგალითად, არასრულწლოვან ანტონოვს ჩაბარებული ჰყავდა მოსავლელად კოლმეურნეობის ორი ცხენი. მათ შორის ერთი დაიღუპა. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით მატერიალური პასუხისმგებლობა ცხენის დაღუპვისათვის დაეკისრა არასრულწლოვან ანტონოვს და მის დედას. მოცემულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და საქმე გადასცა სახალხო სასამართლოს ხელახლად განხილვისათვის შემდეგი მითითებით: ცხენის დაღუპვისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვანის დედას, რადგან იგი კოლმეურნეობაში ასრულებდა სხვა სამუშაოს და არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადო ზედამხედველობა განეხორციელებია თავის შვილის მოქმედებაზე.

ამრიგად, მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია არასრულწლოვან (12—18 წლამდე) პირთა მოქმედებით ან უმოქმედობით დაეკისრებათ მხოლოდ მათ და არა მათ მშობლებს, მეურვეებს ან მზრუნველებს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად მშობლებს, მეურვეებს ან მზრუნველებს მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ თავის პირადი შრომით შესასრულებელი სამუშაო კოლმეურნეობის გამგეობის ნებართვისა და თანხმობის გარეშე მიანდევს არასრულწლოვან პირებს.

მაგალითად, კოლმეურნეობის მეჯინებმ თავისი მოვალეობის შესრულება კოლმეურნეობის გამგეობის ნებართვისა და თანხმობის გარეშე მიანდო თავის არასრულწლოვან შვილს, რომლის უყურადღებობაც შედეგად ცხენი დაიღუპა, კოლმეურნეობის მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება მეჯინებს და არა მის არასრულწლოვან შვილს.

სასამართლოების ასეთი პრაქტიკა მართებულად უნდა ჩაითვალოს იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების თანახმად კოლმეურნეობის წევრები საკოლმეურნეო სამუშაოებს ასრულებენ მხოლოდ თავისი პირადი შრომით და მათ არ შეუძლიათ სხვისი შრომის გამოყენება.

კრიმინალისტიკის ექსპერტიზის საგნის საკითხისათვის

დოც. ბ. ხარაზიშვილი

სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკა ფართოდ იყენებს ისეთ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც კრიმინალისტიკური გამოკვლევის საგანს წარმოადგენენ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას საგამომძიებლო მუშაობისათვის, ამაზე მეტყველებენ საგამომძიებლო პრაქტიკის მაგალითები. ექსპერტის დასკვნით გამომძიებელს საშუალება ეძლევა დაადგინოს დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტები, დანაშაულის მოქმედების ხასიათი, დასახოს საგამომძიებლო ვერსიები და სხვ.

თანხმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლისა „ექსპერტები დაბარებულ უნდა იქნან ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვის დროს საჭიროა სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელობის სფეროში“.

ამიტომ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა კრიმინალისტიკური გამოკვლევა თავისთავად გულისხმობს მეცნიერების სპეციალური დარგის—კრიმინალისტიკის მონაცემებით სარგებლობას და მათ საფუძველზე გამოძიებისათვის საინტერესო საკითხების გადაწყვეტას.

მაგრამ საგამომძიებლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს კრიმინალისტიკური ექსპერტიზისათვის აგზავნიან საამისო საფუძვლის გარეშე.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლით, პირი იმ შემთხვევაში ეძლევა პასუხისმგებლობაში, თუ ადგილი აქვს ასაფეთქებელი ნივთიერების ან ქურდის, სასროლო (სანადიროს გარდა) და ცივი იარაღის (იმ ცივი იარაღის გარდა, რომლის შენახვა და ტარება დაკავშირებულია ყოფაცხოვრების პირობებთან და რომელიც ნაციონალური ტანისამოსის კუთვნილებათა) ნებადართულად დამზადებას, შენახვას, ყიდვასა და გასაღებას.

საგამომძიებლო პრაქტიკაში იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, თუ სახელდობრ რა ჩაითვლება ცივი იარაღად, როგორც წესი, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის გზით ხდება.

არაერთხელ ყოფილა დასმული საკითხი და ლიტერატურაშიც გამოთქმულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ამ სახის კრიმინალისტიკური ექსპერტიზას არ გააჩნია


არავითარი მეცნიერული საფუძველი. ექსპერტი-კრიმინალისტი, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების დავალებით, მიიღებს რა ამა თუ იმ სახის ცივი იარაღს (დანას, მახვილს და სხვ.) პირველ რიგში ახდენს მის დათვალიერებას. გამოკვლევის პროცესი მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ ექსპერტი აღწერს იარაღის მოცემული ეგზემპლარის ნიშნებს (ფორმას, ზომას და სხვა ინდივიდუალურ ნიშნებს) იმ წარმოსახვითი ნიშნების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სათანადო „სტანდარტული“ იარაღებს. ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ გამოკვლევისათვის მიღებული ნამდვილად წარმოადგენს ცივი იარაღს, ემყარება „სტანდარტული“ იარაღების ნიმუშებთან მსგავსებას.

რომ არაფერი ვთქვათ თვით ამ „სტანდარტული“ იარაღების მრავალგვით შესაძლებელ ცვალებადობაზე ტექნიკური თუ კუსტარული დამზადების ხერხების წყალობით, ცივი იარაღების საექსპერტო შესწავლისას კვლევის პროცესი არ ემყარება მეცნიერულ ანალიზსა და სინთეზს.

ექსპერტი იძულებული ხდება ამ შემთხვევაში მიმართოს უბრალო ამოცანების მეთოდს იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც მისთვის ცნობილია, როგორც ამა თუ იმ სახის იარაღისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ცხადია, ამოცანების მეთოდი როგორც საგამომძიებლო მოქმედების სახე არ შეიძლება იყოს იდენტური მეცნიერული მეთოდის ცნებასთან: ეს მეთოდი (ამოცანობა) ემყარება წმინდა პრაქტიკულ დაკვირვებას და არა მეცნიერულ განზოგადებას.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება რა თქმა უნდა გამართლებულია ისეთ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად დანაზე (ან სხვა სახის ცივი იარაღზე) მოიპოვება რაიმე სახის კვალი: თითის ანაბეჭდი და სხვ. ამ შემთხვევაში ექსპერტის წინაშე კვლევითი ხასიათის მუშაობის ჩატარების ამოცანებს ვუყენებთ. იგი უყოყმანოდ შეუდგება კვლევითი ხასიათის მუშაობის შესრულებას იმის გამო, რომ მისთვის უკვე ცნობილია საამისოდ შემუშავებული მეცნიერული მონაცემები. მაგრამ იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა ჩაითვლება ცივი იარაღად, არ უნდა ხდებოდეს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის გზით. საგამომძიებლო პრაქტიკა იმ აუცილებლობაზე მიუთითებს, რომ კანონმდებლობაში უშუალოდ მოგვეცეს ცივი იარაღის



ცნება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები ზოგჯერ ახდენენ ისეთი იარაღების გასაღებასაც, რომლებიც თავიანთი ნიშნებით არაფრით არ განსხვავდებიან ცივი იარაღებისაგან. იმ შემთხვევაში, როცა გარკვეული იქნება, თუ რა ვიგულისხმობთ ცივი იარაღის ცნებაში, ცხადია, გამოძიებულს აღარ დასჭირდება საექსპერტო გამოკვლევის გზით დაადგინოს ცივი იარაღის სახე ან მისი ინდივიდუალობა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლი არ იძლევა ამოწურავ პასუხს აგრეთვე სასროდ იარაღებთან დაკავშირებითაც ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც ადგილი აქვს იარაღის კუსტარული წესით დამზადებას. ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას იმიტომ, რომ ზოგჯერ შეიძლება კუსტარული წესით იარაღის დამზადება მაშინაც ჰქონდეს ადგილი, როცა პირს ამოძრავებს ამ იარაღის ნადირობისათვის მოხმარებას სურვილი.

რაც შეეხება უშუალოდ კრიმინალისტური ექსპერტიზის საგანს, უნდა აღინიშნოს, რომ აქ გასათვალისწინებელია საკითხის ორი მხარე. სახელდობრ:

1. თუ გამოვალთ იმ მოსაზრებიდან, რომ კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერება, შეისწავლის დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების ტაქნიკას, ტაქტიკასა და მეთოდებს, მაშინ გასაგებია, რომ კრიმინალისტური ექსპერტიზის ცნებას შეიძლება მიეცეს ფართო მნიშვნელობა. მართლაც დანაშაულის გახსნისათვის ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ეს იგივე კრიმინალისტური მიზნებისათვის შესრულებული ექსპერტიზაა და აქ მეორე პლანზეა ის მონაცემები, რომლებიც საფუძვლად ედება ამ თუ იმ სახის კონკრეტულ ექსპერტიზას. შემთხვევითი არ არის, რომ კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილი, როგორც დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა, ექსპერტიზის დანიშნვის ტაქტიკის საკითხის განხილვისას გამოიღიარებოს არა მარტო მეცნიერული მონაცემების კლასიფიკაციიდან, არამედ პირველ რიგში, გამოძიებისათვის საინტერესო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობიდან. თუ გამოძიებლის წინაშე საკითხი ისმება მოცემული ნივთიერების ქიმიური შემადგენლობის დადგენის აუცილებლობის შესახებ, იგი სვამს საკითხს ქიმიური ექსპერტიზის დანიშვნაზე, თუ სადღაოა დოკუმენტების მიღება საბუხშალტრო თვალსაზრისით—საბუხშალტრო ექსპერტიზის ჩატარებაზე და სხვ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა ეს ექსპერტიზა დანაშაულის გახსნას

ემსახურება, ცხადია, შეიძლება მას პირობით ვუწოდოთ კრიმინალისტური ექსპერტიზა (ფართო გაგებით).

2. მიუხედავად ამისა, საფუძველი არა გვაქვს არ გავარჩიოთ ექსპერტიზის სახეები იმ ნიშნების მიხედვითაც, თუ მეცნიერების რომელი დარგის მონაცემებზეა დამყარებული იგი. ამ საკითხის არასწორ გაგებას იქამდე მივყევართ, რომ სწორად საგამომიებლო დარგისა და მეცნიერის მუშაკები არ განასხვავებენ კრიმინალისტურ ექსპერტიზას სხვა ისეთი დარგის ექსპერტიზებისაგან (ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკური), რომლებიც კრიმინალისტურ დაწესებულებებში ტარდება.

კრიმინალისტური ექსპერტიზა ვიწრო გაგებით, იმ სახის ექსპერტიზას გულისხმობს, რომლის ჩატარებაც დამყარებულია მხოლოდ კრიმინალისტიკის მეცნიერების მონაცემებზე. ისეთი სახის ექსპერტიზა, როგორცაა: დოკუმენტების კრიმინალისტური გამოკვლევა (გრაფიკული და ტექნიკური), სხვადასხვა სახის მატერიალური ანაბეჭდების (ტრასოლოგიური), დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური და ფოტოსურათების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია ისე, თუ ექსპერტმა არ გამოიყენა კრიმინალისტიკის ზოგად ნაწილში გაშუქებული მეცნიერული მონაცემები.

მართლაც ის გარემოება, რომ ზოგან კრიმინალისტური დაწესებულებაში ტარდება აგრეთვე ქიმიური თუ ბიოლოგიური ექსპერტიზებიც, არ უკარგავს ამ ექსპერტიზებს დამოუკიდებლად არსებობის უფლებას.

თუ, მაგალითად, ბიოლოგიის წინაშე დასმულია საკითხი სისხლის შემადგენლობის ანალიზის შესახებ, ამ შემთხვევაში, ცხადია, მას ამ საკითხის გარკვევისათვის მოუხდება მიმართოს მხოლოდ ბიოლოგიის მეცნიერების მონაცემებს და საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მას მუშაობა უხდება კრიმინალისტურ დაწესებულებაში.

დავას არ უნდა იწვევდეს აგრეთვე ის, რომ ქიმიური რეაქციებისა და ანალიზების ჩატარების შედეგები არ იმყოფება მიწვევობრივ კავშირში კრიმინალისტური დაწესებულებების მუშაობის სასაიათთან. აქ მთავარია გამოძიებლის მიერ ექსპერტის წინაშე საკითხის სწორად დაყენება და ექსპერტის მიერ სპეციალური მეცნიერული მონაცემებით საბეჭდობა.

ამიტომ, როგორც სწინა, არ არის საფუძველი კრიმინალისტური ექსპერტიზა ავტორით მეცნიერების სხვა დარგის ექსპერტიზებთან.



ეკთი პროცესუალური საკითხის შესახებ

ბ. ღვდარიანი,

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საკოლმეურნეო კომლის ქონებრივი გაყოფის საკითხების განხილვა გარდა სახალხო სასამართლოსა ექვემდებარება სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოს.

საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფის შესახებ დავების უმეტესი ნაწილი სასამართლოების მიერ არასწორად წყდება.

ეს აიხსნება ერთის მხრივ კომლის ქონების გაყოფის მომწესრიგებელი ნორმების სიძველით და არა საქმარისობით, მეორე მხრივ საკითხთა იმ სიმრავლით, რომლებიც წამოიჭრებიან კომლის ქონების გაყოფასთან დაკავშირებით (მეურნეობის ტიპის განსაზღვრა, გასაყოფი ქონების ხასიათი, კომლის წევრობის განსაზღვრა კომლის წევრთა უფლება ქონებაზე და სხვ).

თუ აღნიშნულ საკითხთა სათანადო გადაწყვეტა, ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს სასამართლოსათვის ბუნებრივია, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას განსაკუთრებული სირთულის წინაშეა სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლო, რომელსაც სახალხო სასამართლოსთან შედარებით პროცესუალური მოქმედების ძალაზე შეზღუდული სფერო და კომპეტენცია გააჩნია.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-2 მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების შესაბამისად, სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლო იხილავს „სარჩელს არა უმეტეს სამოცდახუთმეტი მანეთისა რაც ქონებრივი უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს“ და დავას მიწის შრომითი სარგებლობის უფლების შესახებ, სადაც მხარეებად არიან ცალკეული კომლნი ან ცალკეული მოქალაქენი, სარჩელის თანხის მიუხედავად, აგრეთვე დავას კომლის გაყრის შესახებ“.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კომლის ქონების საგრძნობი ნაწილი წყდება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების მიერ.

განცხადებებს კომლის გაყოფის შესახებ სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოებს ძირითადად უგზავნიან სახალხო მოსამართლეები, აღნიშნული კატეგორიის საქმეებისაგან სასამართლოების განტვირთვის მიზნით. ასეთი პრაქტიკა იწვევს მხარისათვის კანონით გარანტირებული პროცესუალური უფლების უხეშად დარღვევას და მათზე სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის იძულებით თავმოხვევას.

ყვარელის რაიონის სახალხო მოსამართლემ ბ. ჩიხაშვილის განცხადება განსახილველად გაუგზავნა ყვარელის სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს რეზოლუციით „მოახდინეთ გაყრილობა სულთა რაოდენობის მიხედვით“.

როგორც აღინიშნა, სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოების მიერ

საქმეთა უმრავლესობა არასწორადაა გადაწყვეტილი, რაც სხვა არსებითი ხასიათის დარღვევებთან ერთად უმთავრეს გამოხატულებას პოულობს კომლის ყველა წევრისათვის ქონების თანაბარი წილის მექანიკურად მიკუთვნებაში.

სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების დადგენილების განსაჩივრების ერთიანი პრაქტიკა არ არსებობს.

დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილება საბოლოოა, არ გასაჩივრდება და ამავე დროს დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღსრულებული.

სახალხო სასამართლოები უმთავრეს შემთხვევაში დებულების აღნიშნულ მუხლზე მითითებით, მხარეთა საჩივრებს კომლის ქონების გაყოფის შესახებ სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოთა დადგენილებების უკანონობაზე არ დებულობენ ან თუ დებულობენ, იხილავენ ერთპიროვნულად, ზოგ შემთხვევაში მსაჯულების მონაწილეობით, მაგრამ როგორც წესი, მხარეთა გამოწვევის და მონაწილეობის გარეშე.

ქუთაისის რაიონის სახალხო მოსამართლემ მხარეების გამოწვევის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა სოფელ ნაგარევის სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილების კანონიერება ი. და მ. გიორგაძეებს შორის კომლის გაყოფის საქმეზე და დადგენილება ძალაში დატოვა.

სამტრედიის რაიონის სახალხო მოსამართლემ შეამოწმა მსაჯულების მონაწილეობით, მაგრამ მხარეთა გამოწვევის გარეშე სოფელ დაბლა გომის სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილების კანონიერება ა. ჩიჩუასა და პ. ცხვარაძეს შორის კომლის ქონების გაყოფის შესახებ და დადგენილება ძალაში დატოვა.

სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების პრაქტიკაში არსებული შეცდომების ძირითადი მიზეზი ჩვენის აზრით დებულების სიძველით აიხსნება.

დებულება „სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ“ მიღებულია 1930 წლის 9 ნოემბერს.

დებულების შემოღებამდე დავას მიწის შრომითი სარგებლობის და მიწის გაყოფის შესახებ იხილავდა სახალხო სასამართლო. დებულების შემოღების შემდეგ ეს უფლება მიენიჭა სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოებსაც.

კომლის გაყრა (გაყოფა—როდესაც ერთი კომლის ნაცვლად იქმნება ორი ან რამოდენიმე ახალი კომლი) უშუალოდ დაკავშირებული იყო კომლის განკარგულებაში მყოფი მიწის გაყოფასთან. აღნიშნული, მკაფიო გამოხატულებას ჰპოებდა რსფსრ-ს მიწის კოდექსში, რომლის მიხედვითაც „უკეთეს კომლის მიწის გაყოფასთან ერთად საჭიროა მისი ქონების გაყოფაც, მაშინ გაყოფის ასეთი დავა მთლიანად ექვემდებარება საადგილმამულო კომისიას, ხოლო დავა მარტო ქონების გაყოფის შესახებ მიწის გაყოფის გარეშე, გადაწყდება სახალხო სასამართლოების მიერ“ (81 მუხ.).

სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა იმ პერიოდისათვის სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოებზე კომლის გაყოფის შესახებ დავების გადაწყვეტის უფლების მინიჭებას. ამასთან, მიწის კოდექსის ნორმების მიხედვით დადგენილი იყო კომლის გაყოფის მარტივი წესი (სულადობის მიხედვით ქონების თანაბარი წილის მექანიკურად მიკუთვნება).

ამჟამად მდგომარეობა ძირითადად შეცვლილია, კომლის გაყოფასთან დაკავშირებით მიწის გაყოფის საკითხი სასამართლოს და სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოს კომპეტენციიდან ამოღებულია. კომლის გაყოფის სასამართლო პრაქტიკაში ძირეული ცვლილებები შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივნისის დადგენილებამ „სახალხო სასამართლოების მიერ კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხთა კომლის გაყრის და ქონების გამოყოფის საქმეების განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როცა კომლის წევრი საბჭოთა არმიაში ან სამხედრო საზღვაო ფლოტში იმყოფება“.

ამგვარად დღეისათვის გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოები, რომელთა უფლება— მოსილებაში სამოცდახუთმეტი მანეთის ფარგლებში წარმოშობილი ქონებრივი დავების განხილვა შედის, იხილავდნენ კომლის გაყოფის შესახებ წარმოშობილ დავებს, როდესაც გასაყოფი ქონების ფულადი ღირებულება ხშირ შემთხვევაში რამოდენიმე ათასეულ მანეთს აღემატება.

საკოლმეურნეო კომლი, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული, უფლებებთან ერთად გარკვეულ მოვალეობას ატარებს სახელმწიფოს წინაშე.

კომლის სამეურნეო ძლიერება სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შესრულების ძირითადი პირობაა. ამიტომ კომლის ქონების გაყოფის დროს დაშვებული შეცდომები რაც ხშირ შემთხვევაში კომლის სამეურნეო ძლიერების შესუსტებას იწვევს შეუწყნარებელია.

საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფასთან დაკავშირებით შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ჩვენის აზრით დროულია დაისვას საკითხი, სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს კომპეტენციიდან კომლის გაყოფის შესახებ დავების გადაწყვეტის უფლების ამოღების შესახებ.



ს ა უ ბ ა რ ი მ ე ო რ ე

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი

საბჭოთა სასამართლოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლას, სისხლის სამართლის საქმეების განხილვას. დანაშაულებრიობასთან ბრძოლა წარმოებს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენს საბჭოთა სამართლის მნიშვნელოვან და საკმაოდ რთულ დარგს, რომლის ცოდნა, თუნდაც მის ძირითად დებულებებში, მეტად აუცილებელია სახალხო მსაჯულისათვის.

ამ წერილს მიზნად აქვს გააცნოს სახალხო მსაჯულებს საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითადი ცნებები: დანაშაულის შემადგენლობა და მისი ელემენტები, დანაშაულის კვალიფიკაცია, ბრალი და სხვა, რადგან ამ ძირითადი დებულებებისა და სისხლის სამართლის სპეციალური უფლებრივი ტერმინოლოგიის შეთვისების გარეშე სახალხო მსაჯულებისათვის ძნელი იქნება გაერკვნენ სისხლის სამართლის რთულ და მრავალსახოვან საქმეებში.


ასეთი ზოგადი წერილის აუცილებლობა, გამოწვეულია იმითაც, რომ შემდეგისათვის განზრახულია, სახალხო მსაჯულებთან საუბრებში სისხლის სამართლის საკითხების გაშუქება აიგოს სასამართლო ორგანოების მიერ განხილულ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის საფუძველზე. ამ მასალის ასათვისებლად აუცილებელია აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითადი დებულებების ცოდნა.

საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შედგება სამი ძირითადი განყოფილებისაგან: 1) მოძღვრება სისხლის სამართლის კანონის შესახებ; 2) მოძღვრება დანაშაულის შესახებ და 3) მოძღვრება სასჯელის შესახებ.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი. სისხლის სამართლის კანონი—ეს არის სსრ კავშირის, ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების აქტი, რომელიც ადგენს განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედობის დასჯადობას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრებადობაა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედ საერთო საკავშირო კანონებისა და, აგრეთვე სისხლის სამართლის იმ კანონებისა, რომელთაც დებულებენ ცალკე მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთ ტერიტორიაზე სამოქმედოდ. მაგალითად, საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონს წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

თვითეული დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლით, ან სისხლის სამართლის სხვა კანონით. განსაზ-



ღვრული კანონის მიყენება კონკრეტული დანაშაულისადმი, მითითება იმისა, რომ ესა თუ ის დანაშაული გათვალისწინებულია კანონის ამა თუ იმ მუხლით, დანაშაულის კვალიფიკაციად იწოდება. მაშასადამე, დანაშაულის კვალიფიკაცია არის ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის სწორი უფლებრივი შეფასება, წარმოებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი შესაბამისი სისხლის სამართლის კანონის შეფარდებით.

არასწორი კვალიფიკაცია, ეს არის სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევა, რომელიც იწვევს, როგორც წესი, განაჩენის გაუქმებას.

ზოგჯერ კანონის ერთი და იგივე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას არა ერთი, არამედ ერთსა და იმავე დროს ორი ან მეტი დანაშაულისათვის. როგორც წესი, ესენი მსგავსი დანაშაულებია, მაგრამ ჩადენილია დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებში. კანონის ასეთი მუხლები იყოფა ნაწილებად, ამიტომ ამა თუ იმ დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია რომ მიეცეს, საჭიროა არა მარტო კანონის ზუსტად ჩვენება, არამედ დასახელებული უნდა იქნას მისი ნაწილიც, რომელიც ითვალისწინებს მოცემული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას. მაგალითად, ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს რსფსრ სსკ 74 მუხლი, რომელსაც ორი ნაწილი აქვს; პირველი ნაწილი შეეფარდება არადადამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ხულიგნობას, ხოლო მეორე ნაწილი სჯის ისეთ ხულიგნურ მოქმედებას, რომელსაც თან სდევდა დამამძიმებელი (მაკვალიფიცირებელი) გარემოებანი.

სისხლის სამართლის კანონში ანსხვაგვებენ აგრეთვე დისპოზიციას და სანქციას. კანონის იმ ნაწილს, რომელშიც დასახელებული ან აღწერილია განსაზღვრული დანაშაული, დისპოზიცია ეწოდება, ხოლო იმ ნაწილს, რომელშიც ჩამოთვლილია სასჯელის ზომები, სანქცია ეწოდება. კანონის სანქციები სხვადასხვაგვარია, ზოგი მათგანი ზუსტად უჩვენებს სასჯელის რა ზომა რა ვადით უნდა შეუფარდოს სასამართლომ მსჯავრდადებულს. მაგალითად, რსფსრ სსკ 74 მუხლის პირველი ნაწილი ხულიგნობისათვის ადგენს სასჯელის მხოლოდ ერთ ზომას—პატიმრობას ერთი წლის ვადით, მაგრამ ზმირად კანონი სასამართლოს უფლებას აძლევს შეარჩიოს ერთი რომელიმე სახე მის სანქციაში დასახელებულ სასჯელებიდან და მიუთითებს მხოლოდ სასჯელის საზღვრით ვადაზე (ამ ვადიდან ამ ვადამდე). ასეთ სანქციები სასამართლოს საშუალებას აძლევენ, უფრო ზუსტად შეარჩიოს სასჯელის ზომა საქმის ყველა გარემოებათა შესაბამისად და სასამართლოს წინაშე მდგარი ადამიანის პიროვნების გათვალისწინებით.

რსფსრ სსსკ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) 2 მუხლი მიუთითებს: „ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედ სისხლის სამართლის კანონით“. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონი შეიძლება შეფარდებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში ეს კანონი გამოქვეყნებული იყო, ე. ი. ძალაში იყო შესული. მაგრამ თუ ახალი კანონი ამსუბუქებს ან სრულიად ხსნის პასუხისმგებლობას, მაშინ იმ მოქმედების მიმართ, რომელიც ჩადენილია ახალი კანონის გამოცეამდე, აუცილებლად შეფარდებული უნდა იქნას სწორედ ახალი კანონი. ამ შემთხვევაში კანონს უკუქცევითი ძალა აქვს.

ყველა ჩადენილი დანაშაულის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედებს.

რსფსრ სისხლის სამართლის კანონები გამოიყენება მთელ მის ტერიტორიაზე ყველა პირის მიმართ, როგორც რსფსრ, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთა და უცხოელების მიმართ, თუ ეს უკანასკნელი დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლებით არ სარგებლობენ. როცა სასამართლო იხილავს სისხლის სამართლის საქმეს ისეთ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მან უნდა გამოიყენოს დანაშაულის ჩადენის ადგილის კანონები, ე. ი. იმ რესპუბლიკის კანონები, რომლის ტერიტორიაზეც იგი ჩადენილია. მაგალითად, როცა დამნაშავე მიცემულია პასუხისმგებლობაში რსფსრ სასამართლოს მიერ უკრაინაში ჩადენილი დანაშაულისათვის, გამოყენებული უნდა იქნას უკრაინის სსრ სსკ.

დანაშაულის ცნება. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი (რსფსრ სსკ მე-6 მუხლი) დანაშაულს განსაზღვრავს, როგორც საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ან უმოქმედობას, რაც მიმართულია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ან არღვევს სოციალისტურ მართლწესრიგს.

ყოველი დანაშაულის მთავარ და გადამწყვეტ ნიშანს მისი საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს, ე. ი. დანაშაულის მიმართება საბჭოთა საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ. უკეთეს ესა თუ ის მოქმედება არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას, ის არ ითვლება დანაშაულებრივად.

რსფსრ სსკ მე-6 მუხლის შენიშვნა მიუთითებს, რომ უკეთეს ესა თუ ის მოქმედება ფორმალურად დანაშაულის ნიშნების მქონეა, მაგრამ მავნე შედეგები არ გამოუწვევია და მცირემნიშვნელოვანია, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად და, ამიტომ, დანაშაულებრივად. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ასეთი მითითება ხაზს უსვამს იმას, რომ დანაშაულის განსაზღვრას საფუძვლად ედება არა ფორმალური ნიშნები, არამედ მისი ძირითადი ნიშანია საზოგადოებრივი საშიშროება. ფორმალურად, კანონის ანბანისადმი ბრმად გაყოლა, საქმის ყველა გარემოებათა და იმ ადამიანის პიროვნების გათვალისწინების გარეშე, რომელიც დამნაშავეს სკამზე აღმოჩნდა, უხეშად ეწინააღმდეგება სოციალისტური მართლმსაჯულების ბუნებას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საბჭოთა სახელმწიფოსა და სასამართლოს ინტერესები და საბჭოთა მოქალაქეების ინტერესები. სანამ ესა თუ ის მოქმედება ჩაითვლება დანაშაულად, დადგენილი უნდა იქნას, რომ იგი აკრძალულია კანონით სასჯელის რიგით, რომ იგი კანონსაწინააღმდეგოა. უკეთეს ეს მოქმედება კანონში არ არის დანაშაულად გათვალისწინებული, მას არ შეუძლია გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

თვითეული ცალკე დანაშაული შედგება ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებისაგან. ასეთი ნიშნების კრებადობა, რომელიც ახასიათებს მოცემულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, დანაშაულის შემადგენლობად იწოდება.

სამართალში მიცემულის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენა სასამართლოს ძირითადი ამოცანაა, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობა ეს არის ერთადერთი საფუძველი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისა და დამნაშავეს დასჯისათვის.

სამართალში მიცემულის მოქმედებაში ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენა შესაძლებლობას იძლევა სწორად იქნას კვალიფიცირებული ეს მოქმედება და, მასასადმე, სწორედ იქნას იგი შეფასებული კანონის თვალსაზრისით.



ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ზუსტად იქნას დადგენილი ფაქტიური გარემოებანი, დამახასიათებელი იმ ინტერესებისათვის, რომლებსაც დანაშაული ხელყოფს (დანაშაულის ობიექტი); თავისებურებანი თვით დანაშაულებრივი ქმედობისა და მისი შედეგებისა (დანაშაულის ობიექტური მხარე); დანაშაულის სუბიექტის ასაკი და ფსიქიური მდგომარეობა, აგრეთვე მისი შინაგანი ფსიქიური მიმართება თავის დანაშაულთან (დანაშაულის სუბიექტური მხარე). მასასადამე, დანაშაულის შემადგენლობა—ეს არის ნიშნების კრებადობა, რომელიც ახასიათებს დანაშაულის ობიექტს, მის ობიექტურ მხარეს, დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. ეს ნიშნები მთლიანად, უფრო ხშირად, ნაწილობრივ აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის მოცემულ შემადგენლობისათვის. როცა სასამართლო ანალიზს გაუკეთებს ყველა ამ ნიშნებს და მივა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ემთხვევიან იმ ნიშნებს, რომლებიც კანონშია მითითებული, შესაბამისია მათი, ეს ნიშნავს დამნაშავის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობისა და მისი დასჯისათვის საფუძვლის დადგენას.

თუ ასეთი შესაბამისობა დადგენილი არ იქნა, ეს გამოიწვევს ან საერთოდ საქმის მოსპობას დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო (რსფსრ სსსკ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი) ან დანაშაულის გადაკვალიფიცირებას, ე. ი., დამნაშავის მოქმედებისადმი სისხლის სამართლის იმ კანონის შეფარდებას, რომლის ნიშნებიც არის მის მოქმედებაში. არ არსებობს დანაშაულის ორი შემადგენლობა, რომელთა ნიშნებიც მთლიანად ერთმანეთს ემთხვეოდეს, ამიტომ თვითეული დანაშაულის ზუსტი ნიშნების დადგენა საფუძველია დანაშაულის შემადგენლობის სწორი კვალიფიკაციისა და, მასასადამე, სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა ზუსტი დაცვისა.

დანაშაულის ობიექტური მხარე შეიცავს თვით სამართალში მიცემულის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ან უმოქმედობას, მის დანაშაულებრივ შედეგებს, აგრეთვე, ზოგიერთ გარემოებებს, რომლებიც ახასიათებს ამ მოქმედებას (ადგილი, დრო, მოქმედების ხერხი). როგორც წესი, სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციის მუხლი აღწერს დანაშაულის შემადგენლობის სწორედ ობიექტურ მხარეს.

ბევრი დანაშაული კანონში მოხაზულია იმგვარად, რომ მათ ობიექტურ მხარეში მოთავსებულია არა მარტო საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის თვით ფაქტი, არამედ მისი დანაშაულებრივი შედეგიც. მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანების ობიექტური მხარის დახასიათება შეიცავს არა მარტო მოქმედების ჩადენას (ცემა, გვემა და სხვ.), არამედ დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასაც. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა სამართალში მიცემულის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ე. ი., დაადგინოს, რომ ადამიანისადმი ზიანის მიყენების მიზეზი იყო სწორედ მისი ცემა და არა უბრალოდ დაავადება, რაც არ იყო კავშირში ცემასთან.

დანაშაულის სუბიექტი—ეს არის შერაცხადი, კანონით დადგენილი ასაკის მიღწეული დანაშაულის ჩამდენი პირი. სუბიექტის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა მისი შერაცხადობა, ე. ი., უნდა ჰქონდეს თავისი მოქმედების შეცნობის უნარი და მასზე თავისთავს ანგარიშს უნდა აძლევდეს; არაშერაცხადად ითვლება ის პირი, რომელიც ფსიქიური და-

ავადების გამო დანაშაულის ჩადენის მომენტში ვერ შეიცნობდა, რომ დანაშაულს იღენდა და არ შეეძლო თავისი მოქმედების მართვა. შეურაცხადობის მდგომარეობა ხსნის პასუხისმგებლობას (რსფსრ სსკ 1¹ მუხლი), მაგრამ არა-შერაცხადი, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს თავისი ყოფაქცევით, სასამართლოს დადგენილებით შეიძლება გაგზავნილი იქნას იძულებით სამკურნალოდ. სამართალში მიცემულის ფსიქიურ მდგომარეობას განსაზღვრავს სასამართლოს მიერ დანიშნული სასამართლო-ფსიქიატრული ექსპერტიზა.

ხშირად დანაშაულის ჩადენა ხდება სიმთვრალის მდგომარეობაში.

კანონის თანახმად (რსფსრ სსკ მე-11 მუხლის შენიშვნა) სიმთვრალე არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 14 წელი შეუსრულდა. მაგრამ ისეთ დანაშაულთა ჩადენა, როგორცაა ქურდობა, ძალადობა, სხეულის დაზიანება, დასახიჩრება, მკვლელობა, ან ამ დანაშაულთა ჩადენის მცდელობა პასუხისმგებლობას იწვევს 12 წლიდან (რსფსრ სსკ 12 მუხლი). ამავე ასაკიდან პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოზარდებს, დამნაშავეებს რელსების გახსნასა და მათზე სხვადასხვა საგნების დადებაში, რამაც მატარებლის მარცხი გამოიწვია (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულება).

დანაშაულის სუბიექტური მხარე. სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებელია მხოლოდ ბრალეული პირი. ბრალეულობა აუცილებელი ნიშანია ყველა დანაშაულისათვის. თვითეული დანაშაულის სწორედ სუბიექტური მხარე გულისხმობს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ბრალეულად ჩადენას. ბრალი არის დანაშაულის სუბიექტის შინაგანი, ფსიქიური დამოკიდებულება ჩადენილ მოქმედებასა და მის შედეგთან. ბრალი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით (რსფსრ სსკ 10 მუხლი). განზრახვა შეიძლება იყოს პირდაპირი და არა პირდაპირი; იღენს რა დანაშაულს პირდაპირი განზრახვით, ბრალეული პირი შეიცნობს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს და სურს მისი მავნე შედეგის დადგომა. დანაშაულთა უმეტესობა შეიძლება პირდაპირ განზრახვით იყოს ჩადენილი (მკვლელობა, დატაცება, გაუპატიურება და სხვ.).

არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბრალეული პირი შეიცნობს რა თავისი მოქმედებისა და მის შედეგების საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, შეგნებულად უშვებს მის დადგომას და უდარდელად ექცევა მას.

გაუფრთხილებლობაც, იყოფა ორ სახეობად: დანაშაულებრივი თვითიმედოვნება და დანაშაულებრივი დაუდევრობა. დანაშაულებრივი თვითიმედოვნებაა იქ, სადაც ბრალეული იღენს რა საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას, შეიცნობს, ითვალისწინებს მის შედეგს, მაგრამ მოუფიქრებლად იმედოვნებს, რომ ეს შედეგი არ დადგება. ამასთან ერთად, ბრალეულს შეუძლია ივარაუდოს თავისი მოხერხებულობა, ცოდნა, სხვა პირების ჩარევა და სხვა, მაგრამ ასეთი მოუფიქრებელი იმედი არ მართლდება.

დანაშაულებრივი დაუდევრობა იმაში გამოიხატება, რომ ბრალეული არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, თუმ-

ქართული
ენების
საქართველო

ცა საქმის ყველა გარემოებისა და თავისი პირადი თვისებების მხედვით ვალდებული იყო და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა იგი.

შეეძლო და ვალდებული იყო თუ არა ბრალეული პირი გაეთვალისწინებინა დანაშაულებრივი შედეგები, თვითეულ შემთხვევაში სასამართლო ვადაწყვეტს სამართალში მიცემულის პროფესიის, გამოცდილების, ცოდნის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვათა მიხედვით.

უკეთუ პირი, იდენდა რა მოქმედებას, არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მისი ჩადენით საშიში შედეგები დადგებოდა, არ შეიძლება ბრალეულად ჩაითვალოს, ე. ი., ეს შედეგი პირისათვის ითვლებოდა შემთხვევითად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს
საკანონმდებლო განჯრახულობათა კომისიეზი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განჯრახულებათა კომისიეზმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოაქვეყნონ უურნალ „მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში“, აგრეთვე იურიდიულ უურნალებში წინასწარ განსახილველად პროექტი „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისებისა“ და პროექტი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლებისა“. განხილვის შემდეგ ამ კანონპროექტებს საკანონმდებლო განჯრახულებათა კომისიეზი შეიტანენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ყველა შენიშვნა და წინადადება გამოქვეყნებულ კანონპროექტთა გამო გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: მოსკოვი, კრემლი, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განჯრახულობათა კომისიეზს.

პროექტი

**სსრ კავშირის და მოკავშირე კონსპუბლიკების სისხლის
სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები**

კარი I

მუხლი 1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანა

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანაა დაიცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, შექმნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, სოციალისტური საკუთრება. მოქალაქეთა პიროვნება, მათი პოლიტიკური, ქონებრივი და სხვა უფლებები და მთელი სოციალისტური მართლწესრიგი.

ეს ამოცანა ხორციელდება სასჯელის ღონისძიებათა დაწესებისა და დამნაშავესადმი მათი შეფარდების გზით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე და ამ ძირითადი საწყისების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკები მიიღებენ სისხლის სამართლის კოდექსებს.

სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულთა სახეობები და მათ გამო სასჯელის ღონისძიებანი განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით. საჭირო შემთხვევებში სსრ კავშირის კანონმდებლობით განისაზღვრება აგრეთვე პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს იწვევს სსრ კავშირის მიერ დადებულ საერთაშორისო შეთანხმებათა მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის სხვა საკითხები, აგრეთვე ამ კოდექსების ზოგადი ნაწილის საკითხები, რომელიც სრულიად საკავშირო კანონმდებლობას არ მიეკუთვნება, გადაწყდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 3. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინაა, თუ არის დანაშაულის შემადგენლობა

არავინ არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში და დაისაჯოს თუ არა იმ ქმედობის გამო, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას.

მ უ ხ ლ ი 4. სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს მიერ

სისხლის სამართლის სასჯელი შეიძლება შეფარდებული იქნეს კანონის შესაბამისად მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

მ უ ხ ლ ი 5. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სსრ კავშირის მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის

სსრ კავშირის მოქალაქე, რომელმაც სსრ კავშირში ჩაიდინა დანაშაული, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს იმ კანონებით, რომლებიც მოქმედებენ მოკავშირე რესპუბლიკაში, სადაც ჩადენილია დანაშაული, ხოლო რომელმაც ჩაიდინა დანაშაული საზღვარგარეთ — იმ კანონებით, რომლებიც მოქმედებენ მოკავშირე რესპუბლიკაში, სადაც იგი დაკავეს ან სამართალში მისცეს. ამავე საფუძველზე აგებს პასუხს სსრ კავშირში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი.

მ უ ხ ლ ი 6. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის

უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც სსრ კავშირში დანაშაულს ჩაიდენს, სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს საბჭოთა კანონებით.

იმ უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელნიც მოქმედი კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებათა მიხედვით არ ექვემდებარებიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო დაწესებულებათა იურისდიქციას, თუ ამაზე არაა შესაბამისი უცხო სახელმწიფოს მთავრობის თანხმობა, უნდა გადაწყდეს დიპლომატიური გზით.

უცხოელები, რომლებიც ჩაიდენენ დანაშაულს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იქნენ სსრ კავშირში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი.

უცხოელებს, რომელნიც მიცემულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსრ კავშირში, შეეფარდებათ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობა, სადაც ჩადენილია დანაშაული, ხოლო თუ დანაშაული ჩადენილია სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ, — იმ მოკავშირე რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობა, სადაც დამნაშავე შეიპყრეს ან სამართალში მისცეს.

მ უ ხ ლ ი 7. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა აქვს ე. ი. ვრცელდება აგრეთვე ისეთ ქმედობაზე, რომელიც ჩადენილია ამ კანონის გამოცემაამდე.

კანონს, რომელიც აღდგენს ქმედობის დასჯადობას ან ამძიმებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს.

კარი II

დანაშაულის შესახებ

მ უ ხ ლ ი 8. დანაშაულის ცნება

დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც მიმართულია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა პიროვნების, მათი პოლიტიკური, ქონებრივი და სხვა უფლებების წინააღმდეგ ან სხვაგვარად არღვევს სოციალისტურ მართლწესრიგს.

დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას.

მ უ ხ ლ ი 9. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინაა თუ არის ბრალი

საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მაშინ, თუ არის ბრალი. ბრალეულად ითვლება ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

მ უ ხ ლ ი 10. დანაშაულის განზრახ ჩადენა

დანაშაული განზრახ ჩადენილად ითვლება, უკეთეს მის ჩამდენ პირს შეგნებული ქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ან შეგნებულად უშვებდა ამ შედეგების დადგომას.

მ უ ხ ლ ი: 11. დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა

დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ითვლება, უკეთეს მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების შესაძლებლობას, მაგრამ მოუფიქრებლად იმედოვნებდა მათ აცდენას.

დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ჩამდენი პირი არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, თუმცა შეეძლო და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა.

მ უ ხ ლ ი 12. შეურაცხადობა

არ ჩაითვლება ბრალეულად და არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ის პირი, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის ღონისძიებაში იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე. ი. არ შეეძლება თავისი მოქმედებისათვის ანგარიში გაეწია ან ვერ განაგებდა თავის მოქმედებას

წრონიკული სულით ავადმყოფობის, სულიერი მოქმედების დროებითი მოშლის, ჭკუანაკლებობის ან სხვაგვარი ავადმყოფური მდგომარეობის გამო. ასეთ პირს შეიძლება სასამართლომ შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიება.

არ დაისჯება აგრეთვე პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხადი იყო, მაგრამ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე სულიერად დაავადდა. ასეთ პირს სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო განკურნების შემდეგ იგი შეიძლება დაისაჯოს.

მ უ ხ ლ ი 13. აუცილებელი მოგერიება

მოქმედება, ჩადენილი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების, სოციალისტური საკუთრების, პიროვნების ან თავდამცველი პირის უფლებების ან სხვა პირის საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, უკეთუ ამასთან არ ყოფილა გადაცილებული აუცილებელი მოგერიების თარგლები.

მ უ ხ ლ ი 14. უკიდურესი აუცილებლობა

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს აგრეთვე მოქმედება, ჩადენილი უკიდურეს აუცილებლობის მდგომარეობაში, ე. ი. ისეთი განსაცდელის ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, სოციალისტურ საკუთრებას, მოცემული პირის ან სხვა მოქალაქეთა პიროვნებას ან უფლებებს, უკეთუ შექმნილ ვითარებაში ამ განსაცდელის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო და უკეთუ მიყენებული ვნება აცდენილ ვნებაზე ნაკლებია.

მ უ ხ ლ ი: 15. პასუხისმგებლობა დანაშაულის მზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის

დანაშაულის მომზადებად ჩაითვლება საშუალებათა თუ იარაღთა გამოწახვა ან მომარჯვება ან სხვაგვარად განზრახ პირობების შექმნა დანაშაულის ჩასადენად.

მცდელობათ ჩაითვლება დაწყებული დანაშაული, რომელიც დანაშაულისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

სასჯელი დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამავე დანაშაულის ჩადენისათვის. დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს და მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

მ უ ხ ლ ი 16. ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე

პირი, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის და პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა თავისთავად შეიცავს სხვა რომელიმე დანაშაულის ნიშნებს.

მ უ ხ ლ ი 17. თანამონაწილეობა

თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახი მონაწილეობა ერთად დანაშაულის ჩადენაში.

დანაშაულის თანამონაწილეობად ითვლებიან ორგანიზატორები, შემსრულებლები, წამქეზებლები და დამხმარეები.

სასამართლო თვითეულ თანამონაწილეს სასჯელს დაუნიშნავს იმის მიხედვით, თუ როგორია დანაშაულის ჩადენაში მათი მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორია ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.

მ უ ხ ლ ი 18. განუცხადებლობა

განუცხადებლობა ნამდვილად ცნობილი დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში.

კარი III

სასჯელთა შესახებ, რომელთაც სასამართლო შეუფარდებს დანაშაულის ჩამდენ პირებს

მ უ ხ ლ ი 19. სასჯელის მიზანი

სასჯელი არა მარტო დასჯაა ჩადენილი დანაშაულის გამო, იგი ამასთანავე მიზნად ისახავს გააფრთხილოს მსჯავრდადებული, რომ არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, გამოასწოროს და აღზარდოს იგი შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით და აგრეთვე გააფრთხილოს საზოგადოების სხვა მერყევი წევრები, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული.

სასჯელი მიზნად არ ისახავს მიაყენოს მსჯავრდადებულს ფიზიკური ტანჯვა ან დაამციროს მისი ადამიანური ღირსება.

მ უ ხ ლ ი 20. სასჯელთა სახეები

დანაშაულის ჩამდენ პირებს შეუძლია შეეფარდოს შემდეგი ძირითადი სახეობის სასჯელები:

- 1) თავისუფლების აღკვეთა;
- 2) გადასახლება;
- 3) გასახლება;
- 4) გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად;
- 5) განსაზღვრული თანამდებობის დაჭერის ან განსაზღვრული პროფესიის ან მოსაქმეობის უფლების ჩამორთმევა;
- 6) ჯარიმა;
- 7) საზოგადოებრივი გაკიცხვა;

გადის სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება სასჯელად შეეფარდოს აგრეთვე დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა.

სასჯელთა ძირითად სახეების გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მსჯავრდადებულს შეიძლება შეეფარდოს შემდეგი დამატებითი სასჯელები:

ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა. გასახლება, გადასახლება და განსაზღვრული თანამდებობის დაქერის ან პროფესიის თუ მოსაქმეობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება შეფარდებულ იქნეს არა მარტო ძირითადი, არამედ აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახითაც.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება სხვა სახის სასჯელებიც დაწესდეს შესაბამისად სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთო პრინციპებისა, რომელიც გამოხატულია ამ ძირითად საწყისებში.

მ უ ხ ლ ი 21. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა
 სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, ასეთი ღონისძიების საგვებით გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯა-დახვრეტა სამშობლოს ღალატის, ჯანუშობის, დივერსიის, ტერორისტული აქტის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისა და ომიანობის დროს უმძიმეს სამხედრო დანაშაულთა გამო.

სიკვდილით დასჯის განაჩენი არ შეიძლება გამოტანილ იქნას ისეთი პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წლის ასაკი არ შესრულებია და ქალის მიმართ, თუ დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის მომენტში ორსულად არის.

მ უ ხ ლ ი 22. თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა წესდება ვადით არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა გამო — არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდადებული სასჯელს იხდის შრომა-გასწორების კოლონიაში ან საპატიმროში, ხოლო არასრულწლოვანი — არასრულწლოვანთა შრომის კოლონიაში.

თავისუფლების აღკვეთა საპატიმროში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადის ან მისი ნაწილის განმავლობაში სასამართლოს განაჩენით შეიძლება დაენიშნოს მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს.

იმ პირს, ვინც ბოროტად არღვევს შრომა-გასწორების კოლონიაში დადგენილ რეჟიმს, კოლონიაში სასჯელის მოხდა სასამართლოს დადგენილებით შეიძლება შეეცვალოს საპატიმროში მოთავსებით ვადით სამ წლამდე, თანაც სასჯელის დანარჩენი ვადა მან ისევ შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოიხადოს. სასამართლო გადასწყვეტს აგრეთვე საკითხს, რომ პატიმრობა შეიცვალოს შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

მ უ ხ ლ ი 23. გადასახლება და გასახლება

გადასახლება მდგომარეობს მსჯავრდადებულის გაძევებაში, მისი საცხოვრებელი ადგილიდან განსაზღვრულ ადგილზე სავალდებულო დასახლებით.

გადასახლება და გასახლება შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითადი, რეგული ადგილიდან განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით.

გადასახლება და გასახლება შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა და მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს სპეციალურად არის ნაჩვენები კანონში.

გადასახლება და გასახლება შეეფარდება ისეთ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წლის ასაკი არ შესრულებია.

მუხლი 24. გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად

გამასწორებელი სამუშაო თავისუფლების აღუკვეთლად შეიძლება დაინიშნოს ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 25. დანაშაულის ჩამდენი სამხედრო მსახურის გაგზავნა

**დისციპლინარულ ბატალიონში და გამასწორებელი მუშაობის შეცვლა
 ჰაუპტვახტში მოთავსებით**

დანაშაულის ჩამდენ ვადიან სამხედრო მსახურს დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა შეიძლება შეეფარდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გარემოებათა და მსჯავრდადებულის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ცნობს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად შეუფარდოს მას ამავე ვადით დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა.

გამასწორებელი მუშაობა სამხედრო მოსამსახურეს შეეცვლება ჰაუპტვახტში მოთავსებით ორ თვემდე ვადით.

მუხლი 26. ქონების კონფისკაცია

ქონების კონფისკაცია შეიძლება დანიშნოს სასამართლომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფო და ანგარებითი მძიმე დანაშაულისათვის.

მუხლი 27. სამხედრო და სხვა წოდებათა, აგრეთვე ორდენებისა, მედლებისა და საპატიო წოდებათა ჩამორთმევა

მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირს, რომელსაც სამხედრო წოდება ან სხვა წოდება აქვს, რომელიც დაწესებულია ცალკე უწყებათა მუშაკებისათვის, სასამართლოს განაჩენით შეიძლება ეს წოდება ჩამოერთვას.

მძიმე დანაშაულისათვის ისეთი პირის მსჯავრდადების დროს, რომელიც დაჯილდოებულია ორდენით ან აქვს საპატიო წოდება, მინიჭებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ან აქვს სამხედრო ან სხვა წოდება, მინიჭებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს გადაწყვეტს იმ საკითხს, მიზანშეწონილია თუ არა შუამდგომლობა აღძრას იმ ორგანოს წინაშე, რომელმაც მსჯავრდადებული დააჯილდოვა ორდენით ან მიანიჭა წოდება, რომ მსჯავრდადებულს ჩამოერთვას ორდენი, საპატიო, სამხედრო ან სხვა წოდება.

ასეთივე წესით გადაწყდება საკითხი მსჯავრდადებულისათვის მედლების ჩამორთმევის შესახებ, გარდა იმ მედლებისა, რომელთა მიმართ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მიკუთვნებული აქვს სასამართლოს.

კარი IV

სახელის დანიშვნისა და სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ

მუხლი 28. სასჯელის დანიშვნა კანონის შესაბამისად

ხელმძღვანელობს რა სოციალისტური მართლშეგნებით სასამართლო ნიშნავს სასჯელს კანონის ზუსტი შესაბამისობით.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და ხარისხს, დამნაშავეს პიროვნებას და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

მუხლი 29. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება:

- 1) დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაულის მავნე შედეგების აცდენა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- 2) დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა შედეგად;
- 3) დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების ზეგავლენით;
- 4) დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღევლების ზეგავლენით, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით;
- 5) დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით;
- 6) დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ;
- 7) დანაშაულის ჩადენა ორსული ქალის მიერ;
- 8) გულწრფელი მონანიება ან დამნაშავეს ნებაყოფლობით გამოცხადება.

მუხლი 30. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი

სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება:

- 1) დანაშაულის ჩადენა ისეთი პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩადენილი აქვს რაიმე დანაშაული;
- 2) დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- 3) დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით;
- 4) დანაშაულით მძიმე ზიანის მიყენება;
- 5) დანაშაულის ჩადენა მცირეწლოვანის, ღრმა მოხუცის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- 6) არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანის თანამონაწილედ ჩაბმა დანაშაულში;
- 7) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით ან დაზარალებულის დამამცირებელი მოქმედებით;
- 8) დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივი უბედურების დროს.

მუხლი 31. სასჯელის დანიშვნა რამოდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

თუ პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლებით და რომელთაგანაც არცერთისათვის იგი მსჯავრდადებული არ ყოფილა, სასამართლო, დანიშნავს რა ცალკე სასჯელს თვითეული დანაშაულისათვის, საბოლოოდ განსაზღვრავს სასჯელს ერთობლივად ყველა ამ დანაშაულისათვის ისე, რომ ამ სასჯელთაგან ნაკლებად მკაცრი სასჯელი გადიფაროს უფრო მკაცრი სასჯელით ანდა დანიშნული სასჯელები მთლიანად ან ნაწილობრივ შეერთდეს იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.

ამავე წესით დაინიშნება სასჯელი; უკეთუ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგენილი იქნება, რომ მსჯავრდადებული ბრალეულია კიდევ სხვა დანაშაულშიც, რომელიც ჩაუდენია პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე. ასეთ შემთხვევაში სასჯელის ვადაში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოხდილია პირველი განაჩენის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 32. სასჯელის დანიშვნა რამდენიმე განაჩენის მიხედვით

უკეთუ მსჯავრდადებულმა განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ სასჯელის სრულად მოხდამდე ახალი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუერთებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

ამ მუხლით გათვალისწინებული წესით სასჯელის შეკრებისას სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ ვადას, რომელიც კანონით დადგენილია მოცემული სახის დანაშაულისათვის.

მ უ ხ ლ ი: 33. უფრო ღმობიერი სასჯელის დანიშვნა, ვიდრე გათვალისწინებულია კანონით

სასამართლოს, თუ იგი მიიღებს მხედველობაში საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დამნაშავის პიროვნებას და ცნობს საჭიროდ, რომ მას დაუნიშნოს იმ უდაბლეს ზომაზე ნაკლები სასჯელი, რომელიც ამ დანაშაულის გამო გათვალისწინებულია კანონით, ან დაუნიშნოს სხვა მსუბუქი სახის სასჯელი, შეუძლია დაუმჯავს ასეთი ღმობიერება, თანაც განაჩენში აუცილებლად უნდა აღინიშნოს საამისო მოტივები.

მ უ ხ ლ ი 34. პირობითი მსჯავრი

უკეთუ სასამართლო, მიიღებს რა მხედველობაში საქმის ვითარებასა და დამნაშავის პიროვნებას, მივა იმ რწმუნებამდე, რომ მიზანშეწონილია დამნაშავემ მოიხადოს თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი საჩუშაო, რაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, სასამართლოს შეუძლია ეს ასჯელი დანიშნოს პირობითად, თანაც განაჩენში აუცილებლად უნდა აღინიშნოს სასჯელის პირობითად დანიშვნის მოტივები.

მ უ ხ ლ ი 35. წინასწარი პატიმრობის ჩათვლა

წინასწარ პატიმრობას სასამართლო ჩასთვლის სასჯელის მოხდის ვადაში, როცა მისჯილია თავისუფლების აღკვეთა — ერთ დღეს ერთ დღედ, ხოლო როცა მისჯილია გამასწორებელი მუშაობა, გადასახლება ან გასახლება ერთ დღეს სამ დღედ.

მ უ ხ ლ ი 36. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა

არ შეიძლება პირი მიცემული იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, უკეთუ მის მიერ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა შემდეგი ვადები:

1) ერთი წელი — ისეთი დანაშაულის ჩადენის დღიდან, რომლისათვისაც კანონის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს იმაზე არაუმკაცრესი სასჯელი, ვიდრე გამასწორებელი მუშაობა ან დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა.

2) სამი წელი — ისეთი დანაშაულის დღიდან, რომლისათვისაც კანონის

მიხედვით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ორი წლისა, გადასახლება ან გასახლება.

3) ხუთი წელი — ისეთი დანაშაულის ჩადენის დღიდან, რომლისათვისაც კანონის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა;

4) ათი წელი — ისეთი დანაშაულის ჩადენის დღიდან, რომლის გამო კანონის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით.

ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების მიმდინარეობა შეწყდება, უკეთუ ამ ვადების გასვლამდე პირი დაემალება გამოძიებას და სასამართლოს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლის გამო კანონის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი, ხოლო გადასახლება ან გასახლება სამ წელზე მეტი ვადით.

ხანდაზმულობის მიმდინარეობა შეწყდება აგრეთვე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოთა მოქმედებით, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ესა თუ ის პირი.

საკითხს ხანდაზმულობის შეფარდების შესახებ ისეთი დანაშაულის ჩადენი პირისადმი, რომლისათვის კანონის მიხედვით შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, გადაწყვეტს სასამართლო. უკეთუ სასამართლო არ მიიჩნევს შესაძლებლად ხანდაზმულობის შეფარდებას, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება დაინიშნოს და იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 37. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა

გამამტყუნებელი განაჩენი არ მოიყვანება სისრულეში, უკეთუ ის არ იყო მოყვანილი სისრულეში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან შემდეგ ვადებში:

1) ერთი წელი, როცა მისჯილია არაუმკაცრესი სასჯელი, ვიდრე გამასწორებელი სამუშაო ან დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა.

2) სამი წელი, როცა მისჯილია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ორი წლისა, გადასახლება ან გასახლება;

3) ხუთი წელი, როცა მისჯილია თავისუფლების აღკვეთა ორიდან ხუთ წლამდე;

4) ათი წელი, როცა მისჯილია ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მკაცრი სასჯელი.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხანდაზმულობის მიმდინარეობა შეწყდება, უკეთუ მსჯავრდადებული დაიმალება ან ამ ვადების გასვლამდე ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლის გამო სასამართლო დანიშნავს სასჯელად თავისუფლების აღკვეთას ვადით არა ნაკლებ ერთი წლისა, გადასახლებას ან გასახლებას ვადით არა ნაკლებ სამი წლისა.

საკითხს ხანდაზმულობის შეფარდების შესახებ ისეთი პირისადმი, რომელსაც მიესაჯა სიკვდილით დასჯა, გადაწყვეტს სასამართლო. უკეთუ სასამართლო არ მიიჩნევს შესაძლებლად ხანდაზმულობის შეფარდებას, სიკვდილით დასჯა შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 38. სასჯელისაგან განთავისუფლება ისეთი პირისა, რომელიც საზოგადოებრივად საშიში აღარ არის

დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ ცნობილ იქნა, რომ ეს პირი თავისი უმწიკვლო ყოფაქცევით და შრომისადამი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ან ვითარების შეცვლის გამო საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროისათვის საზოგადოებრივად საშიში აღარ არის.

მუხლი 39. სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო ლმობიერი სასჯელით

თუ მსჯავრდადებულმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება, თავისი სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა გამოსწორება, სასამართლომ შეიძლება შეუფარდოს მას დანიშნული სასჯელის მთელი ვადის არა ნაკლებ ნახევარის ფაქტიურად მოხდის შემდეგ სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება ან დანიშნული სასჯელი შეუცვალოს უფრო ლმობიერი სასჯელით. ამასთანავე მსჯავრდადებული შეიძლება განთავისუფლდეს აგრეთვე დამატებითი სასჯელისაგან.

სახელმწიფოებრივი და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადებულ პირს პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო ლმობიერი სასჯელით შეიძლება შეეფარდოს სასჯელს დანიშნული ვადის არა ნაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის შემსუბუქება კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით ამნისტიისა და პატიების გარდა, შეიძლება შეუფარდოს მხოლოდ სასამართლომ.

მუხლი 40. ნასამართლობის მოხსნა.

ის პირი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა ან უფრო ლმობიერი სასჯელი, სასჯელის მოხდის შემდეგ ითვლება ნასამართლობის არამქონედ.

ნასამართლობა იმ დანაშაულისათვის, რომლისათვისაც დამნაშავეს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ექვს წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლისა, მოეხსნება რვა წლის გასვლის შემდეგ დღიდან სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდისა, უკეთუ მან ამ ვადის განმავლობაში არ ჩაიდინა ახალი დანაშაული, რომლისთვისაც მიესჯება თავისუფლების აღკვეთა.

ნასამართლობა დანაშაულისათვის, რომლისათვისაც დამნაშავეს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, შეიძლება მოხსნას სასამართლომ მსჯავრდადებულის შუამდგომლობით, მაგრამ არა უადრეს რვა წლისა დღიდან სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდისა, უკეთუ ამ დროის განმავლობაში მან არ ჩაიდინა ახალი დანაშაული, რომლის გამო მიესჯება თავისუფლების აღკვეთა, და თუ ამასთანავე სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრდადებული გამოსწორდა და არ არის აუცილებელი, რომ იგი ნასამართლობის მქონედ ითვლებოდეს.

პ რ ო ე მ ტ ი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები

მ უ ხ ლ ი 1. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანები

საბჭოთა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანაა სწრაფად და სრულად გამოავლინოს დანაშაული და შეუფარდოს დამნაშავეებს კანონით გათვალისწინებული სასჯელის ღონისძიებანი, რათა დანაშაულობრივი ხელყოფისაგან დაიცვას სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოციალისტური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მოქალაქის პიროვნება და უფლებები და მთელი სოციალისტური მართლწესრიგი.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოება ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულის წინასწარ აღკვეთას და აღმოფხვრას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონიერების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით და უზრუნველყოფდეს კანონის სწორ შეფარდებას, რათა ყოველმა დამნაშავემ მიიღოს სამართლიანი სასჯელი და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდადებული.

მ უ ხ ლ ი 2. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობა

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრება ამ საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, რომლებიც მათ შესაბამისად გამოიცემა.

მ უ ხ ლ ი 3. სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ კანონის შესაბამისად და სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

არავინ არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონით დადგენილი საფუძვლებისა და წესის გარეშე.

არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სასამართლოს განაჩენის გარეშე.

მ უ ხ ლ ი 4. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევე ორგანოები ვალდებული არიან აღძვრან სისხლის სამართლის საქმე თვითთულ ჩადენილ დანაშაულზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებზედაც სპეციალურად არის მითითებული კანონში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე აღიძვრის დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე.

სასამართლო, როდესაც მას დანაშაულის ჩადენის შესახებ საკმარის მონაცემები მოეპოვება, აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და გზავნის მას გამოსაძიებლად ან თვითონ იტოვებს განსახილველად კანონით დადგენილი წესისამებრ.

მუხლი 5. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის წარმოების საფუძველს

სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა მოისპოს წარმოების ყველა სტადიაში;

1. დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო;
2. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;
3. ამნისტიის და პატიების აქტის შედეგად;
4. იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში დადგენილი ასაკისათვის არ მიუღწევია;

5. დაზარალებულის საჩივრის უქონლობის გამო ისეთ საქმეებზე, რომლებიც დაზარალებულის საჩივრით აღიძვრება, აგრეთვე დაზარალებულის და ბრალდებულის შერიგების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის თანახმად არ შეიძლება საქმე მოისპოს მხარეთა შერიგებით;

6. გარდაცვალებულის მიმართ; მაგრამ საქმის წარმოება შეიძლება გაგრძელდეს, თუ ეს საჭიროა გარდაცვალებულის რეაბილიტაციისათვის ან თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმე უნდა განახლდეს დანარჩენ პირთა მიმართ.

7. იმ პირის მიმართ, რომლის შესახებ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ამავე დანაშაულისათვის ბრალდების გამო.

მუხლი 6. მართლმსაჯულების განხორციელება ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე

მართლმსაჯულება ხორციელდება სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, მიუხედავად მათი სოციალისტური, ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა.

მუხლი 7. სახალხო მსაჯულების მონაწილეობა და კოლეგიალობა საქმის განხილვაში

პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა წარმოებს მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, რომლებიც არჩეული არიან კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

სასამართლოები საკასაციო წესით საქმის განხილვას ახორციელებენ სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით; ხოლო სასამართლო ზედამხედველობის წესით — არა ნაკლებ სამი წევრის შემადგენლობით.

მუხლი 8. მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება:

მუხლი 9. ენა, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება

სასამართლო წარმოება სისხლის სამართლის საქმეებზე ხორციელდება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია მოკავშირე ან

ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციებით — ეროვნული ან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

თუ პირმა, არ იცის ის ენა, რომელზედაც სასამართლო წარმოება მიმდინარეობს, მისთვის უზრუნველყოფილია უფლება სრულად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს თარჯიმნის საშუალებით, აღძრას შუამდგომლობა, მისცეს ჩვენება, აგრეთვე გამოვიდეს სასამართლოში მშობლიურ ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.

საგამომძიებლო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ეძლევა ბრალდებულს, თარგმნილი უნდა იყოს ბრალდებულის მშობლიურ ენაზე, რომელიც მან იცის.

მ უ ხ ლ ი 10. სასამართლო განხილვის საჯარობა

საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს ან როდესაც ეს საჭიროა, რომ არ გახშიანდეს ცნობები საქმის მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმიური მხარეების შესახებ, აგრეთვე გარდა საქმეებისა არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ.

სასამართლოს განაჩენი ყველა შემთხვევაში ქვეყნდება საჯაროდ.

მ უ ხ ლ ი 11. სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა

პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვილოს ყველა მტკიცებანი საქმის შესახებ: დაჭითხოს ბრალდებული, დაზარალებული მოწმეები, მოისმინოს ექსპერტის დასკვნა, გამოაქვეყნოს დოკუმენტები და გასინჯოს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები.

სასამართლო სხდომა ყოველ საქმეზე იმართება შეუწყვეტლივ, გარდა შესვენების დროისა. შესვენების დროს, დაწყებული საქმის მოსმენის დამთავრებამდე, სხვა საქმეების განხილვა არ შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 12. სასამართლო სხდომის მონაწილე მხარეთა თანაბარი პროცესუალური უფლებები

ბრალმდებელი, ბრალდებული, დამცველი, აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩელე, მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები ითვლებიან სასამართლო სხდომაზე მხარეებად და სარგებლობენ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის, მათ გამოკვლევაში მონაწილეობის და შუამდგომლობათა აღძვრის თანაბარი პროცესუალური უფლებებით.

ბრალდებულს აქვს საბოლოო სიტყვის უფლება.

მ უ ხ ლ ი 13. ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცება ბრალმდებელს ეკისრება

ბრალდებულის ბრალეულობის მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება.

გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს ვარაუდებს და გამოიტანება მხოლოდ იმ პირობით, თუ სამართალში მიცემულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დამტკიცებულია.

მ უ ხ ლ ი 14. ბრალდებულის უფლებები

ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების გამო, წარადგინოს დამამატიციებელი საბუთები; აღძრას შუამდგომლობა დამამატიციებელი საბუთების გამოთხოვის შესახებ, გამოძიების დასასრულს გაიცნოს საქმის მასალები, გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის და მოკვლევის მწარმოებელი პირის მოქმედება, განაცხადოს აცილება, მიიღოს მონაწილეობა პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლო სხდომებში. იმ საკითხს, მონაწილეობდეს თუ არა ბრალდებული სასამართლოს სხდომაზე, რომელიც საქმეს არჩევს ზედამხედველობის წესით, გადაწყვეტს სასამართლო.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულს, მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით დადგენილი წესის ფარგლებში, უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საგამომძიებლო მოქმედების წარმოებაში, გაეცნოს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალებს.

მ უ ხ ლ ი 15. დამცველის მონაწილეობა სასამართლო წარმოებაში

ბრალდებულს უფლება აქვს იყოლიოს დამცველი იმ მომენტიდან, როცა მას გამოუცხადებენ გამოძიების დამთავრებას და გასაცნობად წარუდგენენ საქმის გამოძიების ყველა მასალას.

არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს იყოლიოს დამცველი ბრალდების წაყენების მომენტიდან.

დამცველად დაიშვებიან ადვოკატები, პროფესიულ კავშირთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და სხვა პირები, რომელთაც ასეთი უფლება მინიჭებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით. დამცველის სავალდებულო დანიშვნის შემთხვევები განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი 16. დამცველის უფლებები

დამცველს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს იმ მომენტიდან, როდესაც გამოძიების დამთავრება გამოეცხადება ბრალდებულს და აგრეთვე სასამართლოში, წარადგინოს მტკიცებანი და აღძრას შუამდგომლობა მათი გამოთხოვის შესახებ, გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლისა და მოკვლევის მწარმოებელი პირის მოქმედება, განაცხადოს აცილება, მონაწილეობა მიიღოს პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ზემდგომი სასამართლოების სხდომებში.

არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეზე დამცველს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

მ უ ხ ლ ი 17. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებული იქნას სასამართლოს დადგენილების ან პროკურორის სანქციის გარეშე

არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას სასამართლოს დადგენილების ან სანქციის გარეშე.

პროკურორი, რომელიც თავის სამოქმედო რაიონში აღმოაჩენს, რომ ვინმეს უკანონოდ აქვს თავისუფლება აღკვეთილი ან პატიმრობაში იმყოფება იმ ვადის გადაცილებით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან სასამარ-

თლოს განაჩენით, ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს არასწორად თავისუფლება აღკვეთილი.

მ უ ხ ლ ი 18. აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება

იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებაში ან სასამართლოში გამოცხადებას, მის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღმკვეთი ღონისძიება. აღმკვეთ ღონისძიებათა სახეები და მათი შეფარდების წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ პირს ბრალდების წარდგენამდე. ასეთ შემთხვევაში ბრალდება წარდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს ათი დღე-ღამისა აღმკვეთი ღონისძიების მიღების მომენტიდან. უკეთუ ბრალდება ამ დროში წარდგენილი არ იქნა, აღმკვეთი ღონისძიება უქმდება.

მ უ ხ ლ ი 19. პატიმრობის შეფარდება აღმკვეთ ღონისძიებად

პატიმრობის შეფარდება აღმკვეთ ღონისძიებად შეიძლება მხოლოდ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსათვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო მონაცემები იმისა, რომ თავისუფლად მყოფ ბრალდებულს შეუძლია თავი აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს. იმ პირს, რომელსაც ბრალი ედება მეტად მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში, რომელთა ნუსხაც დადგენილია კანონით, პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს მარტოოდენ დანაშაულის საშიშროების მოტივით.

პატიმრობა საქმის გამოძიების დროს არ შეიძლება გაგრძელდეს ორ თვეზე მეტი ვადით. ამ ვადის გაგრძელება საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო შეუძლიათ ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის, სამხედრო ოკრუგის, ფლოტის პროკურორებს — სამ თვემდე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორსა და მთავარ სამხედრო პროკურორს — ექვს თვემდე დაპატიმრების დღიდან. წინასწარი პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ. თანაც ვადით არა უმეტეს ერთი წლისა დაპატიმრების დღიდან.

მ უ ხ ლ ი 20. დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილის დაკავება

დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილის დაკავების ყველა შემთხვევის შესახებ მოკვლევი ორგანო ან გამომძიებელი ვალდებულია აცნობოს პროკურორს ოცდაოთხი საათის განმავლობაში. პროკურორი ვალდებულია შეპყრობის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში მისცეს სანქცია დაკავებულის დაპატიმრებაზე ან გაათავისუფლოს იგი.

მ უ ხ ლ ი 21. ჩხრეკის მოხდენა და კორესპონდენციის ამოღება

ჩხრეკა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოკვლევი ორგანოს ან გამომძიებლის დასაბუთებული დადგენილებით, რომელიც პროკურორმა უნდა დაადასტუროს, და მოწმეთა თანდასწრებით.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე გადაუდებელია, ჩხრეკა შეიძლება მოხდეს პროკურორის სანქციის გარეშეც, მაგრამ შემდეგ ეს უნდა ეცნობოს პროკურორს ოცდაათი საათის განმავლობაში.

კორესპონდენციების ამოღება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში შეიძლება მოხდეს მხოლოდ პროკურორის სანქციით ან სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 22. მტკიცებათა სახეები

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებად მიიღება ყველა ფაქტიური მონაცემი, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად დაადგენენ ან უარყოფენ დანაშაულის ფაქტს, ამხილებენ ან ამართლებენ პასუხისგებაში მიცემულ პირს, ამძიმებენ ან ამსუბუქებენ მის ბრალეულობას.

მტკიცებად ითვლება მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებანი. ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის ჩვენებანი, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, საგამომძიებლო მოქმედების ოქმები და სხვა დოკუმენტები.

მ უ ხ ლ ი 23. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის მწარმოებელი პირი ვალდებული არიან განუმარტონ საქმეში მონაწილე პირებს შათი უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის მწარმოებელი პირი ვალდებული არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის, გამოავლინონ საქმის ყველა გარემოება, ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი.

გამომძიებელს ან მოკვლევის მწარმოებელ პირს არა აქვს უფლება ჩამოართვას ბრალდებულს ჩვენება ან მიიღოს აღიარება ძალადობის, მუქარის ან სხვა უკანონო ღონისძიების საშუალებით. მოწმეები და ექსპერტები არ შეიძლება ძალადობითა და სხვა უკანონო ღონისძიებით იძულებული იქნან ჩვენების მიცემაზე.

ასეთ უკანონო ღონისძიებათა გამოყენებისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

მ უ ხ ლ ი 24. დამამტკიცებელი საბუთების შეფასება

საქმეში არსებულ დამამტკიცებელ საბუთთა შეფასებას მოსამართლე აწარმოებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს, ერთობლივად საქმის ყველა გარემოების განხილვას.

მ უ ხ ლ ი 25. მოსამართლის, პროკურორის და პროცესის სხვა მონაწილეთა აცილება

მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის მწარმოებელი პირი, სასამართლოს სხდომის მდივანი, ექსპერტი და თარჯიმანი არ შეიძლება მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საქმეში, თუ ისინი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული არიან ამ საქმით.

მ უ ხ ლ ი 26. დაზარალებულის უფლებები.

დაზარალებულს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრას შუამდგომლობა მტკიცებათა გამოთხოვის შესახებ, გაასაჩივროს პროკურორის, გამომძიებლის, ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მოქმედება, განაცხადოს აცილება, ხოლო სასამართლო სხდომაზე, გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებათა გამოკვლევაში და კანონით დადგენილ შემთხვევაში მხარი დაუჭიროს ბრალდებას.

დაზარალებულს, რომელმაც მატერიალური ზარალი განიცადა, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, წარუდგინოს ბრალდებულს ან იმ პირს, ვისაც აკისრია მატერიალური პასუხისმგებლობა ბრალდებულის მოქმედებისათვის სამოქალაქო სარჩელი, რომელიც სასამართლომ უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება აქვს პროკურორსაც, უკეთუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების, აგრეთვე მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

მ უ ხ ლ ი 27. წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები

სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარ გამოძიებას აწარმოებს პროკურატურის გამომძიებელი, ხოლო ისეთ საქმეებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ კანონის... მუხლებით, წინასწარ გამოძიებას აწარმოებს აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებელი.

წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა სახელმწიფოებრივ და სამხედრო დანაშაულთა საქმეებზე, აგრეთვე სხვა დანაშაულთა საქმეებზედაც, რომელთა ნუსხას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა.

იმ საქმეებზე, რომლებზედაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით სავალდებულოა წინასწარი გამოძიება, მომკვლევნი ორგანოები ახორციელებენ გადაუდებელ მოქმედებას, დანაშაულის კვალსა და სხვა მტკიცებათა შენარჩუნებისათვის, დამნაშავის აღმოსაჩენად და დასაკავებლად, რის შემდეგ საქმე გადაეცემა გამომძიებელს.

მოკვლევას აწარმოებენ მილიცია და სხვა დაწესებულებები, აგრეთვე თანამდებობის პირები, რომლებსაც ეს ეკისრებათ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი 28. ზედამხედველობა კანონების სწორად შესრულებაზე წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის წარმოების დროს

წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის წარმოების დროს კანონების სწორად შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ პროკურატურის ორგანოები სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების შესაბამისად.

პროკურორის მითითებები სავალდებულოა გამომძიებლისა და მოკვლევის მწარმოებელი პირისათვის.

მ უ ხ ლ ი 29. სამართალში მიცემა.

საქმე, რომელზედაც წინასწარი გამოძიება წარმოებდა, ვიდრე მას სასამართლო სხდომა მოისმენდეს, აუცილებლად უნდა განიხილოს გამწესრიგებელ სხდომაზე იმ სასამართლომ, რომელსაც საქმე ექვემდებარება.

სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე, უკეთუ ამისათვის საკმაო საფუძველია, სამართალში აძლევს ბრალდებულს, ან დააბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის, ან სპობს მის წარმოებას.

მ უ ხ ლ ი 30. ბრალდების მხარის დაჭერა სასამართლოში

სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში მხარს უჭერს პროკურორი. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გამოძიების მონაცემები არ ადასტურებენ სამართალში მიცემულისადმი წაყენებულ ბრალდებას, პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე.

პროფესიულ კავშირებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ საზოგადოებრივ ბრალდებას თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით.

კანონით დადგენილ შემთხვევაში ბრალდების მხარის დაჭერა სასამართლოში დაზარალებულსაც შეუძლია.

მ უ ხ ლ ი 31. სამართალში მიცემულის მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა ხდება სამართალში მიცემულის მონაწილეობით, რომლის სასამართლოში გამოცხადება სავალდებულოა. საქმის განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი 32. სასამართლოს განხილვის ფარგლები

საქმის განხილვა სასამართლოში წარმოებს მხოლოდ სამართალში მიცემულ პირის მიმართ და თანაც მხოლოდ იმ ბრალდების მიხედვით, რომლითაც იგი სამართალშია მიცემული.

სასამართლოში ბრალდების შეცვლა დასაშვებია, თუ ამით სამართალში მიცემულის მდგომარეობა არ უარესდება და მისი დაცვის უფლება არ ირღვევა. უკეთუ ბრალდების შეცვლა იწვევს სამართალში მიცემულის უფლების დარღვევას, სასამართლო აბრუნებს საქმეს ხელახალი წინასწარი გამოძიებისათვის.

მ უ ხ ლ ი 33. სასამართლოს განაჩენი

სასამართლოში განაჩენი კანონიერი და დასაბუთებული უნდა იყოს. სასამართლო განაჩენს ამყარებს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებზე, რომლებიც განხილული იყო სასამართლოს სხდომაზე.

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა შეიცავდეს ზუსტ მითითებას, სახელდობრ რა ჩაიდინა მსჯავრდადებულმა, რა დამამტკიცებელი საბუთებით დასტურდება მისი ბრალეულობა და სასჯელის რა ღონისძიება დაენიშნა მას.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსა და სამხედრო ტრიბუნალებს განაჩენი გამოაქვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებს — მოკავშირე რესპუბლიკების სახელით.

მ უ ხ ლ ი 34. განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება

ყველა სასამართლოს განაჩენი, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს განაჩენებისა, შეიძლება საკასაციო წესით გააპროტესტოს პროკურორმა და გასაჩივრონ ბრალდებულმა, მისი ინტერესების დამცველმა და დაზარალებულმა, როდესაც მას ენიჭება ბრალდებისათვის მხარის დაჭერის უფლება.

სამოქალაქო მოსარჩელეს, მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გასაჩივრონ განაჩენი იმ ნაწილში, რომელიც სამოქალაქო სარჩელს ეხება.

საკასაციო პროტესტებისა და საჩივრების შეტანის ვადები და განხილვის წესი, აგრეთვე სასამართლოების განაჩენებისა და დადგენილებათა გასაჩივრებისა და გაპროტესტების წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი 35. საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების განხილვა

საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების განხილვისას მეორე ინსტანციის სასამართლო საქმეში არსებული და მხარეთა მიერ დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით ამოწმებს განაჩენის კანონიერებასა და საფუძვლიანობას.

მეორე ინსტანციის სასამართლო იხილავს რა საქმეს საკასაციო საჩივრის ან პროტესტის გამო, შეზღუდული არ არის იმათი მოტივებით და ამოწმებს საქმეს სრული მოცულობით, მათ შორის იმ მსჯავრდადებულთა მიმართაც, რომელთაც საჩივარი არ შეუტანიათ და რომელთა მიმართაც საკასაციო პროტესტი არ წარდგენილა. საკასაციო წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლო:

1. აუქმებს განაჩენს და გზავნის საქმეს ხელახალი გამოძიებისათვის ან ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.
2. აუქმებს განაჩენებს და სპობს საქმეს.
3. ცვლის განაჩენს.
4. ტოვებს საჩივარს თუ პროტესტს დაუკმაყოფილებლად.

მ უ ხ ლ ი 36. გამამართლებელი განაჩენის გაუქმება

გამამართლებელი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს საკასაციო წესით მხოლოდ პროკურორის პროტესტის ან დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, უკეთეს მას აქვს ბრალდების მხარის დაჭერის უფლება, ან გამამართლებელი პირის საჩივრის მიხედვით, როდესაც მას გამართლების მოტივები არასწორად მიაჩნია.

მ უ ხ ლ ი 37. არ შეიძლება მსჯავრდადებულს სასჯელი გაუდიდდეს მისი საჩივრით საქმის განხილვის დროს

საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი, მაგრამ უფლება არა აქვს გაადიდოს ეს სასჯელი, აგრეთვე უფლება არა აქვს შეუფარდოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ.

განაჩენი შეიძლება გაუქმდეს სასჯელის ლობიერების გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საფუძველით შეტანილია პროკურორის პროტესტი ან

დაზარალებულის საჩივარი, როდესაც კანონით მას აქვს ბრალდების მხარის დაჭერის უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვის დროს სასჯელის გადიდება შესაძლოა იმ პირობით, თუ პირველი განაჩენი გაუქმდა სასჯელის ლმობიერების გამო, აგრეთვე თუ განაჩენის გაუქმების შემდეგ საქმის ხელახალი გამოძიების დროს გაირკვევა ახალი, იმის დამადასტურებელი გარემოებანი, რომ ბრალდებულმა უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

მ უ ხ ლ ი 38. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის, განჩინების და დადგენილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვა

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების გადასინჯვა სასამართლო ზედამხედველობის წესით შესაძლოა მხოლოდ იმ პროკურორების, სასამართლოს თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების პროტესტების საფუძველზე, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა იმ მოტივით, რომ ბრალდებულს უსაფუძვლოდ შეეფარდა ლმობიერი სასჯელი, ასევე გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვა შესაძლოა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს შეუძლია პროტესტი დაუქმყოფილებელი დატოვოს, გააუქმოს განაჩენი და ყველა მომდევნო სასამართლო განჩინება და დადგენილება და მოსპოს საქმის წარმოება ან გადასცეს იგი ხელახალი გამოძიებისათვის ან სასამართლო განხილვისათვის; გააუქმოს საკასაციო განჩინება, აგრეთვე მომდევნო სასამართლო განჩინებანი და დადგენილებანი, უკეთუ ისინი გამოტანილი იყო და დაბრუნოს საქმე ხელახალი საკასაციო განხილვისათვის; გააუქმოს განჩინება და დადგენილება, რომლებიც გამოტანილი იყო ზედამხედველობის წესით და დატოვოს ძალაში, ცვლილების შეტანით ან შეუცვლელად, სასამართლოს განაჩენი და საკასაციო განჩინება, შეიტანოს ცვლილება სასამართლოს განაჩენში, განჩინებასა და დადგენილებაში.

სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს პირველი ინსტანციის სასამართლოსა და საკასაციო ინსტანციის მიერ დანიშნული სასჯელი, მაგრამ არა აქვს უფლება გაადიდოს სასჯელი, ასევე უფლება არა აქვს შეუფარდოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ.

განაჩენის გაუქმების შემდეგ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია გაადიდოს სასჯელი მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, უკეთუ თავდაპირველი განაჩენი გაუქმებული იყო როგორც ლმობიერი ან თუ საქმის ხელახლად გამოძიების დროს დადგენილ იქნება იმის დამადასტურებელი ახალი გარემოებანი, რომ ბრალდებულმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

მ უ ხ ლ ი 39. ზემდგომი სასამართლოების მითითებათა სავალდებულობა

იმ სასამართლოს მითითება, რომელიც საქმეს იხილავს საკასაციო ან ზედამხედველობის წესით, სავალდებულოა მოცემულ საქმეზე სასამართლოსათვის, რომელიც ხელმეორედ განიხილავს საქმეს, აგრეთვე საგამომძიებლო და მოკვლევის ორგანოებისათვის.

მაგრამ საკასაციო ან ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს არ აქვს უფლება დაადგინოს და დადასტურებულად ჩათვალოს ფაქტი, რომელიც განაჩენში მითითებული არ არის ან უარყოფილია, აგრეთვე უფლება არა აქვს განაჩენის გაუქმებისას წინასწარ განსაზღვროს ახალი განაჩენი საქმეზე.

ამგვარადვე ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს, რომელიც აუქმებს საკასაციო განჩინებას, უფლება არა აქვს წინასწარ განსაზღვროს დასკვნები, რომლებიც უნდა გააკეთოს საკასაციო ინსტანციამ საქმის ხელმოკრედ განხილვისას.

მ უ ხ ლ ი 40. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და მისი აღსრულება

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის საკასაციო წესით გასაჩივრების და გაპროტესტების ვადის გავლის შემდეგ, თუ ეს განაჩენი გასაჩივრებული არ ყოფილა. საკასაციო საჩივრისა ან საკასაციო პროტესტის შეტანის შემთხვევაში განაჩენი თუ არ გაუქმებულა, ძალაში შედის ზემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროიდან.

გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში მოიყვანება მისი კანონიერ ძალაში შესვლის დროიდან.

გამამართლებელი განაჩენი და ის განაჩენი, რომელიც ბრალდებულს ანთავისუფლებს სასჯელისაგან, სისრულეში მოიყვანება დაუყოვნებლივ.

მ უ ხ ლ ი 41. სასამართლო განაჩენის სავალდებულობა

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება და დადგენილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

განაჩენის აღსრულების კანონიერებას ზედამხედველობას უწევს პროკურორი.

მ უ ხ ლ ი 42. საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ამასთანავე გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვა შეიძლება არა უგვიანეს ხუთი წლისა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.



სარედაქციო კოლეგია

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. თოფურიაძე, გ. ინწკირველი,
გ. კერესელიძე (პ/მგ. მდივანი), ს. როსტიაშვილი, თ. წერეთელი.

8360 5 836

6-179/208



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Министерства юстиции, Прокуратуры и Верховного Суда
Грузинской ССР